ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№130 (191) 2-9 აგვისტო 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი!

როგორც ვატყობთ, საქართველოს პარლამენტის და მისი სამარცხვინო პრეზიდენტის კიდევ ერთი ღალატი ჩაიფარცხა!

ავყაყანდით, მკერდზე მჯიღი ვიბრაგუნეთ, ქვა ავაგდეთ, თავი შევუშვირეთ და თავგატხილი დავრჩით!..

ყოველივე ამის შემდეგ, პრეზიდენტმა, თუნდაც მოჩვენებითი მონანიების ნაცვლად, ორი კვირის თავზე, მორიგი თავსლაფი დაგვასხა – უამრავი უცხოელის და შინაურის თვალწინ, **„მსოფლიო ტურიზმის ახალ ცენტრში, ბათუმში, „შერატონ ჰოტელ“**-ის ღია საცურაო აუზში უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა – გაუპატიურება დაუპირა ქართველ მომღერალ მანდილოსანს და რომ არა, ვერონიკა ქობალიას, ეკა ბანძელაძის, გია ბარამიძისა და **„მიშა-ბუდას“** დაცვის თავგანწირვა, უცხოს და შინაურს, საქვეყნოდ, თავზე **„დაგვახნავდა უმწეო ქართველ გოგონას“** და კიდევ ერთხელ აღსრულდებოდა ქართული საბავშვო ზღაპარი, რომელიც **„ნაცმოძრაობის“** თანამედროვე მორალით ასე დასრულდებოდა – **„დიდ კაცთან, პატარა ქალსა, როდის გასვლია მართალი!“**

აქაც (შედარებით მოკრძალებით!), აყაყანდა (მთელი არა!) ნახევარი საქართველო და ბოლოს ვინ არ **„მოუხნავთთო!“**, თანაც პირველი ხომ არ არისო და ეს ამბავიც ისე დასრულდა, როგორც ჩვენი ბავშვობისდროინდელი, ბებოს ზღაპარი – **„ჭირი იქა ლხინი აქა, ქატო იქა ფქვილი აქა!“**

ბებოს წვერებიანი ზღაპარი ახლაც კარგია მოსაგონრად, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა – **ფქვილი კი არა ქატოც სანატრელი გვაქვს, ლხინს ვინ სჩივის სხეულთან ერთად სულიც დაგვიჭირიანეს და ხმის ამოღებასაც გვიკრძალავენ!**

დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას!

–რატომ გავჩუმდით? მოგვარდა ყველაფერი, უკან წაიღო პარლამენტმა და პრეზიდენტმა, საუკუნის კი არა, ათასწლეულის დანაშაული ქართულ მართლმადიდებლობის წინაშე?

–საეკლესიო მამები რატომ გაჩუმდნენ, რატომ არ ძრავენ კრინტს სომხების არაქრისტიანობის გამო?

–რატომ არ ათხოვეს ყური (ორიოდე მღვდელმთავრის გარდა) ამ რამდენიმე წის წინ, ორ ენაზე ქართულ-ინგლისურად გამოსულ წიგნს **“ჭეშმარიტება და სომხური სიმართლე”** (რ.ჯალაღანია, დ.ქობალია, ნ.გოგუა), სადაც ანაბანას დონეზეა ახსნილი და ისტორიული, საარქივო მასალებით დასაბუთებული, 1562 წლის წინანდელი, სომხური ეკლესიის ღალატი ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებისადმი?

– ჩვენ, საქართველოდან გადახვეწილი, ქართველების ის ნაწილი, ვინაც ფულის და სიმდიდრის შოვნის გამო არ შელევია სამშობლოს, **“ილორი”**-ს რედაქციას ვთხოვთ, უცვლელად გამოაქვეყნოს წიგნის **“ჭეშმარიტება და სომხური სიმართლე”** დასკვნითი ნაწილი **“მიმართვა მსოფლიო საეკლესიო საბჭოს”** ორივე ენაზე ქართულ-ინგლისურად!

აქვე ვთხოვთ ყველას, ვისაც კი პრეტენზია გაჩნია თეოლოგიის საკითხებში, გამოთქვას საკუთარი აზრი, ზემოთხსენებული ავტორების წიგნში, თამამად და პირდაპირ გამოთქმული აზრის **“სომხების ანტიქრისტიანობის”** შესახებ!

რაც შეეხება **“მიშა-ბუდას”** სამარცხვინო, უმაგალითო საქციელს ბათუმში, იგი არ მიკვირს, რადგან მას განვიხილავ (ამასწინანდელ **“ილორში”** წაკითხულის ნათელ ნიმუშად), როგორც **“საზოგადოებრივი მორალისა და პასუხისმგებლობის არმქონე ერის”** სახედ!

სომეხთა კათალიკოს გარეგინის უკადრისი საქციელის მსგავსად, საქართველოს პატრიარქთან შეხვედრისას, მიშა საკაშვილიც შეგნებულად შეურაცხყოფს საქართველოს ღირსებას საერთაშორისო არენაზე.

თუ იგი დროზე არ შევაჩერეთ, მალე უცხოეთშიც არ გამოგვეყოფა თავი!

ცოდვა გამხელილი სჯობს, **“მიშა-ბუდას”** ყველა უზნეო საქციელს ამერიკელებს ვერ დავაბრალებთ, რადგან, ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა შავი დღე დაათენეს ექსპრეზიდენტ ბილ კლინტონს, თეთრ სახლში პრაქტიკანტ გოგონასთან გამართული ინტიმური ფლირტის გამო.

პატივისცემით,

ვასილ ხომერიკი,
ისტორიკოსი, ანტვერპენი, ბელგია

ვასრულებთ ბატონ ვასილ ხომერიკის თხოვნას. აღნიშნული ნომერი დაეგზავნება საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის ყველა საელჩოს! ვაქვეყნებთ წერილს სათაურით:

ავოე, არნოლდ სტეპანიან, ყურები გამოიფხიკე, რაღა!

(ვიმეორებთ გონებაჩლუნგების, ბრიყვების, შურით დაბრმავებული არაკაცების და თავიანთი „ეროვნული“ მზაკვრობის ვერდამნახავი სომეხი რეაქციონერების საყურადღებოდ)

ვერა და ვერ უსწორებენ რეაქციონერი სომხები სიმართლეს თვალს, გულზე ლახვრად ესობათ ქართველების მიერ საკუთარი რელიგიური მრწამსისა და მამულის დასაცავად ამოღებულ ხმა, ათას უკეთურობასა და ავკაცობას გვაბრალებენ თავად უკეთურები და ავკაცები. რა ვქნათ, სხვა გამოსავალი არ გვრჩება, გარდა იმისა, რომ მათ ნებისმიერ არაკორექტურულ გამოხტომას ღირსეული პასუხი გავცეთ.

ახლაც, გვაიძულებენ, თორემ, გარწმუნებთ, ჩვენ სხვა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული საქმე გვაქვს საკეთებელი, ვიდრე რეაქციონერი სომხებისათვის მათი კუთვნილი ადგილის მიჩენა. მაგრამ, წლების განმავლობაში პასუხს რომ არ ვცემდით გათავხედებული რეაქციონერი სომხების გამოხტომებს, სწორედ ეს ათამამებდა მათ და იმის განცდას უჩენდა, რომ ჩვენ საპასუხო არაფერი გვქონდა.

დღეიდან ასე აღარ იქნება!

ამ წერილის შექმნასაც გააჩნია კონკრეტული მიზეზი.

გაზეთ **“ასავალ-დასავალ”**-ის კორესპონდენტმა ბატონმა ჯაბა ხუბუამ გაზეთ **“ილორის”** მთავარი რედაქტორის, ბატონ როლანდ ჯალაღანიასაგან აიღო ინტერვიუ, რომელიც დაიბეჭდა (№28 (875) 11-17 ივლისი 2011 წელი) სათაურით **“საკაშვილს დიდი მისია აქვს შესასრულებელი – 2013 წლამდე სამცხე-ჯავახეთი გოდერძის უღელტეხილიანად უნდა ჩაბაროს სომხეთს!”** მეორე დღესვე ინტერნეტსაიტ **“პრესა-გე”**-ში გამოქვეყნდა საქართველოში სომხური დიასპორას დამფუძნებლის ბატონ არნოლდ სტეპანიანის ინტერვიუ, რომელშიც მან პირწავარდნილ ქსენოფობებად და სომეხთმოძულეებად გამოაცხადა რამდენიმე სულიერი მოძღვარი და ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის **როლანდ ჯალაღანია** და ბატონი **ჯაბა ხუბუაც**. როგორც ჩანს, ბატონმა სტეპანიანმა ან არ იცის სიტყვა **“ქსენოფობის”** მნიშვნელობა, ან საერთოდ არ არის გაცნობილი სომხეთის რელიგიურ და ეთნიკურ ისტორიას. კიდევ ერთხელ განვმარტავთ: ქსენოფობია არის ის, როცა ადამიანს განუცხადებს: **“შენ ცუდი ხარ, იმიტომ, რომ ხარ სომეხი”!**

ღმერთმა დაგვიფაროს ამგვარი არაქრისტიანული საქციელისაგან!

მაგრამ, როცა სომეხ კაცს შეახსენებ თუ რამდენი სიბოროტე ჩაუდენიათ საქართველოს წინააღმდეგ მათ შორეულ თუ ახლო წინაპრებს, და რომ ეს სიბოროტე დღესაც გრძელდება, ეს ქსენოფობია კი არა, რეალური ფაქტების წარმოჩენა გახლავთ, რათა მავანმა დღეს მაინც ისწავლოს ჭკუა და მომავალში მაინც არ გააგრძელოს მტრული ქმედებები საქართველოსადმი. გამორიცხული არ არის, რომ მისგან ქსენოფობად მონათლულმა რომელიმე შეურაცხყოფილმა ადამიანმა სასამართლოშიც კი შეიტანოს საჩივარი სტეპანიანის წინააღმდეგ ცილისწამების ბრალდებით, მაგრამ ჩვენ თავს არ ვუყადრებთ მას და პასუხს გაზეთის მეშვეობით გავცემთ.

დიდი რუსი პუბლიცისტი **ვასილ ველიჩკო** თავის **„კავკასიაში“** ამბობს: **“არანაკლებ ჰუმანური ყემჩუჟნიკოვი (“კოზმა პრუტკოვში”) ამ სიტყვებს ამღერებს:**

“ვწევარ ვიწრო ლოგინზე,
მეზობელ პალატაში კი
ყვირის სომეხი...”

სიტყვა “ყვირის” ძალზე ტიპიურია. სომხები მართლაც გამუდმებით ყვირიან – არ შეუშვებ შენს სახლში, დროზე გაუგებ მზაკვრულ ჩანაფიქრს, თუ წვრილმან ქურდობაზე დაიჭერენ მათი წრის წარმომადგენელს – ისინი თავადაც ყვირიან და სხვა ერის სულელ თუ მოსყიდულ ადამიანებსაც აყვირებენ...”

გაოცებას ვერ დამალავს ადამიანი, ისეთი სიზუსტით აქვს გადმოცემული რუსი ეროვნების ვასილ ველიჩკოს სომხების მტაცებლური ბუნება და აშკარად არაქრისტიანული ფსიქოლოგია!

სომხების უკანასკნელი ნაძირალობა გახლავთ ის, რომ მათი საქართველოში სათვისტომოს დამფუძნებელმა არნოლდ სტეპანიანმა საქართველოში, ამ უკანასკნელ ჟამს, თურმე ქსენოფობიის 38 **“შემთხვევა დააფიქსირა”,** ეს სია ინგლისურ ენაზე შეადგინა და ბროშურად გამოსცა. ფაქტია, რომ ამ ბროშურებს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს დაურიგებენ, რათა დაარწმუნონ საერთაშორისო საზოგადოება, თუ როგორ ავიწროებენ ქართველები ისტორიულად მოძმე ეთნიკურ სომხებს.

ეს ის სტეპანიანი გახლავთ, რომელიც მხარს უჭერს ჯავახეთის სომხურ ავტონომიად გამოცხადებას და საქართველოში უამრავი ბიზნესი გააჩნია, საიდან მიღებულ თანხებს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ბინძურ სომხურ კამპანიას უთმობს.

რომ არ ვიყოთ ზედაპირულები, გვსურს რამდენიმე შეკითხვა დავუსვათ ბატონ არნოლდ სტეპანიანს, რომლისგან ამ შეკითხვებზე სათანადო პასუხის მიღების შემდეგ შეგვეძლება წერტილი დავუსვათ (ან არ დავუსვათ) ამ სიცრუე-ჭეშმარიტების დაუმთავრებელ ჭიდილს.

– არიან თუ არა სომხები მონოფიზიტები?

– არსებობს თუ არა კათალიკოს ოვანეს მეოთხის ანათემა, რომელზეც მან დიოფიზიტი მართლმადიდებლები გადასცა?

– მოხსნილია თუ არა ეს წყევლა დღეს ეჩმიაძინის მიერ?

– არის თუ არა ეჩმიაძინის მიერ წმინდანად აღიარებული ოვანეს მეოთხე?

– მიიჩნევთ თუ არა, რომ ჯავახეთი სომხური მიწაა, და თუ მიიჩნევთ, რა ისტორიული წყაროების საფუძველზე?

– არის თუ არა სიმღერები “ჩაკრულო” და “მრავალჟამიერი” სომხური ხალხური ფოლკლორის ნაწილი?

– მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქართული პროდუქცია ჩურჩხელა, ხაჭაპური, ღვინო “საფერავი”, შოთის პური სომხური წარმომავლობისაა?

– არის თუ არა ლორე და ტაშირი ძირძველი ქართული მიწები?

– მიგაჩნიათ თუ არა, რომ თბილისი სომხური ქალაქია?

– მართლა გჯერათ რომ ქართული ანბანი შექმნა მესროპ მაშტოცმა (რაც გამოაქვეყნა ენციკლოპედია “ბრიტანიკმა”) და თუ გჯერათ, რომელ ისტორიულ წყაროს ეყრდნობით?

– თუ არ გჯერათ, რატომ არ გააპროტესტეთ ეს სიცრუე სომხებმა?

– თვლით თუ არა, რომ შოთა რუსთაველი ეროვნებით სომეხია, და თუ ასე თვლით, რომელ ისტორიულ წყაროს ეყრდნობით?

– თვლით თუ არა, რომ ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი ეროვნებით სომეხი იყო? თუ თვლით, რომელ წყაროს ეყრდნობით?

– 1918 წელს ომი ახლადდამოკიდებამოპოვებული საქართველოს წინააღმდეგ წამოიწყეს თუ არა სომხებმა? თუ ჩათვლით, რომ არ წამოუწყიათ, დაადასტურეთ ისტორიული მასალებით!

– დიდი რუსი პუბლიცისტი ვასილ ველიჩკო თავის წიგნში “კავკასია” ადასტურებს, რომ მე-19 საუკუნეში ეჩმიაძინში იდგა ყალბი ფულის საჭრელი მანქანა, იმიტომ, რომ იქ პოლიცია ვერ შედიოდა. რას გვეტყვით ამ ფაქტის თაობაზე?

– იბრძოდა თუ არა 1993-1994 წლებში აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ სომხური ე.წ. “ბაგრამიანი”-ს ბატალიონი და რა ზომები მიიღო სომხეთის ხელისუფლებამ მათ შესაჩერებლად?

– მიგაჩნიათ თუ არა ობიექტურად, რომ ქრისტეს საფლავთან მორიგეობენ ის სომეხი მონოფიზიტები, რომლებიც არ აღიარებენ ქრისტეს ადამიანურ საწყისს?

– რატომ ხდება, რომ თითქმის ყოველ წელს ათასამდე სომეხი ქართულ გვარზე გადადის და ქართველობას აღიარებს. პირიქით კი ჯერ არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. თვლით რომ სომხები საქართველოში დისკრიმინაცია განიცდიან? თუ ასე მიიჩნევთ, მოგვაწოდეთ დისკრიმინაციის კონკრეტული შემთხვევა.

– რამე თუ გსმენიათ სომეხი ნახარარების აბოსა და მეჯნუნის ქართველებისადმი ღალატზე, რომლებიც თბილისში შემოუძღვნენ აღა-მახმად ხანის ჯარს და როგორ აფასებთ მათ საქციელს?

ჩვენ, ორიოდ წლის წინ, ქართულ-ინგლისურ ენებზე გამოვაქვეყნეთ წიგნი **“ჭეშმარიტება და სომხური სიმართლე”**, რომლის რამდენიმე ეგზემპლარი საქართველოს საპატრიარქოსაც გავუგზავნეთ. სამწუხაროდ, ამ წიგნს, სადაც მხილებული სომეხთა უკეთური საქმეები ქართველებისა და ქრისტიანებისადმი, არავინ გამოგვეხმაურა. ახლა კი, როცა გამოაშკარავდა სომეხთა მზაკვრობა და ნაცვლად მობოდიშებისა მათ ქსენოფობიაში დაგვდეს ბრალი, თანაც ინგლისუე ენაზე გამოაქვეყნეს ბროშურა, ჩვენ გვინდა გამოვაქვეყნოთ ქართულ-ინგლისურ ენაზე შესრულებული ნაწყვეტი აღნიშნული წიგნიდან, რათა ჩვენც გადავცეთ საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის დიპკორპუსის წარმომადგენლებს, რომელთაც ჯერჯერობით ჭეშმარიტებაზე ხელი ვერ მიუწვდებათ!

ეს ღონისძიება თუნდაც იმიტომ ჩავთვალეთ აუცილებლად, რომ სტეპანიანი სომხური **“გულახდილობით”** აღნიშნავს თავის სტატიაში – **“...სომხეთის სამოციქულო ეკლესია ყველაზე ძველი ქრისტიანული ეკლესიაა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სიძველით მესამეა, ასე რომ, კულტურული მეტოქეობის ნიშნები სახეზეა...”**-ო.

თუ როგორი **“ქრისტიანულია”** სომხური მონოფიზიტური ეკლესია, ამის თაობაზე დაწვრილებით მოგვითხრობდა დიდი რუსი პუბლიცისტი ვასილ ველიჩკო თავის წიგნში **“კავკასია”,** რომელიც ისტორიული წყაროების საფუძველზე ამტკიცებს, რომ სომხური მონოფიზიტური ეკლესია არის ერეტიკული სექტა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ჭეშმარიტ ქრისტიანობასთან. ამდენად, არ შეიძლება არსებობდეს რაიმე მეტოქეობა ქართულ და სომხურ სარწმუნოებას შორის!

ამრიგად, სომხების №1 ქრისტიანობად გამოცხადება იგივე ერესია, როგორც თვით მათი მონოფიზიტური სარწმუნოება! და სწორედ მათთვის ამგვარ უხერხულ მხილებებს ეძახიან სომხები ქსენოფობიას, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათ მზაკვრულ ბუნებაზე.

ახლა კი გთავაზობთ ქართულ –ინგლისურ ენებზე შედგენილი წერილის ტექსტს, რომლითაც ჩვენ მსოფლიოს ყველა რელიგიურ კონფესიას მივმართეთ!

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).

მიწის მეურნეობა: სიმინდი, პურის ჯიშები, მეაბრეშუმეობა, სხვადასხვა კულტურები.

მუხუდო, ოსპი, ლობიო და სხვა. მუხუდოს სხვა და სხვა გვარს, ოსპს, ზანდურს სხვა და სხვა გვარს, ლობიოს სხვა და სხვა გვარს, დოგვს სთესენ ლეჩხუმში მრავალს, აგრეთვე ქვემო ოდიშს მეგრელიას ხანდურს ლობიოს, ხანჭკოლას მრავალს სთესავენ და ჰყიდიან იმერეთში, რაჭასა და გურიას. კომბოსტო ყვავილოიანი, კარტოფილი და სხვანი მებრნი საბახჩეულო მრავალი ახლად შემოღებული არიან და გამოცდილება ქმნილ არს თვით მთავრის დადიანის მიერ და მარჯვეთ მოეზავა ავასა, გარნა ჯერეთ არა განუვრცელებელ არიან ესენი საზოგადოდ მცხოვრებთა შორის.

ბრინჯის თესვასა განირთვიან სამეგრელოს სამთავროსა შინა ძველთაგან ძველ უხსოვარის დროიდან მხოლოდ ორი, ზუგდიდის მაზრის სოფელსა ხეთისა და ხორგის მცხოვრებნი; ბრინჯსა ამას არა რწყავენ, არამედ უძებნიან ნოტიოიან ალაგს და არს ფერით მოწითანო, ნოვაგათ გემრიელი წვრილი მარცვლები, სთესენ დამლევ მარტს, მოიწევის ოქტომბერში, ნაყოფ გამომღებლობა ერთი ათათ და ისყიდება ყოველსა მიგრელიას მკვიდრთა შორის და უმცირეს ნაწილს იმერეთსა შინა.

ფეტვსა სთესენ დაღა თუ ზოგათ მცხოვრებელნი, არამედ უმეტეს საკენკად ბუბლართა და ნაკლუვანების დროს გამოაცხობენ ფქვილის პურებ, გარნა არა ეგოდენ ნოყიერ და გემრიელ არს, ვითარცა სიმინდისაგან ქმნული უცომოთ. ორი გვარი არს ფეტვი თეთრათ და შავათ წოდებული, თეთრი ფეტვი უფრო შავისა ნაყოფიერ არს არამედ შავს აქვს თვისი სასარგებლო ხასიათი, რომელ თვენახევრით უადრეს თეთრსა მოიწევის.

კვახი. კვახს უწოდებენ გოგრათასა და არს სხვა და სხვა გვარისა ძლიერ დიდ-დიდისა და მცირე-მცირესი და სთესვენ ზოგად მცხოვრებნი სამეგრელოისანი და ხმარობენ საზრდოთ სხვა-და-სხვა მაგვარათ, ხოლო არს გემრიელი ნოყიერი და შემრგე.

ვაზი. სავენახე არს ორ გვარი: დობილო და სავენახე. დობილოდ უწოდებენ ვაზთა მიერ აშვებულთა მაღალთა ხეთა ზედა, რომელთაცა აშვებიდგან ხეზე არრა გასხვლენ ათ-თორმეტი წლის და ადგილ-ადგილ ათ-თხუთმეტი წლისაც განმავლობაში და მერმე გადასჭრიან რტოთა რომელნი ნამეტნავათ აღორძინებულ იქნებიან და დამაჩრდილობელ ვაზთა და თვით ვაზთაცა გასხვლენ და მესამე წელს კვალადვე გამოიღებს ნაყოფსა ნასხლევი იგი და ადგილთა მათზედა დასთესვენ მას წელიწადს ღომს თუ სიმინდს და ესრერითა სახითა ისხვლების მარადის ვაზი და ესრეთ ყოფენ ამასს, რამეთუ კერძო ქვემოისა მეგრელიისა არს დაბლობი და ქვემდებარე სარწყულობათა და ამათ ძლით წამოანთა ბუღთა, რომელსაც დაღათუ უმაღლეს ძლიერისა ბუღისა ამოორთქლილის ჭენჭყობთან არა იქნა: ისურში (?) ერთიან გაშავჭანდებიან და მით დასნეულებულ ჩამოცვივდებიან, მაგრამ რა მაღლობზედ იქნება მტევანი ვაზისა მას მზე და ქარი უადვილესათ გააშრობს და მის ძალით დაცამწიფდის ჟამსა თვისსა, სხვები, ყურძენი ექვემდებარება ყოველსა გვარსა სნეულებასა ვითარცა ევროპასა შინა და სხვათა მხარეთა. **ვენახი** ეწოდების მას სადაც ქვეემდებარება ადგილი უმცირესსა სინესტეს და არს ჰაერი მშრალი მუნ დაბალს ვენახს აშენებენ ვითარ იგი ზემო მეგრელიაშიდ ლეჩხუმს უმეტეს ნაწილში ადგილებთა ბანძისათა ქვემომეგრელიაშიდ და მის წელს, რომელსა გვალა იქნების საკმაო მოსავალი მოიწევის და უპირველესი ღვინო არს ოჯალეშისა, რომელიცა მოდის სალხინოს მადალს ხურმის ხეებზედ აშვებულს ვენახის ნაყოფთაგან, აგრეთვე სხვა ღვინოებიც კარგი ზოგ-ზოგ ალაგას და ზოგ-ზოგ ალაგს მდარე, გარნა ყოველგან მრავალი და სყიდიან იმერეთს და შავს ზღვის ნაპირას ციხეებში და სინაგან სამთავროისა მცხოვრებელნიცა დიდძალსა სმენ, ასე რომ არცა დიდი, არცა მომცრო მოხუცებამდის ყმათაგან არ არიან დარჩენილი რომ ყველანი არა სვამდნენ საკმაოდ, აგრეთვე მთხლისა და ჭაჭისგან ხდიან ოტკას, რაოდენობა გასასყიდელისა და მოსავლისა განსაზღვრა შეუძლებელია, ხოლო სთელვენ ყურძენს ოჯალეშისასა დეკემბერს პირველ რიცხვში სხვა ყურძენთა უადრეს ვითა და სად რა ჟამს მოიწევის, არიან კვალად თეთრი ღვინოცა ნაქები: ჭკვიშური, წილანჯიხური, ჭაქვიშური და ჭიტილოური.

აბრეშუმი: ძველთა დროითგანვე გამოაკეთებდიან მომცრო და მომცრო თავის ოჯახისა საჭიროებისათვის ჩასაცმელათ, გარნა ეს მეშვიდე წელიწადია განამრავლეს თუთის ხეები მცხოვრებთა და ეს მეორე წელიწადია ფაბრიკაც გადაკეთდა ზუგდიდს გრაფ როზმორდუქის მიერ, რომელიც სყიდულობს პარკსა და ახვევს ფრანციულ გვარათ. ამან მოიყვანა თან ორი დედაკაცი ფრანციიდან აბრეშუმის ამოხვევის ოსტატნი და პირველ წელიწადსვე ასწავლეს ამათ სხვათა ქალთა აქაურთა გვარი ხვევისა და აწ უკვე არიან ათ-თხუთმეტ მცოდნე ქალი აქაური, რომელნიცა მსგავსად ფრანციული ქალებისა ახვევენ. ეხლა შენდება დიდი ფაბრიკა, სადაცა დაიდგმის თავის გამართულობით სამოცი მაშინა და წელსვე იწყებს მოქმედებას. შარშან პირველად ამოიხვა ათსა-მეტი ფუთი ძაფი აბრეშუმისა და გაისყიდა ლიონსა შინა ორას ერგასის მანეთად თითოეული ფუთი. წელს ამონახვევი ათის გორგლისგან შეაწევს ოცდაათ ფუტამდე; მცხოვრებთა უწინ არ ესიამოვნებოდათ ფაბრიკის გაჩენა ზუგდიდს, რამეთუ არა იცოდნენ ნაყოფი სარგებლობისა მისის და იყვნენ დიდი წინაამდგომნი, გარნა რა გასინჯეს ორის მოსავლის პარკათ გაყიდვის სარგებლობა, ახლა განამრავლეს მოწევა პარკებისა და ქალნიც წადიერათ გამოდიან მხევლებათ, ხოლო მცხოვრებთა ოჯახში გაკეთებული აბრეშუმი ისყიდება თბილისს, გააქვთ ოსმალოში, აგრეთვე აფხაზეთში ვიდრე სამი ათას ფუთამდე კარგ მოსავალზედ ფასი ორმოცის მანეთიდან ფუთში ვიდრე ერგასისამდე უმეტეს ნაწილს ხმარობენ მცხოვრებნივე გამოიქმან მისგან დარაიას, სამალაჯას, ქათანას ქვეშსაგებათ, პერანგებათ, კაბებათ და სარტყლებათ, სამალაჯა ისყიდება ორ მანეთად და სამათ, ქათანა შვიდ აბაზათ, დარაია მანეთათ. თვალსაჩინო განდიდებასა თანა სახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლე დასავლეთიდან მოდის

„ჩემზედ ამბობენ: ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიმულვილია!
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს
– ამ სიმულვილში რაოდენი სიყვარულია!“

ქართული სინამდვილით აღშფოთებული ილია ჭავჭავაძე უდიდესი შინაგანი განცდითა და ტკივილით წერდა ამ სიტყვებს.

მოთხრობაში **„კაცია ადამიანი?!“** მან მკაცრად ამხილა თანამემამულეთა სიზარმაცე, დაუდევრობა, მუცელღმერთობა.

პირუტყვის დონემდე დასული ლუარსაბი და დარეჯანი გარდაცვალების ღირსადაც არ ჩათვალა მწერალმა.

„მოკვდა ლუარსაბიც ისე, როგორც იხოცებიან ბევრი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანას და არც თავის სიკვდილით აკლებენ.“

ლექსი **„ბედნიერი ერი“** კიდევ ერთი ლახვარი იყო ილიას თანამედროვე ქართველობისათვის.

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე დიდი,
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.“

სად არ იყო იგი – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რუსეთის სახელმწიფო სათათბირო, გაზეთი **„ივერია“**, ქართული ბანკი, თეატრი.

საქართველოში არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელსაც ილია თავისი სიტყვითა და კალმით არ გამოხმაურებოდა.

ზედაზნის მთებიდან საგურამოს მამულში თვითონ გამოიყვანა წყარო. პირადი ცხოვრებით მაგალითს უჩვენებდა გარშემომყოფთ როგორ უნდა ემოქმედათ, რა ეკეთებინათ ეკონომიურად წელში რომ გამართულიყვნენ, რამეთუ ეკონომიური ძლიერება ყოველთვის მიაჩნდა პოლიტიკური ძლიერების ქვაკუთხედად.

სულისშემძვრელად ტკიოდა და განიცდიდა ქვეყანაში არსებულ ვითარებას, ამიტომაც პირუთვნელად ამხელდა უბადრუკ ქართულ ყოფასა და მწარე სინამდვილეს.

მოთხრობა **„ოთარაანთ ქვრივი“** – ნატვრაა, ოცნებაა იმაზე, როგორი უნდა იყოს ოჯახი და სახელმწიფო.

ნიშანდობლივია ისიც რომ **„ოთარაანთ ქვრივის კარ–მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად“** – (ასეთი პატრონი რომ გვყოლოდა, თავზე არ დაგვასხდებოდნენ ათასი ჯურის ვიგინდარები ეკლესია–მონასტრებს რომ გვართმევენ და ხმა ვერ ამოგვიღია – **ხაზი ჩემია – დ. ცეკვავა**).

ოთარაანთ ქვრივის ქისა ბიუჯეტის ხარჯების გადანაწილების არაჩვეულებრივი მაგალითია.

დასუფთავებული, მოვლილი სახლ–კარი და ეზო თავისთავში ატარებს მოწესრიგებული სახელმწიფოს მოდელს.

რეალური ცხოვრებით აღშფოთებული ილია შეძრწუნებული კითხულობდა:

„ოხ ღმერთო ჩემო: სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“

1903 წლის მაისში ილია ჭავჭავაძე დასავლეთ საქართველოს ეწვია.

ძმების შერვაშიძეების ვრცელ ეზოში სადილი გაუმართეს დიდ მწერალსა და მამულიშვილს.

სამადლობელი სიტყვის წარმოსათქმელად ფეხზე წამომდგარმა ილიამ საოცრად თბილი, უჩვეულოდ ლამაზი სიტყვებით მიმართა საზოგადოებას. წერილი თედო სახოკიას მოგონებიდან იბეჭდება შემოკლებით).

„ბატონებო, დიდის პატივისცემით მოგესალმებით! ბედნიერი გახლავართ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს, კალმით დახატულს კუთხეს და მის მშვენიერსავე ხალხს...

თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად არ დავეჩაგვრინებით. რომაელთა ერთი თქმა მაგონდება: სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქერთ, ეს თქმა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსათვის მაინც–მეთქი!

თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს.

თქვენი მომძენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრალისნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიური მოღონიერებისკენ. იქ ყველანი ჩვენ გვჩაგრავენ, თავზე გვასხდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებთ გული მინათლდება, სასოებით მევსება: მთელი ქალაქი თქვენს ხელშია, აქაურობის ბატონ–პატრონი თქვენ ხართ, გეტყობათ დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთიორად აქციოთ.

დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მომმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივი ძალით მამა–პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევინარჩუნოთ“.

სამწუხაროდ, მამა–პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა ქვეყანა ვერ ვერ შევინარჩუნეთ.

მავანმა და მავანმა ბედოვლათმა და მოღალატემ ზვიად გამსახურდიას სიმულვილს გადააყოლა აფხაზეთი და სამაჩაბლო, ავადსახსენებელმა „მხედრიონმა“ გადაწვა და გადაბუგა აფხაზეთი და სამეგრელო, შურმა და ბოღმამ წალეკა სრულიად საქართველო, ხოლო აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში ხიზნებად იქცა.

დალი ცეკვავა,
თბილისი

ფანტასტიური ჭეშმარიტება

ენის წარმოშობის საკითხი მუდამ იყო ენათმეცნიერების განსაკუთრებული ინტერესის საგანი. წალენჯიხის რაიონის მკვიდრის – მამანტი ძაძამიასა და მისი ქალიშვილის – ცირას ერთობლივი ნაშრომებით ენათმეცნიერების ისტორიში პირველად იქნა ამოხსნილი საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხი – ენის წარმოშობა. სრული საბუთიანობით, გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის ლექსიკის მოხმობითა და მისი სიტყვაწარმომავლობის სრული წარმოჩენით მათ ეს საკითხი წარმოადგინეს 2007 წელს გამოცემული ნაშრომით „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმომავლობა“, სადაც ყოველმხრივ დასაბუთებულია ზოგადად ენის და კერძოდ – მეგრული ენის წარმოშობის ჭეშმარიტი საფუძვლები.

გაზეთ „ILORS“ თავის მოსაზრებას უზიარებს ცნობილი ენათმეცნიერი, შვიდი აკადემიის აკადმიკოსი ბატონი მამანტი ძაძამია.

– ბატონო მამანტი, რაზე მუშაობთ ამჟამად და რას ჰპირდებით მკითხველს მომავალში?

– ჩვენ დღეისათვის გაგვაჩნია 200-დან 800-მდე ერთობლივი გამოქვეყნებული თუ ჯერაც გამოუქვეყნებელი საენათმეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია. ამჟამად ვამთავრებთ სამტომეულს სახელწოდებით **„საინტერესო მონაცემები ცალკეული საენათმეცნიერო და ზოგადსამეცნიერო პრობლემათა ჭრილში“.** სამტომეულში სხვა საკითხებთან ერთად წარმოდგენილია მეგრული ლექსიკის მონაცემების დამატებითი კვლევა-ძიების შედეგები.

– რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს შედეგები?

– მოგეხსენებათ, შვიდტომეულში მეგრული ენის ლექსიკას უკავია 4,5 ტომი. ეს ლექსიკა აქ წარმოდგენილია ცალკე ზმნური ფონდისა და ცალკე სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკის სახით. შვიდტომეულის მიხედვით, მეგრული ენის ლექსიკა ითვლის 102.773.897 სიტყვას (იშვიათად ხმარებადი პარალელური და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ). თანამედროვე მეგრულში კი მეტნაკლები სიხშირით იხმარება 20 მილიონზე მეტი სიტყვა. სამტომეულში სხვა საკითხებთან ერთად ზმნური ფორმების დაანგარიშებას, ვითარება ერთი შეხედვით დაუჯერებელი, ფანტასტიკური ჩანს, მაგრამ იგი სინამდვილეა.

– ბატონო მამანტი, რითაა განპირობებული მეგრული ენის ესოდენ კოლოსალური სიმდიდრე?

– მეგრული ენის სიმდიდრის საფუძველი საგანთა უნივერსალური სამყაროს აურაცხელი მრავალფეროვნება და ამ ენის მიერ მისი აღწერაა. აღნიშვნა-წარმოდგენის განსაკუთრებული უნარი, ძირისეული თანხმოვნური ფორმების უხვი აფიქსაცია-გრამატიზაციის მეშვეობით. ჩვენს ნაშრომებში წარმოჩენილ-დასაბუთებულია, რომ პირველყოფილი მეტყველება ეს იყო მეტყველება – ხმა მიბაძვით; შორის დებულებისაგან მიღებული ძირეული თანხმოვნური ფორმებით. მაგალითად: **„ჯღრრრ, ჯღრრრ“** გვესმის ჩვენ ერთ-ერთი ფრინველის ძახილი და ამ ფრინველს მეგრულად დღემდე ქვია **„ჯირჯღ“** ქართულად ჩხართვი).

– ბატონო მამანტი, თქვენი აზრით, როდის უნდა წარმოშობილიყო ენა საერთოდ? და რა ასაკისაა მსოფლიოს თანამედროვე ენები? მათ შორის ქართველური ენები?

– ენათმეცნიერებაში აქამდე დამკვიდრებული მოსაზრებების მიხედვით, დედამიწაზე ადამიანის არსებობისა და, მაშასადამე, საერთო ენის ასაკი განისაზღვრება დაახლოებით ერთი მილიონი წლით, ხოლო თანამედროვე ენების ასაკი – 10 000 წლით. ჩემი მოსაზრებით, დედამიწაზე ადამიანის და ენის არსებობის ისტორია შეიძლება ითქვას დაახლოებით 2 000 000 წელს ითვლის. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ხალხთა ენებდან ადამის მოდგმას **ადამიანი** მხოლოდ ქართულ-ქართველურ ენებში ეწოდება რაც უდაოდ შემთხვევითი არ არის, ამიტომაც მიმაჩნია, რომ წინარე ქართველური, იგივე პროტოქართველური, პრექართველური თუ იაფეტური ენა, სულ ერთია მას რას ვუწოდებთ და მისი უშუალო გაგრძელება მეგრული ენა სხვა ქართველურ ენებთან ერთად წარმოადგენს ადამჟამიერ ანუ ადამის დროინდელ ენას.

– ბატონო მამანტი, მეგრულ და ქართულ ენებს შორის არსებული განსხვავებანი ხომ არ მიუთითებს ამ ენების ცალ-ცალკე დამოუკიდებელ წარმომავლობაზე?

– არა! ქართველური ტომები ერთიანი წარმომავლობისაა და ტომობრივი ენებიც ერთიანი წინაარე ქართველური ენიდან გენეტიკურად მომდინარე ენებია. მათი ერთიანი წარმომავლობა და მონათესაობა ჩვენს ნაშრომებში ყოველმხრივ დასაბუთებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ მეგრული ენა უშუალოდ გაგრძელებაა კოლხური ენისა, ასევეა ჭანური (ლაზური) ენაც, ხოლო სვანური ენა კი ენათმეცნიერებაში მიღებული მოსაზრებებით კოლხურისა და ადიღეურის ნაერთ ენას წარმოადგენს. რასაკვირველია, მეგრულ და სხვა ქართველურ ენებს ძველთაგანვე ენებად მიიჩნევდნენ როგორც ქართველი ის უცხოელი ენათმეცნიერები, მაგრამ, ამ 10 წლის წინ ერთეულმა ქართველმა ენათეცნიერებმა წამოაყენეს მოსაზრება მეგრულის, ჭანურისა და სვანურის, როგორც ენების არარსებობის შესახებ და დღემდე ყოველი ხერხით ცდილობენ იმის დამტკიცებას რომ ისინი ქართულის დიალექტები არიან. ჩვენი მონაცემებიდან, თუნდაც მხოლოდ მეგრული ლექსიკის სიმდიდრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განა შეიძლება 120 000 000 (გნებავთ 1 000 000) სიტყვის მქონე ენა მიჩნეულ იქნას 113 000 გნებავთ 120 000 და, თუნდაც, 200 000 და ბევრად მეტი სიტყვის დიალექტად? ცხადია არა.

არა მხოლოდ პირველყოფილი ენა თუ ენები, არამედ შემდგომ წარმოშობილი ენებიც შექმნილია ერთი და იმავე ყოვლისშემქმნელი ძალის მიერ, ამიტომაც ნებისმიერი ენის დისკრედიტაცია, წაბიძგებაა გადაშენებისაკენ, რაც, ამავე დროს, ნიშნავს მოცემული ენის მატარებელი ხალხის წაბიძგებას გადაშენებისაკენ, სხვა არაფერია, თუ არა აშკარა ბრძოლა მისი შემქმნელი ძალის წინააღმდეგ. კოლხური ენა, და მისი უშუალო გაგრძელება მეგრული ენა, მოძმე ქართველურ ენებთან ერთად დიდი წმინდანებისა და ღმერთების ენაა, შექმნილია მთლიანად ქვენიერების შემქმნელი უდიდესი ძალის მიერ და მათი უგულვებელოფა, დისკრედიტაციის მცდელობა და წაბიძგება გადაშენებისაკენ. მოკლედ და ყოვლის მეტყველად რომ ვთქვათ **„ვაშინერც, ვაშინერც, ვაშინერც“!**

ესაუბრა
ლადო ძირია

***P.S.** ძალიან სამწუხაროა, რომ ბატონ მამანტი ძაძამიას შერყეულია აქვს ჯანრთელობა, მძიმე ავადმყოფია. არადა, დროული მკურნალობის შემთხვევაში 71 წლის ენათმეცნიერს კიდევ მრავალი კეთილი საქმის გაკეთება შეუძლია. ინტერესმოკლებული არ იქნება, მკითხველს გავაცნო წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის უხუცესთა საბჭოს თავმჯომარის, 92 წლის ზაგანბეი გოგოხიას მიერ გაგზავნილი წერილი საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრ ანდრია ურუშაძისადმი:*

„ბატონო მინისტრო! მე, ამ განცხადების ავტორი, 92 წლის ბერიკაცი ვარ და თქვენმა მცირედმა დახმარებამ შეიძლება სიცოცხლე გამიხანგრძლივოს, მაგრამ არაფერს გთხოვთ და არც შეგაწუხებთ. წალენჯიხის რაიონის სოფელ ეწერში ცხოვრობს 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, შვიდი აკადემიის აკადემიკოსი ბატონი მამანტი ძაძამია. იგი თავის ქალიშვილ ცირასთან ერთად ავტორია 3200-მდე საენათმეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის დიდი შვიდტომეულისა. ამ ნაშრომებით მათ პირველად ენათმეცნიერების ისტორიაში ამოხსნეს ენის წარმოშობის საფუძვლები, რაც აქამდე მსოფლიო ენათმეცნიერებას შეუძლებლად მიაჩნდა. ამის დასტურია 200-მდე რეცენზია-შეფასებები და სამეცნიერო ტიტულები, რაც მათ მიენიჭათ. ბატონი ძაძამია ჩვენი დროის ქართველი ჯორდანო ბრუნოა, ოღონდ ენათმეცნიერებში. ასეთი პიროვნება, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამის მოცემა შუძლია, გულის იშემიური დაავადებით არის ავად და სამკურნალო სახსრები ოჯახს არ გააჩნია. 4-ჯერ გაიგზავნა სათანადო დოკუმენტი სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოში, მაგრამ უშედეგოდ, ამიტომ გადავწყვიტე პირადად თქვენი შეწუხება, რათა გამეცნო უშუალოდ თქვენთვის მამანტი ძაძამიას პიროვნება და უმორჩილესად მეთხოვა, რომ დაეხმაროთ, რათა საგენტოს ახალმა ხელმძღვანელობამ გადასინჯოს ძველი ხელმძღვანელობის დროს შესული საბუთები და გამოუყონ მას კუთვნილი პოლისი“.

იმედია, მინისტრი გაითვალისწინებს 92 წლის პატივცემული ადამიანის თხოვნას და ცნობილ ენათმეცნიერს, მამანტი ძაძამიას დაუბრუნებს ცხოვრებისა და შემოქმედების ხალისს.

ილია მეორე რუსეთ-საქართველოს მეგობრობის აღდგენის საქმეში საკუთარ და რუსეთის პატრიარქის დიდ პასუხისმგებლობაზე საუბრობს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე რუსეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობების აღდგენის ხელშეწყობას საკუთარ ვალად თვლის და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილს მოუწოდებს, **„რუსეთ-საქართველოს მეგობრობა ერთობლივად აღადგინონ“.**

„თქვენო უწმიდესობავ! ის პოლიტიკური ურთიერთობები, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის შეიქმნა, აბსოლუტურად დაუშვებელია. ჩვენ მოძმე მართლმადიდებელი ერები ვართ და ეს ურთიერთობები ჩვენი მოშურნე მტრების მიერ შეიქმნა. ჩვენ ყველაფერი შესაძლებელი უნდა გავაკეთოთ, რათა ჩვენს ერებსა და სახელმწიფოებს შორის მეგობრობა და ძმობა აღდგეს. ჩვენ, თქვენო უწმიდესობავ, დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. მე თქვენი სიბრძნის იმედი მაქვს. მე თქვენ მრავალი წელია, გიცნობთ. თქვენ რუსეთისა და საქართველოს ისტორიაში ისე უნდა შეხვიდეთ, როგორც მშვიდობისმყოფელი, ადამიანი, რომელმაც ორ ერს შორის მშვიდობა შექმნა“, – განაცხადა პატრიარქმა ლიტურგიის დასრულების შემდეგ, რომელიც რუსეთის პატრიარქსა და უკრაინისა და მინსკის მიტროპოლიტებთან ერთად აღავლინა.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა კი აღნიშნა, რომ **„ლოცვითა და შრომით ხალხებს, ერებსა და, განსაკუთებით, ერთმორწმუნე ერებს შორის მშვიდობა აღდგება“.**

„ჩვენ ვაფასებთ თქვენს მოღვაწეობას საქართველოს პატრიარქის თანამდებობაზე. თქვენ, ერთი მხრივ, ახალი ეპარქიების გახსნის, სასულიერო პირთა ხელდასხმის, ტაძრების ამოქმედების, უამრავი ხალხის რწმენისკენ მობრუნების, ქართველი ხალხის ცხოვრებაში ქართული ეკლესიის უდიდესი როლის აღდგენის სასიხარულო მისია გხვდათ წილად, მეორე მხრივ კი, უდიდესი წუხილი და უდიდესი ძალისხმევა ეკლესიისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ“,– ბრძანა პატრიარქმა კირილმა.

იდეა
ეროვნული პატრიოტიზმი



ბერიას რეზოლუციები და კაპიცას წერილები

ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ბერია მართვის საქმეთა დიდოსტატი გახლდათ, და ვვარაუდობ, რომ მკითხველისათვის წინამდებარე წიგნის ამგვარი კონსტატაცია ტრივიალური გახლავთ. მისადმი უარყოფითად განწყობილი ადამიანები კი იძულებული არიან აღიარონ, რომ, მართალია, ბერია **"ბოროტი სული"** იყო, მაგრამ, ამავდროულად, იყო გამორჩეული ორგანიზატორი და **"ხალხთან მუშაობა შეეძლო"**.

მაგრამ ამ წიგნში მე ასევე მინდა წარმოვაჩინო ლავრენტი ბერიას მსხვილი პიროვნული მასშტაბიც, რომელიც, – მე ახლა ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული,– იყო არა მხოლოდ გამოჩენილი და გამორჩეული პიროვნება, იგი გახლდათ უაღრესად მაღალზნეობრივი ადამიანიც.

ზემოთ მე უკვე მოვიყვანე ამ ჭეშმარიტების დამადასტურებელი მაგალითები, მაგრამ მე კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი არაორდინალურ პიროვნებაზე, როგორც საბჭოთა მოქალაქესა და ადამიანზე... აი, მაგალითად, იულიან ბორისის ძე ხარიტონს მოჰყავს ნიშანდობლივი ეპიზოდი, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა გენერალ ა.ს. ალექსანდროვის უშუალო გადმოცემით, რომელიც 1951 წლიდან 1955 წლამდე ხელმძღვანელობდა №11 საკონსტრუქტორო ბიუროს.

სსრკ მინისტრთა საბჭოს ხაზით ბერია, სხვა დარგებთან ერთად, კურირებას უწევდა სათბობის მრეწველობასაც და 1946 წელს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება სსრკ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ორად გაყოფის თაობაზე – დასავლეთ რაიონების და აღმოსავლეთ რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროებად. პირველ უწყებას სათავეში უნდა ჩადგომოდა ადრინდელი **"საერთო"** მინისტრი ვ.ვ. ვახრუშჩევი, მეორეს კი – დ.გ. ონიკა. ბერიამ ორივე მინისტრი დაიბარა და ურჩია, რომ **"შეგობრულად"** გაეყოთ შუაში ყველაფერი, ქონებაც, კადრებიცა და სოციალური სფეროც კი. მიცემული ვადის ამოწურვის შემდეგ კვლავ დაიბარა ორივე მინისტრი და ჰკითხა: ხომ არ ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ რაიმე პრეტენზია. ვახრუშჩევმა თქვა, რომ მას არა აქვს პრეტენზია (საერთოდ კი მას მეტი უფლებები გააჩნდა ქონების გაყოფისას), ონიკამ კი პროტესტი გამოთქვა – ვახრუშჩევმა საუკეთესო კადრები თავისთან წაიყვანა და სანატორიუმებიც **"დაითრიაო"**.

ბერიას გადაწყვეტილება იყო ელვისებური და სისტემურად უზუსტესი: რახან ასეა, ვახრუშჩევმა უხელმძღვანელოს ონიკასათვის გამიზნულ სამინისტროს და – პირიქით! და ეს გადაწყვეტილება შეიძლება შვეიტანოთ მეურნეობის მმართველობის სისტემათა შესწავლის სახელმძღვანელოებში, როგორც სანიმუშო მაგალითი, რადგან ბერიას ლოგიკა იყო ზუსტი და უნაკლო:

თუ გაყოფა განხორციელდა პატიოსნად, მაშინ ნაწყენი არავინ დარჩება.

თუ ვახრუშჩევმა **"იეშმაკა"**, იგი თავისი არაკეთილსინდისიერების ნაყოფს მოიმკის.

გ) ხოლო, თუ იეშმაკა ონიკმა, მაშინ იგი დღეიდან კრინტს ვეღარ გაძრავს იმაზე, რომ ცუდი სასტარტო პირობები ჰქონდა.

ამავე დროს, მან სხვებს მისცა იმის თვალნათელი მაგალითი, რომ ბერიას წინაშე სჯობს იყო წესიერი, ვიდრე არაწესიერი!

და აი, სხვა თათბირის აღწერა, რომლის სტენოგრამა გააკეთა მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ, თანაც იმან, რომელიც უაღრესად ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენს ლავრენტი ბერიასადმი. ესაა – გრიგორი კისუნკო, რომელიც 1953 წლის თებერვალში ბერიასთან გამოიძახეს კაპუსტინ იარის პოლიგონიდან... მანამდე, კისუნკოსა და ბერიას გზები გადაიკვეთა, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთს პირადად არ შეხვედრიან. მაშინ – 1952 წლის თებერვალში გრიგორი ვასილის ძე თავის კაბინეტში იხმო სსრკ შეიარაღების სამინისტროს მე-8 მთავარი საამართველოს მთავარმა ინჟინერმა სერგეი ნიკოლოზის ძე სავინმა და მაგიდაზე დაუდო საკმაოდ სქელი საქაღალდე, რომელიც შემდეგი წერილით იხსნებოდა:

"სკპკ ცენტრალური კომიტეტის
გენერალურ მდივანს
საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს
ამხანაგ იოსებ ბესარიონის ძე
სტალინს
ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძე!

არ შემიძლია ხმა არ ამოვიღო, მარტივად რომ ვთქვა, "ბერკუტის" სისტემაზე მომუშავე ხელმძღვანელი მუშაკის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის კისუნკოს მავნებლურ ქმედებებზე. მოვიწვიე რა გრიგორი ვასილის ძე და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ ბორისის ძე ზაქსონი..." და ა.შ. და ა.შ.

ზემო მარცხენა მხარეს წითლად კიაფობდა რეზოლუცია: **"ამხ.ამხ. რიაბიკოვს, უსტინოვს, ელიანს. გაერკვიეთ და მომახსენეთ. ლ. ბერია"**.

სსრკ შეიარაღების მინისტრ უსტინოვისაგან წამოსულ ამ წერილზე პასუხის მომზადება სავინმა თავად კისუნკოს შესთავაზა, რაც მან გააკეთა კიდეც. თუმცა, ეს ყველაფერი მაინც არაფრით დამთავრდა. ამასთან, კისუნკომ მაინც ვერ შეიგნო, რომ ლავრენტი ბერია პატივისცემას იმსახურებდა თუნდაც იმიტომ, რომ ეს წერილი განსახილველად გადაუგზავნა მხოლოდ დარგის ტექნიკურ ხელმძღვანელობას და არა იგნატიევის თავკაცობით მომქმედ სსრკ უშიშროების უწყებას. თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კისუნკოს მამა, რომელიც გააკულაკეს 1930 წელს, მაგრამ მაინც **"ვერ ისწავლა ჭკუა"**, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული მავნებლური საქმიანობისათვის დახვრიტეს 1938 წელს.

გავიდა ერთი წელი და კისუნკოს ბერია პირადად უნდა გაეცნო, მაგრამ, რომელ საკითხთან დაკავშირებით, ეს კისუნკომ არ იცოდა. კრემლში იგი თავისი **"ზიმ"**-ით კუქსენკომ მოიყვანა.

მათ გარდა ბერიას კაბინეტში შეიკრიბნენ მესამე მთავარი სამმართველოს უფროსი ვ.მ. რიაბიკოვი, სსრკ შეიარაღების მინისტრი დ.ფ. უსტინოვი, **"მელოკატორე"** პროფესორი ა.ა. რასპლეტინი, **"რადისტი"** ვ.დ. კალმიკოვი (სსრკ რადიომრეწველობის მომავალი მინისტრი), რიაბიკოვის მოადგილე სამეცნიერო-ტექნიკურ ნაწილში, აკადემიკოსი ა.ნ. შჩუკინი.

თათბირს ასევე ესწრებოდა ბერიას თანაშემწე სერგეი მიხეილის ძე ვლადიმირსკი (მისი თავაზიანი ღიმილი სტუმრების შეპატიჟებისას კისუნკომ შეაფასა, როგორც **"კეთილმოყვრობის ტრაფარეტის შემადგენელი გრიმასა"**)...

კისუნკოს მიერ აღწერილ ბერიას პორტრეტში აშკარად იგრძნობა მის მიერ ნანახი ლავრენტის ზოგიერთი ფოტოს აშკარა გავლენა, რომელიც იმ **"შავბნელ"** ეპოქაში იბეჭდებოდა საბჭოთა პრესის ფურცლებზე. და რაც მთავარია, კისუნკოს არ დავიწყნია ბერიას ჩაცმულობა: **"თხელი ქსოვილისაგან შეკერილი შესანიშნავი კოსტიუმი, გაქათქათებული თეთრი ხალათი და განსაკუთრებული პეწით შეკრული ჰალსტუხი..."** კისუნკო ისე აკრიტიკებს ლავრენტი ბერიას უნაკლო ჩაცმულობას, თითქოს ის აჯობებდა, რომ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ხალხში გამოსულიყო ქალამნებით, გაცვეთილი დაბამბული ქურთუკით, ჭუჭყიანსაყელოიანი ხალათით და გვერდზე მოქცეული **"მუდმივი"** რეზინნარევი ქსოვილით შეკერილი ჰალსტუხით...

ზუსტად აღწერს იგი ბერიას ვეებერთელა სამუშაო მაგიდასაც, რომელიც **"გადაჭედილი გახლდათ ტელეფონის აპარატებით"...** ნამდვილად, ვეებერთელა სამუშაო მაგიდა აუცილებელია, მაგრამ აშკარად არასაკმარისია ეფექტურად მოღვაწე, საქმით უაღრესად გადატვირთული ადამიანისათვის. მართლაც, ამხელა მაგიდასთან მსხდომნი კი არ *ხელმძღვანელობენ*, არამედ *მუშაობენ*, მოხერხებულად განალაგებენ მასზე საქმიან ქაღალდებს, რათა ისინი მუდმივად მათი მზერის ქვეშ იყვნენ მოქცეული და ა.შ.

როცა ყველანი სავარძლებში მოკალათდნენ, ბერიამ...

სხვათა შორის, თავიდანვე ვაღიარებ, რომ კისუნკოს ციტირებას ვახდენ ლავრენტი ბერიას კისუნკოსეული დამახასიათებელი **"კავკასიური"** აქცენტის გარეშე (რაც მას სჭირდებოდა ბერიას კიდევ უფრო ნეგატიურ ფონზე წარმოსადგენად), ჩვეულებრივი ტრანკრიპციით, რათა მკითხველი არ დავძაბო...

მაშ ასე:

"– დასაწყისშივე გავეცნობით ერთ დოკუმენტს, – დაიწყო ბერიამ და სავარძლიდან წამოდგა (მე დიდად ვემადლიერები კისუნკოს ამ ფასეული წვრილმანის გაჟღერებისათვის, რადგან იგი ადასტურებს, რომ ლავრენტი პავლეს ძე უაღრესად თავაზიანი გახლდათ და არა უხეში და გაუთლელი ხელმძღვანელი, რომელიც სავარძელზე გადაშხლართული აძლევს **"ფასეულ"** მითითებებს ქვეშემრდომ "წვრილფეხობას" – **ს.კ.**) **და მაგიდიდან საქაღალდე აიღო. – მე ახლა მას წაგიკითხავთ: "ძვირფასო ლავრენტი პავლეს ძევ! მოგახსენებთ, რომ "ბერკუტის" სისტემის საზენიტო რაკეტების რეალური სამიზნეებისაკენ გაშვება ყოვნდება პოლიგონზე №9 ქარხნიდან უხარისხო ანტენების მოწოდების გამო. ქარხანამ დავალება შეასრულა არაკეთილსინდისიერად... №1 საკონსტრუქტორო ბიუროს წარმომადგენელმა ზაქსონმა თვითნებურად მიიღო ამ არასრულყოფილი ანტენების გადმოტვირთვის გადაწყვეტილება. გთხოვთ თქვენს შემდგომ მითითებებს. კალმიკოვი, რასპლეტინი".**

– ვინ დაწერა ეს შიფროგრამა? – იკითხა ბერიამ.

– ჩვენ, ლავრენტი პავლეს ძევ, – მხედრული ომახით უპასუხეს ფეხზე წამომდგარმა კალმიკოვმა და რასპლეტინმა, – ჩვენ ორმა.

– როგორ თუ ორმა? რა, ორივეს გეკავათ კალამი? (პირადად მე აღმაფრთოვანა ამ შეკითხვის იუმორით გაჟღენთილი ლაკონიურობა, რაც თავიდანვე აღკვეთდა გაუგებრობის ბურუსის გაშვების შესაძლებლობას და აიძულებდა ავტორებს, ყოფილიყვნენ კონკრეტულები. – **ს.კ.**).

– ტექსტი ორივემ განვიხილეთ, უბის წიგნაკში კი მე ვაკეთებდი ჩანაწერებს, – განმარტა კალმიკოვმა.

მე მივხვდი, რომ წაკითხული შიფროგრამა მოულოდნელი იყო არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ყველა დამსწრისათვის (კისუნკო აქ მთლად ზუსტი არ არის: კალმიკოვისა და რასპლეტინისათვის მოულოდნელი იყო ის, რომ ბერიამ ყველა წესიერ ადამიანს გააცნო მათი თითქოსდა პასკვილური შიფროგრამა! – ს.კ.) **აი, თურმე რას აკეთებდნენ შიფროგრამის ავტორები ჩემგან და ზაქსონისაგან მალულად... საშინელებაა ასეთ ხალხთან მუშაობა...**

– ახლა კი წავიკითხოთ კიდევ ერთი დოკუმენტი,– გააგრძელა ბერიამ. – "ძვირფასო ლავრენტი პავლეს ძევ! მოგახსენებთ, რომ სერიული ქარხნების მიერ ტექნიკური ნორმებიდან გადახრებით დამზადებული A-11 და A-12 ანტენები, ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად გადაეტვირთათ "ბერკუტის" სისტემის სამხედრო ობიექტებს. ხელს აწერენ რიაბიკოვი, უსტინოვი, კალმიკოვი, შჩუკინი, კუქსენკო, რასპლეტინი, კისუნკო".

– რომელ დოკუმენტს დავუჯერო? – იკითხა ბერიამ. – პოლიგონზე ანტენები უვარგისია, ხოლოს სამხედრო ობიექტისთვის ვარგისი? ამიხსენით ეს პარადოქსი ამხანაგო რიაბიკოვ.

– ამხანაგო ლავრენტი პავლეს ძევ, როგორც ჩანს, ამხანაგები კალმიკოვი და რასპლეტინი აჩქარდნენ და არავისთვის შეუთანხმებიათ აღნიშნული შიფროგრამის დაწერა. ჩვენ ვეთათბირეთ მთავარ კონსტრუქტორს და ვთვლით, რომ ანტენები ვარგისიანია,– უპასუხა რიაბიკოვმა.

– იქნებ კი არ აჩქარდნენ, არამედ მოსკოვიდან "დააწვნენ" და აიძულეს ხელი მოეწერათ სხვა დოკუმენტისათვის, რომელიც ანტენების სამხედრო ქარხნებში გაგზავნას ითვალისწინებდა? იქიდან კი სად გადავტვირთავთ, სანაგვეზე?.."

ყველას, ვისაც კი ოდესმე საქმესთან (და არა ყბედობასთან) შეხებამ მოუწია, უკვე იმაზე დაყრდნობით, თუ როგორ დაიწყო ბერიამ ეს თათბირი, დარწმუნდება, უპირველესად, თუ როგორი ძლიერი მმართველი იყო ბერია და მეორე, პატივისცემით განიმსჭვალებოდა მისი, როგორც ადამიანის მიმართ. საქმეს ამგვარად წარმართავს მხოლოდ უაღრესად კეთილმოყვარე და ნათელი პიროვნება!

ბერიამ კიდევ რამდენიმე კონკრეტული და დამაზუსტებელი შეკითხვა დასვა, მოისმინა კისუნკოსა და კუქსენკოს პასუხები, და შემდეგ...

"მცირეხნიანი პაუზის მერე ბერიამ გააგრძელა:

– მე დავრწმუნდი, რომ ეს არაა მთლად უბრალო საქმე. საჭიროა გავერკვეთ სპეციალური კომისიის შექმნით. კომისიაში უნდა ჩავრთოთ რიაბიკოვი, უსტინოვი, ელიანი, კუქსენკო.

– და შჩუკინიც,– დავამატე მე.

კეთილი... კომისიის მუშაობის შედეგები მომახსენეთ ორშაბათს, ექვს მარტს".

მაგრამ ამჯერად ყველაფერი კისუნკოსათვის **"არაფრით"** დამთავრდა. ამის მიზეზად იგი მიიჩნევს არა ბერიას ობიექტურობას, არამედ თათბირის მომდევნო დღეებში სტალინის მოულოდნელ გარდაცვალებას. მაგრამ ამ სიკვდილს არ ჩაუშლია მუშაობის ჩვეული რეჟიმი არც პირველ, არც მეორე და არც მესამე მთავარ სამმართველოებში, ბერიას სამუშაო რეჟიმი კი რამდენიმე დღით შეცვალა (რაზედაც დოკუმენტები მეტყველებენ). ასე რომ, თუ კისუნკოს აღმოაჩნდებოდა რაიმე მნიშვნელოვანი შეცოდება, ბერიას იგი არც 1953 წლის 5 მარტის შემდეგ დაავიწყდებოდა. და ლავრენტი პავლეს ძის აპარატიც (არა სადამსჯელო, არამედ მმართველი) არ გახლდათ ისეთი გულუბრყვილო, რომ მხედველობის არედან გამორჩენოდა რაიმე სერიოზული საკითხი, განსაკუთრებით – საკადრო.

სამწუხაროდ, სიძულვილი ბრმაა და კისუნკო მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დარჩა უფროსი ბერიას მოძულე. მაგრამ ბერიასთან მისი ერთადერთი კონტაქტი კისუნკომ, ფაქტობრივ ნაწილში, სავსებით სარწმუნოდ გადმოსცა და ობიექტურად (რა თქმა უნდა, უნებლიედ) საკმაოდ მაღალ დონეზე შეაფასა ლავრენტი ბერიას მმართველობითი უნარი და მისი მაღალი ადამიანური თვისებებიც.

ახლა კი ვნახოთ, როგორ იქცეოდნენ, მაღალი სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან გამომდინარე, ისინი, ვისაც **"ჯალათ"** ბერიას თვითნებობის უდანაშაულო მსხვერპლებად წარმოგვიდგენენ... მაგალითად, ავიღოთ ავიაკონსტრუქტორი ტუპოლევი...

1949 წლის 1 ნოემბერს ზავენიაგინი წერილობით მოახსენებს ლავრენტი ბერიას, რომ ჩვენი მაშინდელ ერთადერთ ბირთვული იარაღის გადამტან თვითმფრინავ **"Ту-4"**-ში (**"ბოინგ-29"**ის ტიპი) 10 კილომეტრი სიმაღლის აღებისას კაბინაში ტემპერატურა ეცემა –50 გრადუსამდე. ასეთ ძლიერ ყინვას კი შეუძლია ბზარები გაუჩინოს **РДС-1** სისტემას.

ასე რომ, აღნიშნულ თვითმფრინავის საბომბე ლუკის გათბობა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პრობლემას წარმოადგენდა. ამის გარეშე კი მთელი ჩვენი ატომური შეიარაღება უსარგებლო ფენომენად იქცეოდა! და, აი, რას იუწყებოდა ზავენიაგინი:

"...მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ამხანაგებთან ტუპოლევსა და არხანგელსკისთან თვითმფრინავის საბომბე ლუკების გათბობის თაობაზე... მაგრამ ამხანაგებმა ტუპოლევმა და არხანგელსკიმ, ამ საკითხის ბოლო განხილვისას, ამა წლის სექტემბრის თვეში განმიცხადეს, რომ ისინი გადატვირთულები არიან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სამუშაოებით (რაც იმას ნიშნავს, რომ **"ჩემთან ნუ მოხვალ, ყველაფერზე უარს მიიღებ!" – ს.კ.) და საერთოდ, ამ სამუშაოებს თვითმფრინავების მშენებლობასთან საერთო არაფერი აქვსო"** (ხაზგასმული წინადადებები ჩემია – **ს.კ.**)...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგი

სვანურ მოტივებს გთავაზობთ ბატონ ზაურ ფიფიას წიგნიდან "ჩანახატები სიმღერისათვის "სვანეთი"

...მხოლოდ ბოქაული მიქელაძე და სვანი მეგზურები მიუძღოდნენ ბართოლომეის ქედბალს იქითა ქვეყანაში.

ენგურის ხეობა საგანგებოდ გაჩუმებულიყო თითქოს. ყოველი გაფაჩუნებაც კი, მეხთა გრგვინვას ჰგავდა და ლატალის თემის სვანობა სულგაკმენდილი და მიყურადებული ელოდა სტუმარს.

სტუმარს?

მოყვარეს? თუ?..

ბართოლომეის ლატალის საგანძურის მოხილვა უნებებიაო!..

უნებებიაო?! არც არაფერს ნიშნავდა ვიღაცის ნება-სურვილი. მთავარი იყო მახვშებს ენებათ და დაერთოთ ნება. ბართლომეი კი, მეფის რუსეთის პოლკოვნიკიაო, იცოდნენ ლატალელებმა და, ვინ იცის, კიდევ რა განზრახვა ჰქონდა დამალული იმ სამხრეებს მიღმა სტუმარს.

– ბართოლომეი საძმოდ ამოვიდა სვანეთში!..

უმტკიცებდა მიქელაძე სვანებს.

– ეგ ჯინჯილები სხვა რამესაც გვაეჭვებს!..

– პოლკოვნიკიცაა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს...

– რა მინდაო, მაინც?!

– სვანეთის საგანძურთა შესწავლა განუზრახავს, მხოლოდ!..

– მტერთა და ავისმოსურნეთაგან საუკუნეების მანძილზე დაუცავთ ჩვენს წინაპრებს ისინი აქ!

– მეცნიერი სტუმრად და მოყვარედ ამოვიდა დღეს!..

– ხვალ?!

– ეგ მზე და ცადაწვდილი მთები იყოს მოწმე ყოველივესი, ლემშვენიერას ხეობას რომ დაჰყურებს... მხოლოდ ძმად დგომა და სიკეთე!..

სიტყვას მუდამ აფასებდნენ სვანები.

სიტყვის ღალატს მტერთაგანაც არ მოელოდა სიტყვის ხალხი.

ბართოლომეის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ლატალის მთავარანგელოზის ეკლესიის საგანძურმა დაატყვევა იგი.

ექვსასი თოფ-ხმალ-ხანჯალში ჩამჯდარი სვანი ერტყა საგანძურს გარშემო, სანამ სტუმარი ათვალიერებდა მას.

აბი ფარჯიანს წარუდგინეს სტუმარი, ლატალის თემის ბრძენ-მახვშს.

– "ლატალის თემს არავის წინაშე მოუხრია ქედი, არასოდეს! – ბრძანა მახვშმა, – და ტყუილად ცდილობენ ბევრნი, ძალით თუ, თვალთმაქცობით დაიმორჩილონ იგი. ძალას იარაღით ხელში ვხვდებოდით მუდამ, თვალთმაქცობას – სიმტკიცით! ნიაღვრად დადენილა სწორუპოვარ წინაპართა სისხლი ამ ხეობებში, მაგრამ დღევანდლამდე შევინარჩუნეთ თავისუფლება. ახლა კი, მხოლოდ საკუთარი სურვილითა და ნაფიქრალით გადავწყვიტეთ ხელი შევაგებოთ სამეგობროდ გამოწვდილ ხელს. ლატალის თემი მადლობას მოგახსენებთ, თქვენ, ბართოლომეი, მარტო რომ ამობრძანდით აქ, ახლა არავის შეუძლია თქვას, ლატალის თემი ძალითა და იარაღით დაიპყრესო. ამიერიდან ყველას ეცოდინება, რომ ჩვენი ნება-სურვილით ვიღებთ დიდი რუსი ხელმწიფის ქვეშემრდომობას!"

...არქეოლოგმა და ნუმიზმატმა ბოლომდე შეასრულა დიპლომატის მთავარი მისია!

– "სიამაყე და შეუდრეკელობა ელვარებდა ახალ ქვეშემრდომთა თვალებში. ამის დავიწყება არასოდეს შემიძლია!" – ჩაწერს შემდეგ ბართოლომეი თავის უბის წიგნაკში.

ეს იყო 1853 წელს...

კიდევ ოცდასამი წლის შემდეგ დაინგრა ხალდე!..

...ხეობაში თხლად გაწოლილიყო ნისლი, თითქოს თეთრი ვარდის ფოთლებით მოეფინა ჯადოსნურ ხელებს ენგურის ზღვა. მიმქრალი სინაზე მოსდებოდა ნაპირებს და ჟრუანტელის მომგვრელი დილა იდგა. კრიალა ცაზე ამომავალ მზის სხივებს გაემართათ მეჯლისი. ცასა და მიწას მწვანედ ახასხასებული მწვერვალები აერთებდა.

– ბართოლომეი ცნობილი მეცნიერი გახლდათ! – თქვა მიხეილ ჩართოლანმა.

– ივანე ალექსის ძე ბართოლომეი, გენერალ-ლეიტენანტი, პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი... – დამარცვლით გააგრძელა შოთა ჩართოლანმა.

– არა! სვანეთს რომ ეწვია, მაშინ არც წევრ-კორესპონდენტი იყო და არც გენერალი.

– ამბობენ, სვანეთის დიპლომატიამ მოუტანა მას ეს დიდება...

– გენერლობა, შეიძლება! წევრ-კორესპონდენტობა კი, თავისმა ნაშრომებმა მოუტანეს მეცნიერს... ქართული, ბაქტრიული, პართიული და სასანური მონეტების ბართოლომისეული უმდიდრესი კოლექცია ცნობილია... საყურადღებო გამოკვლევები ჰქონდა ნუმიზმატიკის, კავკასიის ეთნოგრაფიისა და ეპიგრაფიკის, აგრეთვე კავკასიური ენებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხებზე.

– 1855 წელს გაზეთ **"კავკაზში"** ნაშრომი გამოაქვეყნა, ეგრეთ წოდებული, **"მიძგეჯური ენების"** შესახებ...

– სადაური იყო ეს კაცი? – ხორხისმიერი ხმით იკითხა ბექომ და მანქანას სიჩქარე შეუცვალა.

– პეტერბურგელი! 1850 წელს ჩამოვიდა კავკასიაში და ჯერ ჩეჩნეთში, მერე აფხაზეთში და, ბოლოს თბილისში მოღვაწეობდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც...

– მერე, ამ ერთმა კაცმა დაიპყრო სვანეთი?!

ყელში გაეჭხირა სიტყვა ბეგოს.

...მანქანაში ოთხნი ვისხედით:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის, სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის თავკაცი, მიხეილ ჩართოლანი; სვანეთის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი, ბეგო და მე.

ბეგოს **"ნივა"** ლაღად მისრიალებდა ასფალტზე და ბაასში ილეოდა გზა.

– საინტერესო მასალებს იხილავდა ბართოლომეი...

– სვანეთში დღესაც იშვიათია ეკლესია თუ ოჯახი, სადაც საინტერესო ეთნოგრაფიული თუ, ფოლკლორული მასალა არ იყოს დაცული, მაშინ კი...

– ჰაი, დია! რას არ იზამს კაცის ხელი...

– რას არ იზამს, ბეგო?

– ა, შეხედეთ! ვინ წარმოიდგენდა ხაიშამდე გემები თუ ივლიდნენ...

– ასეთ გზას თუ წარმოიდგენდი, ბეგო, ბატონო?!

– გურმან ტვიბერიანისთვის რომ გეკითხათ მის ბალღობაში, ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ... ახალგაზრდობაში ვიღაც წვერებიანი კაცი იყოო ამოსული სვანეთში, უცხოელები მოჰყვებოდაო თან, ამბობდა გურმან ტვიბერიანი, და იმან თქვაო, დრო იქნებაო, რკინიგზაც ამოვაო სვანეთში და გემიცო. სიცილით იფხრიწებოდა ნააბრაგალი კაცი, ამას რომ იგონებდა... სვანს ვერ არგებს ძველი ადათიდან განდგომაო, ასე ამბობდა.

– ჰოდა, იცინოს ახლა!

– ისე მტერმა გაიცინოს, როგორც ახლა ის გაიცინებს... კარგა ხანია ენგურმა **"გაიყოლია"** დაბლა...

– ვინ იყო, ბატონო, გურამ ტვიბერიანი?! (ლაერტი ჩართოლანის დიდ-მოთხრობის გმირი, აქ ზოგად სახელადაა გამოყენებული – **ზ.ფ.**).

– იქნებ ბაბუა იყო ჩემი, ბატონო ჩემო! რა მნიშვნელობა აქვს?.. იყვნენ კია, სვანეთში მაგისთანები და იმათზე ვამბობ...

მახსანიასთან დავტოვეთ ხეობაში ზეცის შუბლივით აღმართული გიგანტური კედელი და ახლა, მის ზურგს უკან დავანებული ტალღების სარკეზე მწვერვალები ირეკლებოდნენ.

– კაშხალის ფუძეს რომ თხრიდნენ, ენგურის ნაპირას, მცირე გამოქვაბულში მეტალურგიული ნარჩენები და ათასგვარი კერამიკა იპოვეს, თურმე, მშენებლებმა...

– ხოო? – ყურები ცქვიტა ბეგომ.

– ხო! არ ვიცი, რა უყვეს ნაპოვნს, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ მეც ვიპოვნე აქ ერთი ისრის პირი!.. – ვთქვი მე.

– ასეა! საქართველოს ყოველი გოჯი მიწა ათას საიდუმლოებას ინახავს და თუ დროზე და გულიანად არ ჩაიხუტე, ვინ იცის რამდენ საგანძურს ვატანთ დროს უკანმოუბრუნებლად.

– მით უმეტეს, მრავალ **"გრანდიოზულ მშენებლობათა"** ეპოქაში...

– ომამდე ყოფილა, თურმე, გამიგონია, მულახში შვიდი ფუთი ოქრო და ვერცხლი უპოვიათო! მართალი იქნებოდა, ვითომ ეს? – იკითხა ბეგომ.

– შვიდი ფუთისა რა მოგახსენო, მაგრამ, როგორც ამბობენ, მნიშვნელოვანი ნაპოვნი იყო, ეტყობა...

– რა ედირებოდა, ახლა, ის, ა?

– გეცოდინება, ბეგო ბატონო, იმ მეცნიერებას, რომელიც მიწაში ჩამარხულ საგანძურს ეძებს, არქეოლოგია ჰქვია და არქეოლოგიაში ნაპოვნის ღირებულება მარტო ოქროთი და ფულით როდი იზომება... ვერც შეაფასებს, აგრერიგად კაცი.

– მერე სადაა ახლა ის განძი?

– ამბობენ, ენგურის ოქროსმაძიებელთა მიმდებ პუნქტს ჩააბარესო და მერე...

– ჰაი, დია! რას აშენდებოდნენ ის შობელძაღლები, ა! – ღვარძლიანად ამოაგორა სიტყვები ბეგომ და დასძინა, – აი, ამან ქნა ეს!

– რამ, კაცო?

– რამ და ამან! – თქვა ბეგომ და გზისკენ გაიშვირა ხელი, მანქანის წინ რომ მოლაპლაპებდა შავ ზოლად.

– რას ამბობ, კაცო? გზა სვანეთისათვის ყოველთვის იყო ოცნება...

– ჰოდა, გქონდეთ აგერ!.. ვინ იცის, რამდენი ძაღლი და მამაძაღლი შემოდის ღია კარებში...

– შენც ღიად ნუ დატოვებ კარებს, ძმაო! კარი იმისთვისაა, რომ მოყვარეს გაუღო და მტერს ჩაუკეტო.

მაინც უკმაყოფილო ჩანდა ბეგო, მაგრამ ხმა არ ამოუღია. დიდხანს, ძალიან დიდხანს უჩუმრად ეჯდა საჭეს და დამდურებულივით მისცემოდა საკუთარ ფიქრებს.

ხუდონის ელექტროსადგურის მშენებლობასთან მცირე ხნით შეწყდა ასფალტი. უზარმაზარ **"ბელაზებსა"** და ექსკავატორთა შორის ნელა, ტაატით აგრძელებდა გზას ბეგოს **"ნივა"** და ხეობა ნახმლევ-ნახანჯლარსა ჰგავდა.

– ერის სულიერი საგანძურის დაცვა-მოვლის საქმეში ბევრი რამ გაკეთდა სვანეთში ამ ბოლო წლებში... ასამდე კოშკი და ეკლესია აღადგინეს რესტავრატორებმა მარტო ზემო სვანეთში...

– ი,ი! ასი კოშკი და ეკლესია მარტო ერთ სოფელშია სვანეთში! – გატეხა სიჩუმე ბეგომ.

– მართალია ბეგო!.. თხუთმეტ ათასზე მეტი ნივთიერი მასალაა დაცული ამ ეკლესიებში და კოშკებში, საცხოვრებელ კომპლექსებში... ეს უკვე აღმოჩენილი, ახლა კი, აგერ, შოთა დამემოწმება, არქეოლოგიურმა სამუშაოებმა კიდევ უამრავი უძვირფასესი განძეულობა აღმოაჩინა, რომელთაც სულაც არა აქვთ მხოლოდ სასვანეთო მნიშვნელობა. ეს მონაპოვრები საერთო ქართული მნიშვნელობისაა და, თუ გნებავთ, საერთო საკაცობრიოც...

– ამიტომ, ჯერ კიდევ უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი აქ... ბევრს, თუ გზა ამოვიდა, ან ტელევიზორი თუ გვაქვს, ეს ყველაფერი ჰგონია...

– რა თქმა უნდა, ეს ცოტა როდია, მაგრამ...

მიხეილ ჩართოლანმა ჩანთიდან თეთრგარეკანიანი წიგნი ამოიღო.

– მარტო ამ წიგნის გარეკანზე გამოსახული ბრინჯაოს ქინძისთავის მნიშვნელობაა შეუფასებელი...

– რისია ეგ? – იკითხა ბეგომ.

– ბრინჯაოსი!

– მერე, ოქრო რაა მაგხელა და ბრინჯაოს რა უნდა ჰქონდეს ფასი?!

– ამ ქინძისთავის ყოველი ჩუქურთმიდან ბრინჯაოს ხანა გადმოგვცქერის, ჩემო ძმაო! და რაც მთავარია, მას ადგილობრივი შემოქმედის დაღი აზის...

– იცი, ბატონო ბეგო, რას ნიშნავს ეს? – უხერხული შეკითხვა გამომივიდა.

ბეგომ ერთი შემომხედა და კარგა გვარიანი ნიშნისმოგებით დამბრუნა პასუხი:

– მე, აი, ეს ვიცი, – მანქანის საჭეს დაარტყა მარჯვენა, – მე კი არა, შე კაცო, ბევრმა ნასწავლმა არ იცის, მე მგონი, მაგისი ამბავი...

"მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის", "შოთა ჩართოლანი" – უბის წიგნაკის ცალკე ფურცელზე ჩავინიშნე წიგნის სათაური და ავტორის ვინაობა. ზურგჩანთაში კი, შოთა ჩართოლანის მეორე ნაშრომი მედო ვით ძვირფასი საგანძური – **"სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები"**, რომელსაც თავფურცელზე ავტორისეული მინაწერი ჰქონდა: **"ზაურ ფიფიას, საუკეთესო სურვილებით".**

მადლობელი ვარ, ბატონო შოთა!

"...საქართველოს მთიანეთი, მისი ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული რეგიონი. სვანეთი, სამამულო ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი..."

"...სვანური კონკრეტული მასალების საფუძველზე, არაერთი ზოგადი ხასიათის მეცნიერული დებულება დამუშავდა... სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის სვანეთის წიაღისეული ძეგლების შესახებ..."

"...ამასთან, სვანეთის არქეოლოგიური ძეგლებისადმი საერთო მეცნიერული ინტერესი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშივე ჩანს..."

"...რევოლუციამდელ პერიოდში სვანეთის არქეოლოგიური მასალების შეგროვებისა და შემდგომი გამომზიურების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილს..."

"...საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეტი ყურადღება დაეთმო ამ მხარის არქეოლოგიურ გამოკვლევას. თუმცა სისტემატური დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური კვლევა-ძიება მხოლოდ 60-იანი წლებიდან დაიწყო, როცა სვანეთის ძეგლთა მეცნიერულად შესწავლის საქმეს სათავეში ჩაუდგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი..."

"...1964 წელს ინსტიტუტმა მოაწყო პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია სვანეთში..."

"...ამავე წელს არქეოლოგმა გრიგოლიამ გამოავლინა ორი არქეოლოგიური ძეგლი: ძველი ნასახლარი სოფელ ეცერის ერთ-ერთ გორაზე და ქვის იარაღები ლებიქვში, სოფელ ლენჯერთან ახლოს..."

"...1965 წელს სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ძირითადი მუშაობა ჭუბერში, ლარილარის სამაროვანზე გააგრძელა და საყურადღებო მასალები მოიპოვა..."

"...მას შემდეგ სპეციალურ არქეოლოგიურ ექსპედიციას სვანეთში არ უმუშავია..."

– მიზეზი, ბატონო შოთა?

– მიზეზი ბევრი იყო, ზოგი ობიექტური, ზოგიც სუბიექტური, მაგრამ შემდგომ წლებში უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, სვანეთში შემონახული კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის გაუმჯობესების შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში თუ, რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა არა ერთი კრიტიკული წერილი და შენიშვნა. 1970 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიამ ამ თემას მიუძღვნა გადაცემა **"გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს"**, ხოლო 23 დეკემბერს სვანეთის ძეგლთა დაცვის საკითხები საგანგებოდ განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კულტურის მუდმივმოქმედმა კომისიამ.

– ამას ის მოჰყვა, რომ ჩამოყალიბდა **"სვანეთის კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია"...**

– დიახ! სწორედ ამ ექსპედიციას აქვს ამჟამად დავალებული სვანეთში შემონახული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების აღრიცხვა, დამუშავება და მათი დაცვისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო ღონისძიებების შემუშავება. ამ ექსპედიციას, შექმნის დღიდან დღემდე, ბატონი მიხეილი უდგას სათავეში... სწორედ რომ ბატონი მიხეილის დამსახურებაა ექსპედიციას გარკვეული წარმატებები რომ აქვს...

– არა, მცირე სამუშაოებია ჩატარებულიო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ეს, ექსპედიციის ყოველი წევრის ღვაწლია... სამწუხარო კი ის არის, რომ შოთა ერთადერთი არქეოლოგია დღესაც სვანეთის ექსპედიციაში... და ეს ბევრ პრობლემას გვიქმნის...

– ...ექსპედიციის პირველი წლების შედეგებმა კიდევ უფრო ნათელი გახადა სვანეთში შემონახული კულტურულ-ისტორიული ძეგლების მრავალმხრივი მნიშვნელობა. ეს შედეგი მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა და, 1973 წლის 8 თებერვალს მიიღო დადგენილება **"სვანეთის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის შესახებ".**

– იმ წლებში, ბატონო შოთა, მე საქართველოს ტელევიზიის სამეცნიერო გადაცემათა მთავარი რედაქციის რედაქტორი გახლდით და თქვენ რომ ახსენეთ იმ გადაცემის მომზადებაშიც მიმიღია მონაწილეობა და საშუალება მქონდა ვწვეოდი მეცნიერებათა აკადემიის პრესიდენტს. მახსოვს, როცა სვანეთი ვახსენეთ, ბრძანა: – დიდ და მეტად საშური საქმე გაკეთდა, ბოლოს და ბოლოს სვანეთში დაცული, ერის აურაცხელი სულერი და მატერიალური კულტურის ძეგლები სათანადოდ შესწავლილი იქნებაო.

– იმ დიდი მამულიშვილის მონდომებითა და მხარდაჭერით ჩაეყარა საფუძველი, მართლაც დიდ საქმეს. ბატონი ილია ვეკუა, არამარტო დიდი მეცნიერი იყო, არამედ მაღალი სულის ადამიანი გახლდათ...

...მერე, როგორც ყველაფერს აქვს დასასრული, დასრულდა ჩვენი მოგზაურობა ქედბალს აქეთა და იქითა ქვეყანაში. ხაიშდან ჭუბერამდე, ჭუბერიდან მესტიამდე, მესტიიდან უშგულამდე კიდევ ერთხელ, ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიარეთ საგანძური ერისა და უბის წიგნაკში მომავალი ნარკვევის მასალებთან ერთად კვლავ გაჩნდა ერის სულიერი კულტურის დაცვა-მოვლის არა ერთი და ორი პრობლემათა ნუსხა:

– "ი,ი,! ასი კოშკი და ეკლესია მარტო ერთ სოფელში სვანეთში"! – ჩამესმოდა ბეგოს ხორხისმიერი ხმა.

– "პრობლემები კვლავ რჩება სვანეთში!"

– "ძველი საცხოვრებელი კომპლექსების შერჩევა და მათი სათანადო რესტავრაციის ჩატარება!"

– "ნივთიერი და არქეოლოგიური მასალის შესწავლა და დაცვა-შენახვა!"

– "სვანეთის ექსპედიციის სამეცნიერო კადრებით უზრუნველყოფა!"

– "მარტო ერთი არქეოლოგი საქმეს ვერ გასწვდება!"

– "საჭიროა კულტურის კერებს, სადაც დაცულია უამრავი ნივთიერი ძეგლი, შევუნარჩუნოთ და გავუხანგრძლივოთ არსებობა!"– "კარები იმისთვისაა, რომ მოყვარეს გაუღო და მტერს ჩაუკეტო!"

ფარის – სვიფის,

ეცერის – ფხტრელის,

ცხუმარის – ლაფსყალდის,

ლატალის – მაცხოვრის, იენაშის, ჯგიროაგის,

ლენჯერის – ლათხვერის, ნესგუნის, ლემსიის,

მესტიის – ლაღამის, ლანჩვალის, ფუსდის, ლამარიას,

კალას – კვირიკესა და ბარბარეს.

უშგულის – ლამარიას და ჩაჟაშის ეკლესიებში და უძველეს სალოცავებში რეკდნენ ზარები!

მულახში – ლახირის, ჟამუშის, იფარში – ჰადიშის, იელიშის და წვირმის მაჩვიბებში დაბრძანებულიყვნენ მახვშები!

...და თითქოს, უშბა და თეთნულდი, შხელდა და ზესხო კვლავ მკარნახობდნენ სათქმელს: **– "სვანეთი მარტო რომანტიკა როდია!!!"**

...ამიტომ გავაგრძელე გზა უშგულიდან **"აიალამასკენ"**...

ავოე, არნოლდ სტეპანიან, ყურები გამოიფხიკე, რაღა!

(გაგრძელება 1 გვ-დან)

მის უწმინდესობას, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს, მსოფლიო პატრიარქს ბართოლომეოს პირველს,

ასლი: მის უწმინდესობას, რომის პაპს,

ასლი: მის უწმინდესობას, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქს,

ასლი: მის უწმინდესობას, სომხური გრიგორიანული ეკლესიის კათალიკოსს,

ასლი: მის უწმინდესობას, მუსულმანური სამყაროს დიდ მუფტიის

ასლი: მის უწმინდესობას, სრულიად ებრაელთა მთავარ რაბინს,

ასლი: მის უწმინდესობას, საქართველოს პატრიარქს,

აგრეთვე: მსოფლიოს ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს

ამ წერილის შეთხზვას გვაიძულებს ის სავალალო სიტუაცია, რაც იერუსალიმის წმინდა მიწაზეა შექმნილი ბერძნულისამღვდელოების ზოგიერთი წარმომადგენლის მტრული დამოკიდებულების გამო ქართული ეკლესიისადმი.

დავიწყებთ იმით, რომ მრავალი არაკეთილსინდისიერი ბერძენი მღვდელმსახური ყოველნაირად ცდილობს წაშალოს იერუსალიმში ქართული ეკლესიებისა და სალოცავების არსებობის კვალი, რისთვისაც ისინი არ ერიდებიან ვანდალიზმსაც კი. სწორედ ვანდალიზმად იქნა შეფასებული მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ იმ ბერძენი მღვდელის არაადამიანური ქმედება, რომელმაც იერუსალიმის ეკლესიაში გადაფხიკა შოთა რუსთაველის მრავალსაუკუნოვანი ფრესკა.

გვინდა შეგახსენოთ, რომ დღეს, როცა მსოფლიოს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას უამრავი გარე თუ შიდა მტერი ეჯაჯგურება მისი რელიგიური ბურჯის შესარყევად, დედამიწის ზურგზე ამ მართლმადიდებლობის ორი მძლავრი ფორპოსტია შემორჩენილი – ***საბერძნეთისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიები.***

ვინ ვინ და, ბერძენმა მართლმადიდებლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ საქართველო ისტორიულად მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად ითვლება და მის წინააღმდეგ დაგეგმილ ყოველ ბოროტებას მაღალი ღმერთი ღირსეულ სასჯელს მიაგებს ხელმე.

საგანგაშოა, რომ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ბერძენი საეკლესიო მოღვაწე ხილული და უხილავი მეგობრული ძაფებით არის დაკავშირებული სომეხ მონოფიზიტებთან და ისინი ერთობლივად მოქმედებენ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ერთ დიდ თვალშისაცემ შეუსაბამობას, რაც, ჩვენის აზრით, ჩრდილავს ერთიან ქრისტიანურ მრწამს და ღრმად შეურაცხყოფს ძე ღმრთისა იესო ქრისტეს საფლავს.

როგორც მსოფლიოს რელიგიური ცენტრებისთვის არის ცნობილი, ***სომხები ჩვენი წელთაღრიცხვის 449 წელს მიემხრნენ ეფესოს საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას და გახდნენ მონოფიზიტური სარწმუნოების წარმომადგენლები,*** *რისი მიზეზითაც ისინი გამორიცხავენ ქრისტეს ადამიანური საწყისის არსებობას და განიხილავენ მის ფენომენს მხოლოდ როგორც ღმერთს. ეს კი თავისთავად უგულვებელჰყოფს ქრისტიანული სარწმუნეობის მთავარ პოსტულატს – იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის ცოდვის გამოსყიდვას საკუთარი ჯვარცმით. ქრისტიანულმა სამყარომ 451 წელს ქალკედონში მოიწვია ახალი მსოფლიო საეკლესიო ყრილობა, რომლის მონაწილეებმა ერთხმად* **დაგმეს მონოფიზიტობა, ეფესოს ყრილობა "ავაზაკთა შეკრებად"** *გამოაცხადეს და დიოფიზიტობა დაადგინეს.*

სომხები მონოფიზიტებად დარჩნენ.

ისტორიულად დამტკიცებული ფაქტია, რომ სომხური ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებულმა ***სომეხმა კათოლიკოსმა ოვანეს მეოთხემ,*** *ჯერ კიდევ ქრისტიანობის გარიჟრაჟზე, სომხეთის მიერ ქრისტიანობის მიღებიდან სამოცი წლის შემდეგ, მაშინ, როცა სომეხ ხალხს ჯერ კიდევ არ შეშრობოდა შუბლზე მირონი, შეკრიბა სომხური ეკლესიის თავკაცები, განუდგა ქალკედონიის კრებას და ანათემას გადასცა იგი, შემდეგი სიტყვებით:* ***"ანათემა მას, ვინც იტყვის, რომ ქრისტე ადამიანი იყო, თავისი ბუნებით, რომ იგი იყო ხორცშესხმული და გადაიტანა ხორციელი წამება, ეზიარა სიკვდილს ადამიანის მსგავსად, ანათემა მას! ვინც არ აღიარებს ქრისტეს ერთსახოვან უკვდავ ბუნებრიობად, ანათემა მას!"***

ისტორიისათვის ცნობილია ისიც, რომ ამ ნაბიჯზე ***კათოლიკოსი ოვანეს მეოთხე წავიდა სპარსელი მაზდეიანების საამებლად,*** *რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ სომხებისა და ქართველებისაგან სარწმუნოების შეცვლას. ამით სპარსელები ცდილობდნენ განხეთქილების შეტანას ბიზანტიის რელიგიურ სივრცეშიც. სომხებისაგან განსხვავებით, ქართველები არასოდეს განდგომიან ქრისტეს რჯულს და დიდი მსხვერპლის ფასად დღემდე შეინარჩუნეს ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება, რადგან, ქართველი კაცისათვის ქრისტიანობა და ქართველობა ერთმანეთთან იყო გაიგივებული. სომხების ამ მზაკვრულ გადაწყვეტილებას ფარდა ახადა მრავალმა ცნობილმა ისტორიკოსმა, მაგრამ, მათ შორის, თავიანთი ფუნდამენტური ნაშრომებით, მაინც გამოირჩევიან მე-19 საუკუნის რუსი აკადემიკოსები* ***ტროიცკი ("სომხური ეკლესიის რწმენის არსი")*** *და* ***ანინსკი ("სომხური ეკლესიის ისტორია").***

ასევე დაწვრილებით გადმოსცა სომხური ეკლესიის მონოფიზიტური არსი თავის ნაწარმოებში ***"კავკასია"*** *ცნობილმა რუსმა პუბლიცისტმა* ***ვასილ ველიჩკომ*** *და ისიც, რომ* ***მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოსი და შემდგომი პერიოდის სხვა სომეხი მეცნიერები ყოველნაირად ცდილობდნენ არ გაემჟღავნებინათ და მიეჩქმალათ სომხური მონოფიზიტიზმი.***

მაგრამ, როგორც ამბობენ, შუბი ხალთაში არ დაიმალება.

ისტორიული სინამდვილე გახლავთ ისიც, რომ მე-16 საუკუნემდე ქრისტეს საფლავს მცველებად ედგნენ ქართველი ჭეშმარიტი მართლმადიდებლები, *რომელთაც, საქართველოზე, შუა საუკუნეებში თავს დატეხილი ძნელბედობის ჯამს, მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში მიმდინარე ინტრიგებისა არაკეთილსინდისიერ საეკლესიო მოღვაწეთა მცდელობის შედეგად, დაჰკარგეს ქრისტეს საფლავის მცველთა ფუნქცია. არავინ იცის საიდან და რა გზებით ან რა რელიგიურ-მორალური უფლებით, მაგრამ ამ ადგილს დაეუფლნენ და დღესაც ფლობენ სომხები, რომელთა რელიგია საერთოდ არ აღიარებს ქრისტეს ადამიანურ ბუნებას. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ ადამიანთა წარმოსახვაში არსებულ მითოლოგიურ ღმერთებს –* ***ზევსს, ჰერას, აფროდიტას, ჰადესს, დემეტრეს, ათენას, აპოლონს და სხვებს მიწიერი საფლავები არ გააჩნიათ*** *სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო. საფლავი შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ხორციელ ადამიანს, მაგალითად იესო ქრისტეს, რომელიც ეწამა ადამიანებისათვის და რომელსაც აგერ უკვე ჩვიდმეტი საუკუნეა კატეგორიულად არ სცნობენ სომხები, როგორც ძე-ხორციელსა და ჯვარცმით ვნებულს.*

განა, ზემოთქმულის შემდეგ, სრული უფლება არა გვაქვს დავასკვნათ, რომ გრიგორიანული ეკლესია რელიგიური სექტაც კი არ არის და იგი მხოლოდ ქრისტეს მგმობელთა და ქრისტიანობის მკრეხელთა უწმინდურ ბუდეს წარმოადგენს.

ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ ***სომხური ეკლესია, თავისი ბუნებით, ბევრად უფრო შორს დგას ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებისაგან, ვიდრე სხვა რელიგიები, თუნდაც მაჰმადიანური, რომელიც ღირსეულ პატივს მიაგებს ქრისტიანულ სარწმუნოებას. ამის მაგალითად კმარა ყურანის იმ სურის მოყვანა, სადაც აღიარებულია სამი სრულქმნილი ქალი: მუჰამედის დედა, მუჰამედის და და მარიამ ღვთისმშობელი.*** *გარდა ამისა, იესო ქრისტე ყურანში წარმოდგენილია* ***როგორც ისა წინასწარმეტყველი.*** *ახლა, თავად განსაზღვრეთ – ვინ უფრო ახლოს დგას ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, კეთილსინდისიერი მაჰმადიანი თუ* ***"ქრისტიანი"*** *სომეხი.*

ყოველივე ამის შემდეგ ჭეშმარიტად ცინიკურად გამოიყურება ის ამბავი, რომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ქრისტეს საფლავთან მორიგეობენ სომეხი მღვდელმსახურები.

სწორედ ზემოდჩამოთვლილ მიზეზთა გამო, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რომელი რელიგიური კანონის ძალით დარაჯობენ სომხები ქრისტეს საფლავს?

თუ მათ უარყვეს მონოფიზიტობა და ზურგი შეაქციეს თავიანთ წინაპართა მიერ მიღებულ მკრეხელურ გადაწყვეტილებას ქრისტეს ერთბუნებრიობის აღიარების თაობაზე, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ჩვენი მოძმე ერის ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნეობაზე მოქცევას. მაგრამ, თუ ეს ასეა, ამის თაობაზე საქვეყნოდ უნდა განაცხადოს სომხური ეკლესიის ცენტრმა – ეჩმიაძინმა.

ხოლო, თუ სომხები კვლავაც თავის ძირძველ რელიგიურ პოზიციაზე დგანან და არ აღიარებენ ქრისტეს ორბუნებოვნებას, მაშინ ისინი გარეკილ უნდა იქნენ ქრისტეს საფლავიდან როგორც მკრეხელები და მართლმადიდებლობას კატეგორიულად განდგომილი რელიგიის წარმომადგენლები. განა შეიძლება ამ ყველა ქრისტიანისათვის წმინდა სალოცავად ქცეულ ადგილს საერთოდ მიუახლოვდნენ იმ შერყვნილი რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანები, რომელთათვისაც არაფრისმთქმელია ქრისტეს ამქვეყნიური წამება და მისი ამაღლება. შეიძლება კი, ამ შეკითხვაზე სომეხი მკრეხელების გამამართლებელი პასუხის მოძებნა?

ჩვენის აზრით, არ შეიძლება!

უფრო მეტიც, ქრისტეს სავანისათვის, მისადმი რწმენისათვის არ არსებობს იმაზე უფრო დიდი შეურაცხყოფა, რომ იერუსალიმის იმ ქუჩას, რომელიც ადრე იბერიის სახელს ატარებდა და რომელზეც ქრისტიანობისადმი ღრმა რწმენისათვის პატივის მიგების ნიშნად მხოლოდ ბერძენ და ქართველ რაინდებს ჰქონდათ უფლება გაევლოთ იარაღასხმულებს და ცხენებზე ამხედრებულებს, შტანდარტებით ხელში, ამჟამად ჰქვია სომეხ მკრეხელთა ბრენდად ქცეული არარატის ქუჩა.

პირჯვარი მაინც გამოისახეთ ქრისტეს წმინდა ხსოვნის წინაშე მონანიების ნიშნად, როცა წიგნიდან მათი დაუჯერებელი მკრეხელობის დამადასტურებელ ამ მართლაც ამაზრზენ სიტყვებს ამოიკითხავთ.

მაგრამ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ყველანი, განსაკუთრებით კი საეკლესიო მამები არიან ვალდებული პატივი მიაგონ სარწმუნოების პრინციპების შეუვალობას და ჭეშმარიტ ისტორიას!

ამიტომ ***მოგიწოდებთ ყველას, რომ ქრისტეს საფლავზე აღადგინოთ მრავალსაუკუნოვანი სტატუს-კვო!***

სხვა შემთხვევაში გამართლება არა აქვს ბერძენ წმინდა მამათა საქციელს, რომლებიც ყველა საშუალებათა გამოყენებით უკეტავენ ქართველ ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს ქრისტეს საფლავისაკენ მიმავალ გზას და ფართოდ ულებენ კარს ამ გზაზე სომეხ მონოფიზიტებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ, სამწუხაროდ ჩვენ გულს გვიხრავს ერთი ეჭვი – ხომ არ არის ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენის უგულვებელმყოფელი და მკრეხელი სომხების მიერ ქრისტეს წმინდა საფლავის დასაკუთრება იმ დიდი კორუფციული გარიგების შედეგი, რაც ზოგჯერ, ეკლესიას მიტმასნილ არაკეთილსინდისიერ მღვდელმსახურთა კანონგარეშე საქმიანობის შედეგად, აშკარად შეინიშნება ამ უწმინდეს და უნეტარეს სფეროში.

თუ ჩვენი ეს ღაღადისი დარჩება უყურადღებოდ ძლიერ ეკლესიურ მამათა მიერ, მაშინ უფლებას ვიტოვებთ, რომ ეს ეჭვი რეალურ სიბრტყეში განვიხილოთ.

დიდის მოწიწებითა და პატივისცემით,

საპატიო დოქტორი როლანდ ჯალაღანია,
საპატიო დოქტორი დავით ძობალია,
დოქტორი ნუგზარ გოგუა.

To his Holiness, Pope of the Rome,
To his Holiness, Patriarch of the Greek Orthodox Church,
To his Holiness, Patriarch of the Russian Orthodox Church,
To his Holiness, Catholicos of the Armenian Gregorian Church,
To his Holiness, the great Muff of the Arabian Muslim world,
To his Holiness, the great Rabin of all Hebrews,
To his Holiness, Patriarch of whole Georgia
And to all true Christians of the world

Your Highness and holiness and honorable Fathers of all world religions!

We would like to attract you attention to one more evident inconsistency, which, to our mind shadows the unified orthodox belief and insults the graveyard of the Son of God – Jusus Christ.

As it is known to the world religious centers, in 449 Armenians accepted the decision of the Epes religious reunion and confessed the monophisite (one nature) Christian religion, according to which they deny the human nature of the Jesus Christ and acknowledge only his nature as the God and this in itself ignores the main postulate of the Christian belief – forgiving the sins of mankind by the crucifixion. In 451 the Christian world assembled representatives of the world churches in Kalkedoni. Participants of the new Church Assembly condemned the monophisite Christianity unanimously, baptized the Epes religious reunion as "Meeting of the gang" and officially adopted the diophisite (double nature) Christianity.

Armenians remained as confessors of monophisite Christianity.

It is a historically proved fact, that Armenian Catholicos Ovanes the IVth, who was acknowledged as his Holiness by the Armenian church, gathered leaders of the Armenian churches, betrayed the Kalkedon Religious Reunion and gave it to the Anathema; this happened 60 years after Armenians confessed the Christianity, when the holy Chrism had hardly dried on their foreheads. "Anathema to those who will say that the Jesus Christ had a human nature, that he was a human being, who had sustained the physical suffering and had died like a mortal human being, Anathema to him! Those who do not confess only one nature of the Jesus Christ, Anathema to those!" - These were the words of Father Ovanes the IVth.

It is also historically known, that the Catholicos took this step for the favor of Persians, who were followers of the Masdean religion, as Persians were categorically demanding from Georgians and Armenians to change their belief. It was favorable for Persians, because they could easily split the Byzantine religious sphere. But different from Armenians, Georgians had never betrayed their ancient religion and had preserved it for centuries by the cost of their own lives, as the Christian belief and the sense of nationality was practically the same for them. What concerns Armenians, their non-Christian belief was reflected in the works of many famous historians, among them Russian academicians of the nineteenth century Troitski ("The concept of Armenian belief") and Aninski (The history of Armenian Church).

The great Russian publicist Vasil Velichko described a real concept of the Armenian monophisite church in details and the fact, that Armenian historians of the 13th century like Kirakos and others tried to conceal the Armenian monophisitism in every way.

But, as they say, the spear cannot be hidden beyond the shield.

It is also a true historical fact, that till the 16th century, the graveyard of the Jesus Christ was protected by Georgian Christians, who had lost the honorable mission to protect the graveyard of the Jesus Christ as a result of the tireless attempts from the side of insolent servants of the church participating in the dirty intrigues which took place in orthodox churches at that time. Nobody knows till now how Armenians managed to appropriated this function, on what religious right, the people, whose religion completely contradicts the human nature of the Jesus Christ. Everybody knows that the gods – Zeus, Herra, Aphrodite, Demeter, Athena, Apollo and others do not have the burial places for the reason understandable for everyone, as only a mortal man can have a graveyard like the Jesus Christ, who had been crucified for the sins of mankind and then had resurrected and whom Armenians haven't acknowledged as the son of the God having two natures – the natures of a human being and the God.

After all of the abovementioned, we have a full right to conclude that the Gregorian Church is not even the religious sect, but it's rather a group of people, having betrayed and denied the Jesus Christ.

Concluding from the abovementioned, we may also assert, that the Armenian Church is more far from the true belief, than any of other religions, which are friendly disposed to the orthodox Christianity. As Armenians do not want to acknowledge such famous religious festivals and celebration days as Lady Day, Christmas, The Christening day of the Jesus Christ, Crucifixion, Easter, Asention Day and many others, as far as their religious belief forbid them to celebrate these Holy Days among the orthodox Christians. After all of these it is quite cynical, that during the celebration of the Easter, Armenian bishops have the honor to serve as guards of the graveyard of the Jesus Christ.

After all it is natural to put such question: On what religious right and principle do Armenians guard the graveyard of the Jesus Christ?

If they had denied the monophisite Christianity and had turned their backs to the decision of their ancestors, then we have nothing but to be grateful that our neighbor country had been converted to the orthodox Christianity. If it is so, then the center of the Armenian Church – Echmiadzine should declare this fact publicly.

But in case everything is quite on the contrary and Armenians still keep their stubborn religious position and do not acknowledge double nature of the Jesus Chist, then they should be exiled from the holy graveyard as the traitors of the Jesus Christ, as they categorically oppose the orthodox Christianity. Because the people who do not acknowledge the crucifixion and resurrection of the Jesus Christ, they aren't worth even approaching it. Is it possible to find any excuse for anti-Christ Armenians?

Of course it is not!

Even more, there is no other insults for the heaven of the Jesus Christ and the belief, when one of the streets in Jerusalem, which formerly had the Georgian name Iberia, has an Armenian name "Ararat" now, the street, where only Greek and Georgian heroes had a moral right to walk on or even to race there armed with weapon.

May be one should cross himself while reading the facts of impurity and sacrilege from the side of Armenians as a sign of repenting the sins before the holy memory of the Jesus Christ.

But we should also remember that everybody, and especially the monks and the priests serving in churches are obliged to respect the principles of impregnability of every religion and the history!

Now we appeal to everybody to revive the centuries-long status-quo on the graveyard of the Jesus Christ.

We also appeal to he mostly respected priests – Fathers!

We should confess that there is one doubt which doesn't give us a rest – is this a results of the huge corruption deal, which has become more conspicuous in the sphere of the religious world as a results of the illegal activities of the dishonorable priests, sheltered under the holy world of innocence, aiming at finally appropriating the graveyard of the Jesus Christ. If our modest appeal remains without a proper response from the side of the servants of church, then we preserve the right to discuss our problem in more realistic specter.

With the greatest humbleness and respect,

Roland Jalaghania - honorable doctor;
David Kobalia - honorable doctor;
Nugzar Gogua – doctor.

ზვიად სიჭინავა: ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, წავიდოდი სახლში, ავიღებდი იარაღს და... აღარ უნდა ამას მეტი გაგრძელება!

ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა 12-მდე გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მათგანს ჯერ კიდევ ფინანსურად უჭირს. დარჩება თუ არა „სიონი“ ლიგის მიღმა და აპირებს თუ არა პროფესიული ფეხბურთის ლიგაში წასვლას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე საქინფორმი სფფ-ის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას ესაუბრა.

– ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ორიოდ კვირა რჩება. იყო დაპირება, რომ უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდი ახალ სტადიონზე დაიწყებდა თამაშს, მაგრამ პირობა ჯერ არ შესრულებულა. რა ეტაპზეა სამუშაოები?

– შეფერხება არ არის. **„ლოკომოტივი“**, როგორც დაგეგმილი იყო, ორ აგვისტოს უნდა ჩაგვაბარონ. ფოთში სამუშაოები დაწყებულია. გორი და ქობულეთი ჯერჯერობით შეჩერებულია. ტენდერები ჩავშალეთ, რადგან შემოთავაზებები არ იყო დამაკმაყოფილებელი იმისათვის, მოგვეწყო იმ დონის სტადიონები, რომლებიც ჩვენ გვჭირდება და როგორსაც ფიფა და უეფა ითხოვს. არ გვჭირდება ისეთი ბალახი, რომელიც წელიწად-ნახევარში გაფუჭდება. იყო შემოთავაზება, რომ 400 ათას ევროდ, ხუთ და ექვს სტადიონს გაგვიკეთებდნენ. ლაპარაკია დრენაჟისა და სარწყავი სისტემის სრულად შეცვლაზე. უეფას და ფიფას მოთხოვნებს მხოლოდ ჰოლანდიის, ინგლისის, საბერძნეთისა და საფრანგეთის სტადიონების ბალახის საფარი აკმაყოფილებენ. ჩვენ უკრაინულს გვთავაზობდნენ, ქვეყანა, რომელსაც თავად ყიდულობს ბალახს ჰოლანდიასა და ინგლისში. მეორეხარისხოვან ქვეყნად გვთვლიან, სადაც შეიძლება ყანაში თამაში. ამიტომ ჩავშალეთ ეს ტენდერი.

– ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, ჩემპიონატის დაწყებამდე მოესწრება სტადიონების გაკეთება?

– ტენდერი გამოცხადდება 20 დღის განმავლობაში. მაშინაც იყო მოლაპარაკება, რომ სექტემბრის ბოლოს გაკეთდებოდა, მაქსიმუმ, ოქტომბრის შუა რიცხვებამდე.

–ჩვენს ბოლო ინტერვიუში თებერვალში მითხარით, რომ ლანჩხუთის „გურია“ ესპანელებს უნდა აეღოთ...

– ირლანდიელებს...

– ესპანელები თქვით მაშინ...

– შემეშალა, ირლანდიელები...

– თუ ჩამოვიდნენ ირლანდიელები და რამდენად პერსპექტიულია პროექტი?

– მოლაპარაკება არ ჩაშლილა. ჩამოვიდნენ კიდეც. წერილები გამგებელს აქვს. ეს სიტუაცია ისე გართულდა, რომ ისინი ითხოვენ სადაზღვევო დახმარებებს. როგორც გუნდის მფლობელს, ისე სურთ მოსვლა. არის კომპანია, რომელსაც უნდა **„ლანჩხუთის“** ყიდვა, სტადიონის, სკოლა-ინტერნატისა და გრიგოლეთის ბაზის საკუთრებაში გადაცემა,

–ბევრი ფიქრობს, რომ როცა უმაღლესი ლიგის გუნდებს არ აქვთ სტადიონები, პირველი ლიგის გუნდზე არ უნდა გაკეთდეს აქცენტი, ქობულეთი მაქვს მხედველობაში... ინტენსიურად საუბრობენ ზუგდიდის სტადიონზე... რატომ – ქობულეთი?

– აჭარა ერთადერთი რეგიონია, სადაც სტადიონი არ არსებობს. ქობულეთიც ამიტომ ავირჩიეთ – ერთი მოედანი მაინც უნდა იყოს სადმე წესიერი. ფოთში კეთდება სტადიონი, სამეგრელოში – დასრულდა, იმერეთში ზესტაფონი და ქუთაისია. **„ტორპედოს“** ყველაფერი ახალი ექნება. გორში ვაკეთებთ – გუნდი უკვე უმაღლეს ლიგაშია; რუსთავში არის, **„დინამო“** თამაშობს პაიჭაძის მოედანზე, **„ვიტ ჯორჯია“** წესრიგშია. ერთადერთ პრობლემად ზუგდიდი რჩება. ვიცი, რომ გეგმაშია კომბინატის ტერიტორიაზე ახალი სტადიონის აშენება, რომელიც 5 ათასამდე მაყურებელს დაიტევს.

– კონკრეტული ვადები თუ არის გაწერილი, თუ მხოლოდ იდეის დონეზეა ამ სტადიონის მშენებლობა?

– ვფიქრობ, – წლის ბოლომდე უნდა დაიწყოს მშენებლობა.

– ვინ დაფარავს მშენებლობის ხარჯებს?

– ჯერ არ ვიცი.

– რადგან აჭარა ახსენეთ, ბათუმის სტადიონზეც გკითხავთ. ხშირად ვეკონტაქტებოდით „დინამოს“ პრესსამსახურს და გვეუბნებოდნენ, რომ მშენებლობა დღედღეზე დაიწყებოდა, მიუხედავად იმისა, რომ არც პროექტი იყო და არც მაკეტი. ეს საკითხი დღემდე ჰაერშია... ეშველება რამე სტადიონს?

– როგორც ვიცი, ბათუმის აღება სამ ძლიერ კომპანიას უნდა და სტადიონის გაკეთებაც მას დაევალება. ჯერჯერობით მათ ვინაობას ვერ დავასახელებ. ეს ნორმალურია, რადგან ბიზნესია და პირობებზე მიდის ლაპარაკი.

– ნახევარ წელიწადზე მეტია, თქვენგან გვესმის, რომ „მადნეული“, რომელიც თქვენი სპონსორი იყო, „სიონს“ დაუთმეთ. რეალურად აღმოჩნდა, რომ კონტრაქტი არც იყო გაფორმებული კლუბსა და „მადნეულს“ შორის და „სიონის“ მომავალიც გაურკვეველია.

– ტყუილია, მე შემიძლია, დაგიდოთ ეს კონტრაქტი, სადაც ხელია მოწერილი. გეტყვით, რაზეც წუწუნებდნენ და ყველა გუნდი ამასაა მიჩვეული. ქართველი ფეხბურთელები მიეჩვივნენ არაოფიციალური თანხების მიღებას. **„მადნეული“** უხდიდა ხელფასს, მოგზაურობასა და ყოველგვარ ხარჯს სწევდა. შიდა სამზარეულოში ჩვენ არავინ შეგვახედებს. ვესაუბრე ხელმძღვანელობას და დამიდასტურეს, რომ ბოლნისში არიან და რამდენიმე დღეში გამაგებინებენ, თუ რა თანხაზე აცხადებენ მზადყოფნას.

– ვიცით, რომ გუნდი ჯერ არ შეკრებილა და ვარჯიში არ დაუწყია. საუბრობდნენ, რომ რომელიმე პირველლიგელი გუნდი ჩაანაცვლებდა მას. ეს გამოირიცხა?

– რა ინფორმაციაც მაქვს, ასეა და ვინ უნდა შეცვალოს? კლუბს ფეხბურთელების მიმართ არავითარი დავალიანება არ აქვს – **„მადნეული“** უნაზდაურებდა, ორ კაპიკს გვიხდიდა ჩვენ და გადავიწყვიტეთ, **„სიონისთვის“** დაგვეთმო. **„მადნეულია“** ერთ-ერთია მათგან, ვისაც **„დინამო ბათუმის“** ყიდვა უნდა.

– გამოდის, „ბოლნისი“ მაინც უპატრონოდ რჩება...

– ამაზე არ მიფიქრია. **„მადნეულმა“** დამარწმუნა, რომ წელს იქნებიან **„სიონში“**. ხვალ როგორ შეიცვლება , არ ვიცი.

–ბევრი გუნდი ჯერ კიდევ ფინანსურ კრიზისშია და ასევე ჩაამთავრეს გასული ჩემპიონატი... „ბაია“, „კოლხეთი“, „სიონი“... ამ გუნდებმა ძლივს დაასრულეს ჩემპიონატი... მიუხედავად ამისა, რატომ გადაწყდა გუნდების რაოდენობის გაზრდა, როდესაც ისინი კვლავ წუწუნებენ ფინანსებზე. „ბაია“ რამდენიმე დღე არც ვარჯიშობდა...

– ასეთი ინფორმაცია არ მქონია. ფოთში პრობლემა არ არის.

– რატომ გაიზარდა გუნდების რაოდენობა 12-მდე?

– გეოგრაფია გაიზარდა. ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოში დღეს ისაა, რომ 18 წლის მოზარდებს არ აქვთ სამუშაო. 12 წლიდან თამაშობენ ფეხბურთს და უმუშევრები არიან, რადგან არ არის კლუბები. თბილისის **„დინამომ“** აქცენტი გააკეთა ესპანელებზე, იტალიელებზე, ინგლისელებზე, როდისღა უნდა აღიზარდონ ჩვენი ფეხბურთელები? ჩვენი ჩემპიონატი უნდა იყოს 18-გუნდიანი. მარტო დღეს დამატებით ორ გუნდში უკვე 60 ფეხბურთელია, 60 – დუბლების, ეს უკვე 120 გამოვიდა და ოთხი ასაკობრივი გუნდი – 25-25 ფეხბურთელი – ორასი გახდა. ანუ გამოდის, რომ 320 ფეხბურთელს მიეცა შანსი დღეს, გაიზარდოს ქართულ ფეხბურთში. ეს არის მიზანი, რაც შეიძლება მეტი ქართველი ფეხბურთელი დასაქმდეს ადგილზე და არ წავიდეს უცხოეთში.

– „სამტრედიის“ ფეხბურთელი დასაქმებულია? მთელი სეზონი ხელფასებსა და საკვებზე იყო ლაპარაკი. მოსახლეობა უგროვებდა პროდუქტს და მათთან მიჰქონდა...

– ნუ იწუწუნებს მერე, თუ არ უნდა წავიდეს და თოხი დაიჭიროს ხელში (საუბარში **ლაშა დვალიშვილი** ჩაერია, სფფ-ის პრესსამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც ჩაწერას ესწრებოდა, – **მ. კ.**).

– ცხინვალის „სპარტაკი“, მაგალითად, რამდენიმე წელია, სულ ბოლო ადგილებზე გადის, მაგრამ უმაღლესი ლიგა ჯერ არ დაუტოვებია. ხან რეგლამენტი შველის და ხან რომელიმე კლუბს ანაცვლებს...

– არაპოლიტიკურია, დედას გეფიცები...

– პირადად საწინააღმდეგოც არაფერი მაქვს, მაგრამ გავარდა „გაგრა“, იწვალა და ისევ დაბრუნდა უმაღლესში. ხომ შეიძლება ერთხელ ეს გუნდიც გავარდეს და ბევრი იმუშაოს დასაბრუნებლად?

– პრობლემა არ არის.

– გათამაშების სტილი შეიცვალა და ახალი სეზონიდან მცირე სიახლეები იქნება ჩემპიონატში. რა დადებითი მხარე აქვს ამას?

– დღეს არის ორი წრე. მერვედან მეთორმეტე ადგილამდე მყოფ გუნდებს გავარდნის საფრთხე ემუქრება. დავაწესეთ თანხა – დარჩენილი რვა გუნდიდან შვიდი იღებს ფულს, მერვე კი დაჩაგრულია, დარჩენილი 4 გუნდი კი იმის დამტკიცებას ეცდება, რომ ღირსია უმაღლეს ლიგაში თამაშის. ამ პრინციპმა გვაჩვენა, რომ გორმა სამტრედია დაამარცხა, ცხინვალმა კი – საჩხერე.

– გარიგებულ თამაშებზე რას იტყვით?

– კვლავ ვმუშაობთ, ვარკვევთ და ვაწვდით ინფორმაციას გამოძიებას. მქონდა საუბარი ერთ-ერთ ფეხბურთელთან, რომელიც გაუშვეს გუნდიდან (**„ბაიაზე“** მაქვს საუბარი). ფეხბურთელმა თქვა – თუ მე მაბრალებენ პენალტის აკიდებას, ე.ი. ქომეთიანი ყოფილა გარეული, რადგან მან შემომიყვანა შეცვლაზე ათი წუთით ადრე... ხომ ხედებით, რა სიტუაციაა, თუ **„იქ“** არ გაგვირკვევენ, უფროსები, ორგანოსი, ჩვენ ვერაფერს ვიზამთ.

– თუმცა ორგანომ განაცხადა, რომ კეთილი ნება გამოვხატეთ და არავინ დავიჭირეთ და მეტი აღარ იქნებაო...

– ეგეც **„მაგარი რაღაც“** გააკეთეს. ჩვენ მათ მიერ მოწოდებული ფირების მიხედვით ვიმსჯელეთ. ისე, აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არასწორი იყო?

– სწორი იყო, უბრალოდ, მხოლოდ ხუთ კაცზე არ უნდა გადატყდეს ჯოხი; ყველა უნდა დაისაჯოს, თუ ვინმეს ოდესმე რამე გაუკეთებია...

– გასაგებია... ვთქვათ, 180 კაცია ამ საქმეში გარეული. მაშინ რა ვქნათ?

– 180-ვე დასაჯეთ.

– ანუ ჩავშალოთ ჩემპიონატი საერთოდ?

– არ უნდა ჩავშალოთ;

– სულ 200 ფეხბურთელი გყავს;

– რა მნიშვნელობა აქვს, თუკი 180 კაცია გარეული ამ საქმეში და მხოლოდ 5 დაისჯება, პრობლემა მოგვარდება ამით?

– გეუბნებით, ამას ისე არ დავტოვებთ და კიდევ ბევრი წამოეგება. ყველაზე მეტად დაისაჯნენ გუნდ **„ბაიას“** ფეხბურთელები, **„ვიტ ჯორჯია“**... ისე გამოვიდა, რომ დაისაჯა მხოლოდ ერთი კაცი. ე.ი. ხელმძღვანელები, მწვრთნელები და ფეხბუთელები საქმის კურსში არ იყვნენ და ერთი ბეჭვაია იყო **„გლავარი“** და ის აკეთებდა **„უგლავოებს“, „ჰაუტებს“**?!. მესმის, რასაც ამბობთ, და იმის მომხრე, ვარ რომ ბოლომდე მივიყვანოთ ეს საქმე. დღეს მჭირდება ფაქტები, უნდა მომაწოდოს ორგანომ...

– ამ წერილებზე უნდა მეკითხა. უეფამ რამდენიმე მატჩის გამოძიება მოითხოვა. როცა ვეტერანი ფეხბურთელები და აღმასკომის წევრები „ქორთიარდში“ შეიკრიბნენ, რეზი არველაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ასეთი წერილები ფიფა-უეფადან პირველი ლიგის თამაშებზეც მოდიოდა. რატომ არ იხილა მაშინ იმ წერილებმა დღის სინათლე და რატომ – მხოლოდ ეს წერილი... რომელ გუნდებსა და თამაშებზე იყო საუბარი?

– დაიწყება გამოძიება. ასეთი წერილები კი მართლაც ყველა თამაშის შემდეგ მოდის. მათი უწყება აკვირდება ტოტალიზატორებს და იმ შემთხვევაში, თუ დიდი მოგება წამოვიდა რომელიმე თამაშზე, იგზავნება წერილი. საერთოდ, ახლა პროექტი მუშავდება, რომ ყველა ტოტალიზატორმა ფული გადაუხადოს ფეხბურთს.

– რაში?

– როგორ – რაში, ჩვენს თამაშებს რომ დებენ – იმაში.

– საქართველოს ჩემპიონატს ისედაც რამდენიმე ტოტალიზატორი თამაშობს. ხომ იტყვის – რაში მჭირდება ეს ჩემპიონატიო?

– სხვასაც ვერ ათამაშებენ, რადგან კეთდება ერთიანი სისტემა.

– ფედერაციის ვალებსაც შევეხოთ. წინა ინტერვიუში მითხარით, რომ გამოძიება მიდიოდა და აუცილებლად დადგებოდა მაშინდელი მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი. გარდა ნოდარ ახალკაცისა, დაისჯება ამ ვალების გამო ვინმე?

– ამ რამდენიმე დღის წინათ ფედერაციას მწვრთნელ პიტერ სეგრტის ვალი დაედო (სასამართლო მოგვიგო, 150 ათასი ევრო დაგვედო ვალად). საერთოდ არ ვიცოდი, ეს კაცი ვინ იყო, როდის იყო. საბუთებსა და ვალებს ბოლო არ უჩანს. თუმცა ნელ-ნელა წინ მივიწევთ, ღმერთის წყალობით. **„პრივატბანკს“** რომ არ ემაიმუნა (ხუთასი ათასი ევრო რომ გადაგვახდევინეს), ამ წლის დეკემბერში ყველაფერს დავამთავრებდით.

– სეგრტის ფული როდის უნდა გადაიხადოთ?

– ახლა ფიფას კომიტეტს უნდა გადავუხადო 11 ათასზე მეტი ევრო, რომ ჩაატარა, 150 ათასი კიდევ...

– და ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი დადგება?

– ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, წავიდოდი სახლში, ავიღებდი იარაღს და... აღარ უნდა ამას მეტი გაგრძელება. ხანდახან ყელში ამომდის სულ ვალი, ვალი...

– ვის მიადგებოდით იმ იარაღით...

– ყველას... გარეულია მთელი ფედერაცია, დამლაგებლიდან დაწყებული.

იარაღზე ნუ ააწყობთ ახლა მთელ ინტერვიუს (ჩაერია ლაშა დვალიშვილი. – მ.კ).

– ყოველთვის გეკითხებოდით – გარდა ნოდარ ახალკაცისა, ვინ იყვნენ ამ ამბავში ჩარეული, ოდესმე გვეტყვიან მათ სახელებსა და გვარებს?

– ვერასდროს იტყვი, ვინ დაღუპა ქართული ფეხბურთი, ყველას მიუძღვის ბრალი – მასაჟისტსაც და მწვრთნელსაც, რადგან არავინ არაფერს ითვლიდა. ჩვენთან ყველაფერი სხვაგვარადაა, მენეჯმენტი შეიცვალა...

– „პრივატბანკის“ ვალს რაც შეეხება – გინდოდათ, აღმასრულებლის თანხა უკანვე დაგებრუნებინათ?

– თვის ბოლოსაა სასამართლო დანიშნული. ამას არ შევარჩენ. წინა სასამართლო პროცესზე მოსამართლემ საბუთები მოითხოვა, **„ტაობანკმა“** წარდგენის ვადა გაწელა. ახლა ისევ შემოგვივარდა ქართულ ფეხბურთში. სპონსორია კია, მაგრამ მე ჩემს ფულს, ანუ ფედერაციის ფულს, არ შევარჩენ. იმას არ ვამბობ, რომ არ ეკუთვნოდა; რაც ეკუთვნოდა, აიღო და ზედმეტი რაც დამადო, იმას არ ვაღიარებ და უკანვე მოვითხოვ.

– ამ საკითხთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე განაცხადეთ, რომ ამ სესხის საგარანტიო ფურცელი დაკარგული იყო და არ იცოდით, ვინ იყო სესხის თავდები, თუმცა არაპირდაპირ მაინც მიანიშნებდით, რომ ეს იყო საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია, რომელიც „ტაობანკის“ ერთ-ერთი დამფუძნებელიცაა (თქვენ იმ პერიოდში რაღაც უთანხმოება გქონდათ მასთან)...

– მე ყველა გუნდის ხელმძღვანელთან მაქვს უთანხმოება, რადგან ყველა მათგანი ფედერაციას უყურებს არა როგორც ფეხბურთის მთავარ ორგანოს, არამედ – მე შენ გიხდი მონაწილეობისას და ანგარიში გამიწიე. რაც შეეხება წერილს, სასამართლო სწორედ იმიტომ გაიწელა, რომ ამ წერილზე გავაკეთეთ მოთხოვნა. იმედია, ამჯერად მოიტანენ და გვაჩვენებენ, ვინ იყო ამ სესხის გარანტორი.

– პროფესიული ფეხბურთის ლიგა დაიშალა, რადგან ინვესტიციის მოზიდვია ვერ შეძლო და ჩემპიონატს ისევ სფფ ატარებს...

– არ დაშლილა.

– ანუ ველოდოთ, ფენიქსივით როდის აღდგება?

– მე რომ წავალ ფედერაციიდან, რა იცით, იქნებ **პფლ**-ში წავიდე, სამსახურიც მექნება.

ესაუბრა
მაგდა კლდიაშვილი
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“

სეპარატიზმის თეორეტიკოსი და უკანასკნელი მოჰიკანი

გთავაზობთ ნაწყვეტს პროფესორ ბატონ ბიორგი ციციშვილისა და ცნობილი იურისტის ბატონ ვახტანგ გვარამიას წიგნიდან "მეგრული საკითხი".

გრიგოლ ახალაია ცალკე სათაურად გამოჰყოფს კითხვას **"რა სურს მეგრელ ხალხს?"** და იქვე პასუხობს: **"აუცილებლად და აბსოლუტურად გამოეყოს ქართული სუვერენიტეტისაგან ცალკე ტერიტორიულ საბჭოდ". მისი მსჯელობისა და ლოგიკის საერთო შთაბეჭდილებით ეს "გაერთიანებული საბჭო" გაუგებარია რა არის, მაგრამ ერთი რამ ცხადია – იგი არ არის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ერთიანი ორგანიზმის ორგანული ნაწილი. როგორც ვხედავთ, იგი ამჯერად გაურკვეველი უფლებებისა თუ სტატუსის თვითმმართველობას სჯერდება და სამეგრელოს ისტორიით სრულიად საქართველოს ისტორიაზე რევანშიც ამისთვის დასჭირდა. გრ. ახალაიას "სამეგრელოს საბჭოს" გამართლებისათვის ერთ-ერთი წიგნიდან მოაქვს სიამის ტყუპის ულამაზესი დის ბუნებრივი ხასიათის შეუთავსებლობით გამოწვეული აუტანელი ტანჯვისა და ურთიერთზიზღის ვრცელი ამონაწერი და დაასკვნის: არ უჯობთ, რომ ხელოვნურად შეყრილი როლიკის და დიადოკის ნაცვლად საქცენტრზე ზემოქმედებით გამოყონ მეგრულად მოლაპარაკე მაზრები ცალკე საბჭოთა ერთეულად"?** აი, ეს უკვე დამოუკიდებელი სამეგრელოა.

როგორც ვხედავთ, გრ. ახალაია სამეგრელოს **"მოწყობის"** საკითხში გარკვეულ კონცეფციას ქმნის და ისტორიის თავისებურ ინტერპრეტაციას მიმართავს, მაგრამ ეს მისი ვითომ **"ფსიქიატრიული სტაჟით"** (ლ. ბერია) კი არ იყო ნასაზრდოები, არამედ ეს იყო, ერთის მხრივ, მოცემულ საკითხზე იმდროინდელი ვითომ მეგრული და მეცნიერული შეხედულებების თავისებური გამოყენება, მეორე მხრივ, ანტიქართული, არამეცნიერული პროვოკაციების ავტორთა ნააზრევზე დაყრდნობა; მესამე მხრივ, იგი აყალიბებდა აღნიშნული ორი ნააზრევის სინთეზზე დაფუძნებულ ახალ მცდარ აზრებს და ზოგჯერ აშკარად უსაფუძვლო ფაქტებსაც იმარჯვებდა. ამ გზით გრ. ახალაია პოულობდა მისთვის სასურველ არგუმენტებს. ეს იყო საშუალება სამეგრელოსათვის იმ აუცილებელი დათმობის მოსაპოვებლად, რომელიც მას სამართლიანად მიაჩნდა და რომელთა შორის იყო ზოგი რამ მართლაც რაციონალურიც და სწორიც, რამდენადაც იგი გარკვეულად გამოხატავდა მეგრელი მშრომელი გლეხების ინტერესებს.

ამ სეპარატისტული ისტორიოგრაფიულ-ფილოსოფიური **"ტრაქტატის"** შექმნის ცოტა ხნის შემდეგ (თარიღდება 25.III.1926), გრ. ახალაიამ მიიღო სსრკ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ხელმოწერილი პასუხი, რომელშიც ნათქვამია: **"სსრკ ცაკ-ის ეროვნებათა საბჭო გაცნობებთ, რომ მის მიერ მიღებული ცნობებით მეგრულ ენაზე გაზეთების და ჟურნალების გამოცემა მოცემულ დროში არ არის გამოწვეული სამეგრელოს მშრომელთა მოთხოვნებით, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ქართველი ხალხის განუყოფელ ნაწილს, მთელის – ეკონომიკური და კულტურული დამოკიდებულებით. ამის საფუძველზე თქვენი შუამდგომლობა მეგრულ ენაზე გაზეთების და ჟურნალების გამოცემის შესახებ არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას".**

სსრკ ცაკ-ის ეროვნებათა საბჭოს ამ რეაგირებით ყველა ზუგდიდელი სეპარატისტისათვის, ხელისუფლების მიერ ძალით გასეპარატისტებულებისათვის და ყველა დანარჩენისათვის, გასაგები უნდა გამხდარიყო, რომ რაც ალხანა იყო, ისიც ჩალხანა იყო. ხელისუფლება **"მეგრული საკითხით"** თამაშობდა. თამაშობდნენ სეპარატისტებიც. მაგრამ ინაგრებოდა უბრალო მშრომელი ხალხი. მხოლოდ ზუგდიდის მაზრიდან 1925 წელს თბილისში გადაგზავნილი ოფიციალური ინფორმაციის შესაბამისად, იანვარ-მარტის მდგომარეობით სკოლებში ირიცხებოდა საშუალო ასაკის ახალგაზრდობის მხოლოდ 45 პროცენტი, რომელთა შორის ქალია 15-17 პროცენტი (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 28, აღ. 1, ს. 718, ფურც. 8). მაშასადამე, ბავშვები შრომით საქმიანობაში ებმებოდა ელემენტარული განათლების გარეშე. იმ 45 პროცენტიდანაც, რომელიც სკოლაში დადიოდა, უმრავლესობა ქართული სიტყვების დაზუთხვის გარდა ვერაფერს ითვისებდა, ისე ამთავრებდა 2 ან 4 კლასს და კერძო ან სახელმწიფო სექტორის უტყვი მუშახელის კონტიგენტს ემატებოდა. ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხის წინაშე მართლაც იდგა ინფორმაციულ ჭურში ჯდომის და იქიდან ამოუსვლელობის გარდაუვალი პრობლემა. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მოსპობილი ჰქონდა არა მარტო სასამართლოში მისი ბედის განსჯის პროცესის მოსმენის, არამედ სახელმწიფო სექტორში ძირეულ თანამდებობებზე დაწინაურების შანსი. ხოლო ქართულის არმცოდნე მშობლებს არ ჰქონდათ საკუთარი შვილებისათვის სასკოლო გაკვეთილების ათვისების მიზნით საშინაო გაკონტროლება-წახმარების შესაძლებლობა და ა.შ. ქართულის არმცოდნე უბრალო მწარმოებლისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება მართლაც ცინიზმამდე დადიოდა. ზოგი არ იზიარებს ჩვენს აღნიშნულ აზრს, მიგვითითებს დღევანდელ ქართულ ინტელიგენციისა და თვალსაჩინო სწავლულ ქართველთა შორის მეგრელთა სიმრავლეზე. ზოგს მიაჩნია, რომ ქართულის არმცოდნე მეგრელების მიმართ იმთავითვე დაშვებულ დათმობებს აუცილებლად მოჰყვებოდა მეგრული სეპარატიზმის გაძლიერება და ა.შ. ეს, ჩვენი აზრით არის ისტორიის რეალობის გაუთვალისწინებელი სუბიექტური ნააზრევი, რომელიც **"მეგრული საკითხის"** 90-წლოვანმა გაყალბებამაც ასაზრდოვა.

მაგრამ ისიც ნათლად ჩანს, რომ გრ. ახალაია ისევე, როგორც მისი მიმდევრები, ვერ ერკვეოდნენ არა მარტო სამეგრელოს, და საერთოდ საქართველოს ისტორიის, ლინგვისტიკისა და პოლიტიკის საკითხებში, არამედ ისეთ საყრდენ საფუძვლებს, როგორიც იყო ერი, ენა, ქართული, მათ შორის მეგრული ტომის, ეთნოგენეზისის საკითხი, სამეგრელოს ადგილი საერთო ეროვნულ ისტორიასა და პერსპექტივაში.

გრ. ახალაიამ ვერ გაიგო, რომ ერის ლენინ-სტალინისეული განმარტება გულისხმობდა შესაბამისი ნიშნების მყარ ისტორიულ ერთობას, რომელიც, მათი აზრით, იყო მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქის პროდუქტი. მან ვერ დაინახა, რომ სტალინის სტატიაში **"მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი"** მეგრელებისა და აჭარლების მცირე ეროვნებებთან გატოლება იყო ბოლშევიკების კლასობრივი და ეროვნული პროგრამის მიზიდულობის გასაძლიერებელი **"სიტყვის ხერხი"** და იმ **"დამოუკიდებლობანას თამაშისათვის"** გამიზნულად ნახმარი სიტყვების თამაში, რისი უკურეაქციის გამოც, როგორც ლენინისადმი 1922 წელს გაგზავნილ წერილში ვნახეთ, იოსებ სტალინმა თვითონვე გამოთქვა სინანული. გრ. ახალაიამ არც ის იცოდა, რომ სერგო ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ 1925 წლის 17 ოქტომბრით დათარიღებულ დაშიფრულ წერილში სტალინი მოითხოვდა განეცხადებინათ, რომ სამეგრელოს ავტონომიის სასარგებლოდ აზრი არასდროს გამოუთქვამს და არც აპირებდა გამოთქმას. მან ვერ გაიგო, რომ, ამდენად, ლენინ-სტალინის ადრინდელი ნათქვამი არ შეიძლებოდა გაგებულიყო **"მაღალ ღირებულებად"**, კანონად, აბსოლუტურ ჭეშმარიტებად და გამომდგარიყო როგორც არგუმენტი. მან ვერც ივ. ჯავახიშვილი გაიგო. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ქართველი ერის ისტორიას იწყებდა ქართველი ტომების კონსოლიდაციის ეპოქაში, მეგრელებს ყოველთვის განიხილავდა მხოლოდ ქართველებად, დანარჩენ ქართველებთან ერთიანობაში. უფრო მეტიც, იგი მეგრულ ენასა და ფოლკლორში ეძიებდა და ჰპოვებდა ქართული ტომების საერთო ფესვიდან წარმომავლობის დასაბუთებას. ივანე ჯავახიშვილი დიდ მადლობას უძღვნიდა ბატონ კონდრატე თათარაშვილს (უიარადოს) იმ **"მეგრული სახალხო ლექსის"** მიწოდებისათვის, რომელიც უტყუარ ცნობად დაიმოწმა ქართველების ქრისტიანობამდელი რწმენის გაგებისათვის:

ბუა დია ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი,
ხვიჩა ხვიჩა მურიცხეფი,
და დო ჯიმა ჩქიმი.

მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამა ჩემი,
სხვადასხვა ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი

(იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტომი I, თბ. 1979, გვ. 98-99).

ბიორგი ციციშვილი,
ვახტანგ გვარამია

რატომ არ ისურვა სტალინმა პეტრე პირველის ქართველობის სამზეოზე გამოტანა?

"იყო ჩრდილოეთს ხელმწიფე,
თეთრი რუსეთის მჭირველი,
თვითმპყრობელობის მიმდები,
პეტრედ ცხებული პირველი".

ასე წერდა ქართლის ჭირითა და უიმედობით შეძრული დავით გურამიშვილი და საქართველოს "ხსნას" ისიც რუსეთის დიდი იმპერატორის მსგავსთა შემწეობითაც მოელოდა... თუმცა, დავით გურამიშვილს იმ დროს მოუწია მოსკოვს ჩასვლამ, როცა პეტრე პირველი უკვე ოთხი წლის გარდაცვლილი იყო, მაგრამ დიდი იმპერატორის სახელი ისევ ქუხდა რუსეთის ძლევამოსილ იმპერიაში.

რუსეთის ისტორიაში პეტრე პირველი აღიარებულია უძლიერეს მეფე-იმპერატორად, ასევე უპირველეს სახელმწიფო მოღვაწედ და სარდლად. იგი იყო მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის ერთადერთი ვაჟიშვილი მეორე ქორწინებიდან (ნატალია ნარიშკინასგან).

სახელი პეტრე ბერძნულად ნიშნავს კლდეს (როგორც ცნობილია, პეტრე, ანუ კლდე ზედწოდება გახლდათ იესო ქრისტეს უახლოეს მოწაფე სიმონისა. სიმონმა ეს წოდება თვით იესოსგან მიიღო). ამდენად, სახელი პეტრე ღთიური მადლით იყო ცხებული.

პეტრე პირველი თავადაც კლდესავით მაგარი და მტკიცე იყო, გამჭრიახი. გარშემო შემოკრებილი ჰყავდა ნიჭიერი, ერთგული მოღვაწენი, რომელთა შორის ერთ-ერთი გახლდათ ქართველი ბატონიშვილი ალექსანდრე, არჩილის ვაჟი. იგი თან ახლდა პეტრე პირველს საზღვარგარეთ, თავის დროზე შესაფერის განათლებამიღებულს არ გასჭირვებია რუსული არტილერიის პირველი სარდლის პოსტზე დგომა.

რუსეთის დიდ იმპერატორზე სხვადასხვა ჟანრის არაერთი ნაწარმოები, წიგნი და მონოგრაფია შეიქმნა. მხატვრულ ნაწარმოებთა შორის გამორჩეულია რუსი მწერლის, ალექსეი ტოლსტოის რომანი-ეპოპეა **"პეტრე პირველი"**. თავის დროზე ეს ნაწარმოები რუსულ მწერლობაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად აღიარეს. რომანში ავტორი ცდილობს რუსი ხალხისა და რუსეთის სახელმწიფოებრიობის საიდუმლოებათა ამოხსნას. რომანი ორ წიგნად გამოიცა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში, მესამე წიგნი კი მწერალს დაუმთავრებელი დარჩა.

პირველი წიგნი მოიცავს ეპოქას პეტრეს ბავშვობიდან დავაჟკაცებამდე.

ჩვენთვის საინტერესოა პეტრეს ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი, კერძოდ, მისი გენეტიკური წარმომავლობა. რომანში ეს ე.წ. საიდუმლოება გახსნილი არ არის. გავრცელებული ვერსიით, რუსეთის მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის პირველი მეუღლე უკურნებელმა სენმა იმსხვერპლა. პირველ ქორწინებაში შეძენილი ვაჟები სნეულნი იყვნენ, 41 წლის მეფეს კი ჯანმრთელობა გაუუარესდა და ღრმად მოხუცს ჰგავდა. სამეფო ტახტს შთამომავალი არ ჰყავდა, ამიტომ პატრიარქ ნიკონის დაჟინებული მოთხოვნით, მეფე მეორედ დაქორწინდა 20 წლის თავადის ასულ ნატალია ნარიშკინაზე. ნატალიასთან, მის რუსეთის დედოფლად გახდომამდე, **"მეგობრობდა"** ახალგაზრდა ქართველი უფლისწული ნიკოლოზი (ერეკლე). იგი კახთა მეფის თეიმურაზ I-ის ვაჟის დავითის ძე იყო. პაპამ, თეიმურაზმა რუსეთის მეფის კარზე გაგზავნა. იქიდან დაბრუნებული ჯერ ქართლში მეფობდა, შემდეგ კახეთში (ერეკლე I), ბოლოს კი შაჰის სარდალიც გახდა და ნაზარლი-ხანი უწოდეს.

რადგან რუსეთის მეფეს შთამომავალი აღარ ეყოლებოდა, პატრიარქ ნიკონის **"არჩევანი"** სწორედ ქართველ ბატონიშვილზე შეჩერდა – ბაგრატიონთა სამეფო გვარის შთამომავალს უნდა **"გადაერჩინა"** რუსეთის სამეფო ტახტი უძეობისაგან. ეს იყო პოლიტიკური თვალსაზრისით გადადგმული აუცილებელი ნაბიჯი. ამგვარად, ქვეყანას მოევლინა რუსეთის ყველა დროის უდიდესი იმპერატორი, რომლის ძარღვებში ქართველ ბაგრატიონთა სისხლი ჩქეფდა. თუმცა, ცნობილი არ არის, იცოდა თუ არა თავად პეტრე პირველმა თავისი წარმომავლობის საიდუმლო.

გავიხსენოთ ალექსეი ტოლსტოის რომანიდან ერთი ეპიზოდი:

"როდესაც მეფე ალექსი მიიცვალა, პატრიარქმა ნიკონმა ყველას გასაგონად გამოაცხადა: "ვიგლოვოთ, დიდებულებო", შემდგომ კი მრავალრიცხოვან შეკრებილთ მიმართა: "მეფის ძეთაგან რომელი აბრძანდეს ტახტზე". არჩევანი დადგა: პეტრე თუ ივანე. უმეტესობა პეტრეს ირჩევდა, არავის უნდოდა ჭკუასუსტი ივანეს მეფობა.

თუმცა მრისხანებას ვერ ფარავდა მეფის ასული სოფიო, რომელსაც სძულდა დედინაცვალი, რუსეთის დედოფალი ნატალია ნარიშკინა. მან მოუწოდა თავის მომხრეთ: "ნუ შეშინდებით, შუბის წვერზე ააგეთ ჩემი მტრები, ნარიშკინები! ნუ შეშინდებით და ტახტიდან ჩამოადგეთ ის ბიჭი (ე.ი. პეტრე, მისსივე ნახევარძმა), იმ ძუკნის ლეკვი".

ამგვარად, უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი: ვინ აეყვანათ სამეფო ტახტზე. ერთის დედა ნარიშკინის ქალი იყო, ხოლო მეორე – მიროსლავსკისა. ივანეს მომხრეთა მხრიდან გაიძახოდნენ: **"რაზმის უფროსები მოგვეციო. ჩვენ თვითონ განვსჯით... სამრეკლოდან დავუშვებთ თავდაყირა,** – გაჰყვიროდნენ მოსულები და მრისხანებდნენ, – **რას ფიქრობდნენ ზევით დიდებულნი? რად დაგვინიშნეს მეფედ პაწია პეტრე, ნარიშკინების ბუში?"**

თუმცა კი ჭკუასუსტ ივანეს ყრმა, მაგრამ ჯანსაღი პეტრე არჩიეს...

ეს ამონარიდები რომანიდან მრავალისმეტყველი დეტალებია და იქნებ სწორედ აღნიშნულმაც გაამყარა ის გახმაურებული ვერსია, რომლის მიხედვით, პეტრე პირველი წარმომავლობით ქართველი ბაგრატიონია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სრულიად შემთხვევით, ერთ მეტად საინტერესო ფაქტს წავაწყდით. გასული საუკუნის 80-იან წლებში კურორტ ჯავის სანატორიუმში ვისვენებდი, სადაც გავიცანი მუსიკათმცოდნე, პროფესორი პავლე ხუჭუა. მან ქართველთა ერთ ჯგუფს აი, რა **"გაგვიმხილა"**:

"მოსკოვში, ასპირანტურაში რომ ვსწავლობდი, ერთი რუსი ინტელიგენტის ოჯახში მოვხვდი. იქ მოწვეულ მწერალთა და ხელოვანთა შორის აღმოჩნდა ცნობილი რუსი მწერალი ალექსეი ტოლსტოი. მწერალმა ყველას გასაგონად და გულღიად განაცხადა: – რომან "პეტრე პირველზე" მუშაობისას მოვიძიე უამრავი საარქივო მასალა და ისტორიული დოკუმენტი, საიდანაც იკვეთებოდა აზრი, რომ პეტრე უნდა იყოს წარმოშობით ქართველი, ბაგრატიონთა შთამომავალი... მე მსურდა აღნიშნული მასალების რომანში გამოყენება. საამისოდ რჩევა-კონსულტაციისათვის მივმართე იოსებ ბესარიონის ძე სტალინს. მან გულდასმით მომისმინა და ბოლოს გადაწყვეტით მითხრა: არ გირჩევთ ამ ფაქტის სამზეოზე გამოტანასო".

ამდენად, ალექსეი ტოლსტოის რომანში მხოლოდ ქვეტექსტებით თუ იგრძნობა, რომ პეტრე პირველი მეფე ალექსეის დვიძლი შვილი არ არის.

საინტერესოა, რატომ აარიდა თავი რუსეთის მეორე პეტრე პირველად წოდებულმა სტალინმა ამ ფაქტის გამომზეურებას. ვინ იცის – საბჭოთა იმპერიის დიდ ბელადს არ უნდოდა კიდევ ერთი **"დიდი ქართველის"** – პეტრე პირველის ჩრდილში ყოფნა...

სიმონ არველაძე,
დარეჯან არველაძე

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი "ისტორიანი", №7.

საქართველო (კოლხეთი) – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა.
იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე
პროფ. ლევან სანიკიძე

დასაწყისი №122, 123, 124, 125, 127, 128, 129

ჩვენ გაზეთის წინა ნომრებში მკითხველებს მივაწოდეთ დიდი ქართველი მეცნიერის ბატონ კლიმენტი შელიას წერილების ციკლიდან მრავალი საინტერესო წერილი, რომელიც ნათელს ჰფენს საქართველოს შორეული წარსულის პერიპეტიებს. ზოგიერთი წერილი ამ ციკლიდან შეიძლება ადრე გამოქვეყნებულიც გვქონდეს, მაგრამ იმდენად დიდია მკითხველი აუდიტორიის ინტერესი ბატონი კლიმენტის შემოქმედებისადმი, რომ მისი ხელმეორედ გამოქვეყნებაც დიდად სასარგებლო და საშურ საქმედ მიგვაჩნია – გაზეთ "ილორის" რედაქცია.

ძვ. წ. XV-XIII საუკუნეებში ქასქ-მეგრულ ტომებს გვარსახელები ჰქონდათ

ცნობილია, რომ წინახეთურ მოსახლეობას შეადგენდნენ ქასქები. იგივე მეგრულ-ჭანური ტომები (გ. გიორგაძე, გ. ჭელიძე, კ. თოფურია, კ. შელია).

აკადემიკოსი გრიგოლ გიორგაძე აღნიშნავს, რომ ძველი წელთაღრიცხვის XV-XII საუკუნეების დროინდელ ხეთურ ტექსტებში დასახელებული ქასქური ტოპონიმიკის, ქასქური საკუთარი სახელების, ცალკეული სიტყვების ანალიზი გვიჩვენებს ქასქების სამხრეთ კოლხურ წარმომავლობას.

აფხაზი მეცნიერები 1991 წელს სოხუმში რუსულ ენაზე გამოცემულ **"აფხაზეთის ისტორიაში"** ამბობენ, რომ ქაშქები არიან ადიღეურ-ჩერქეზული ტომის ხალხი. მაგრამ საბუთების გარეშე, სურვილის მიხედვით, ისტორია არ იქმნება.

ხეთურ ტექსტში **"ქასქა"** ტერმინისაგან ნაწარმოებია **"ქასქას ტომი" ("ქასქა-ტომი"** ან **"ქასქას ტომები", "ქასქას ქვეყანა"** (ან ქვეყნები), **"ქასქელი"** (კაცი თუ ქალი), **"ქასქელები", "ქასქელი მეომრები"** ან **"ქასქის ქვეყნის მეომრები", "ქასქა-მტერი", "ქასქა-ღვთაებები"** და ა.შ.). (გრიგოლ გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000წ. გვ.11, წიგნი გამოსულია სამ ენაზე – ქართულ, რუსულ და გერმანულზე).

გ. გიორგაძე განმეორებით წერს: **"ხეთურ ტექსტებში მრავალჯერ მოხსენებული ქასქების მდიდარი ტოპონიმიკის, საკუთარ სახელთა და ცალკეულ სიტყვათა შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქასქების ტომები განსახილველნი არიან როგორც დასავლურ-ქართველური, მეგრულ-ჭანური, ანუ როგორც ჩვენ ვუწოდებთ, სამხრეთ-კოლხური წარმოშობის ტომები".** ასეთ შემთხვევაში მივიღებთ სრულიად ახლებურ დასკვნას: ქასქები არიან სამხრეთ-კოლხური წარმოშობის ტომები, მაშინ ასეთსავე ტომებად უნდა ჩავთვალოთ ასურული ტექსტების ქაშქებიც **("ქაშქაია")** და, მაშასადამე, აბეშლაელებიც, თუკი ასურული წყაროების **"ქაშქა"** და **"აბეშლა"** მართლაც სინონიმებია. ყოველივე ეს იმას მიუთითებს, რომ ხეთური და ასურული წყაროების ქასქები (ქაშქები) და ასურული წარმოშობის აბეშლაელები (საერთო ჯამში, აფსილებიც – აბეშლა და **"აფსილი"** ტერმინთა გაიგივების შემთხვევაში) ერთი და იგივე წარმომავლობის – სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომებია. (გრიგოლ გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000წ. გვ.163).

ამ პერიოდში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან სხვა ტომებიც, მათ შორის ქართველური წარმოშობის მუშქები (მესხები, იგივე მეგრული ტომებია), რომლებმაც მიიტაცეს ასურეთის ქვეშმრდომი ქვეყნები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში – ალიზი, ფურულუმზი, შემდეგ ქათხუმი და მრავალი წელი ბატონობდნენ მათზე. ქაშქების ტომებს ჰქონდათ საკმაოდ ვრცელი ქვეყანა მთელი პონტოს ტერიტორიაზე, როგორც ამტკიცებენ, დაახლოებით იმ ადგილებში, სადაც გვიან ცხოვრობდნენ ქართველური კოლხური ტომები – ხალიბები, მოსინიკები, სანები და სხვა.

პროფესორი ნათელა ქუთელია წერს: **"ვინც ონომასტიკურ მასალას გაეცნობა, პირველი, რაც თვალში ეცემა, ეს არის ფონემათა განაწილების იდენტურობა ქასქურსა და კოლხურს (ლაზურ-მეგრულს) შორის, განსაკუთრებით აფიქსთა იდენტურობა".**

პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე დარწმუნებით ამბობს: **"ქაშქების კოლხურ, ე.ი. დასავლურ-ქართველურ ეთნოსად მიჩნევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ეთნოსისა და ქართველური ენების ისტორიისათვის. კერძოდ, დასტურდება, რომ მეგრულ-ჭანური, ანუ "ზანური" ("კოლხური") ენა უკვე ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში გამოყოფილია ქართულ-ზანური ერთობლიობისაგან".**

ქასქური ტოპონიმიკა კარგადაა ასახული ხეთურ ლურსმულ ტექსტებში. საინტერესოა გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მთავრდება – **ია** სუფიქსზე: აშხარფაია (აშხარბაია, ასხარბაია), ელურია (ილურია), გახარია, ქათხარია (ქაშქაია, ქასქაია), ფათადია, შარია (სარია), შუხურია (სუხურია), თახანთარია, თალიფაცია, თაქაშთურია (თაქასთურია), თალმალია, თიმია, თიფია, ვაშხაია (ვასხაია), ციხარია, ციხთახარია, ციხარცია და სხვა მრავალი ქასქური ტოპონომიკის – ია სუფიქსთან დაკავშირებით, შეადარეთ მეგრული გვარები, რომლებიც ბოლოვდებიან – ია სუფიქსზე: ქეცბაია, თოფურია, ქაარია, გახარია, გამახარია, პაჭკორია, ოდიშარია, ქუთელია, ფიფია და ასე შემდეგ...

გ. გიორგაძის მიერ მოხმობილი ქასქურ, აშკარად მეგრული სიტყვების მსგავს სიტყვებს, გამოთქმებს, შეიძლება ასეთი განსაზღვრაც მივცეთ: ისინი გვანან, თანხვდებიან თანამედროვე მეგრულ სიტყვებს, ზოგიერთი მათგანი დღეების სახელწოდებებია: მუნისქა (მუნიშხა) – **"ჯუმაშხა"** (ოთხშაბათი), თათისქა (თათიშა) – **"თახაშხა"** (სამშაბათი), თუთუსქა – **"თუთაშხა"** (ორშაბათი), ციანთისქა (ციანთიშქა) – **"ცაშხა"** (ხუთშაბათი) და ა.შ.

აშკარად ქასქური წარმოშობის სახელებია: ასაფლალა (აშაფალა), ხათეფა, ხაცინა, იციცი, ქასქამუვა, ქაციფირი (გაციფირი), ფაათა (პაათა), ფათალია, ფაცანა, ფიხუნია, ფია, ფიგაფაცუი, ფიფელუ, ფაციცი, სფალი, სიუსმელი (შუიშმელი), დადა (თათა, დათა), დადილუ, თემეთი, თითა (დითა), თუთუ და ა.შ. გარკვევით ჩანს, რომ ყველა ისინი მეგრული სიტყვებია.

ქართული მეცნიერების კორიფე დიდი ივანე ჯავახიშვილი ქასქებს თვლის **"მერმინდელი კოლხების წინაპრად"**, ამასვე ამტკიცებენ სხვა ცნობილი მეცნიერებიც, არა მხოლოდ ქართველები, არამედ ბევრი უცხოელი მეცნიერიც.

ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, რომლებიც კატეგორიულად ამბობენ, რომ ქასქები ქართველური ტომები არიან, ამასთან ერთად ეჭვს გამოთქვამენ: მართლა ქასქები ქართველური, კოლხური ტომები არიან? მათ შორის გ. გიორგაძე წერს: **"ქასქების ისტორიის არაერთი საკითხი კვლავ ბუნდოვანია. ეს განსაკუთრებით ითქმის ამ ტომთა ეთნიკურ წარმომავლობაზე".**

ასეთი სხვა **"საეჭვო"** გამონათქვამებიც არსებობს. ეს კეთდება მიუხედავად იმისა, რომ ქასქური ტოპონიმები,

საკუთარი სახელები, სიტყვა-თქმები, გეოგრაფიული სახელები – მათი აბსოლუტური უმრავლესობა მეგრულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია (თუ ეს სწორია), რომ გვარები, გვარების ინსტიტუტი იქმნება მხოლოდ XII-XIII საუკუნეებში. საქართველოში პირველი გვარი დაფიქსირებულია წებელდის ეკლესიის წარწერაში – ქორჩილავა, მეორე გვარი კი ილორის ეკლესიის წარწერაში – კვარაცხელია და ა.შ.

გ. გიორგაძეს თავის ზემოთ აღნიშნულ წიგნში მრავალი ქასქური გვარი აქვს ჩამოთვლილი, თუმცა მათ გვარებს არ უწოდებს. აქედან ბევრი თანამედროვე გვარია. ეს მსოფლიო სენსაციაა. ძველი წელთაღრიცხვის XVII-XV და XV-XIII საუკუნეებში კოლხურ ტომებს გვარები ჰქონიათ.

კლიმენტი შელია,
აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე
(გაგრძელება იქნება)

გაზეთ „ილორის" წინა ნომერში ჩვენს მკითხველებს შევთავაზეთ ჟურნალისტ დიტო ჩუბინიძის წერილი "რა მოხდა სტინგის კონცერტის შემდეგ ბათუმის აუზში?!", რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ "კვირის ქრონიკაში". წერილში, რომელმაც, როგორც ჩანს, "ნაციონალთა" გარკვეული ნაწილის გულისწყრომა გამოიწვია, გაშუქებული იყო ქართველ მომღერალ გოგონას დასაჩინჩლად გამოკიდებული მიშა სააკაშვილის ბათუმური სექსუალური ვნებები, რამაც ლამის შეიწირა ქალბატონების ვერა ქობალიასა და ნათია ბანძელაძის ჯანმრთელობა და გიორგი ბარამიძის ფეხი... ბარამიძემ და სხვებმა კატეგორიულად ვერ უარყვეს გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე და მხოლოდ იმით შემოიფარგლნენ, რომ ბარამიძემ სისულელედ მოიხსენია აღნიშნული წერილი. ჟურნალისტის პასუხმაც არ დააყოვნა – დღეს, ამავე თემაზე, გთავაზობთ ბატონ დიტო ჩუბინიძის პასუხს გიორგი ბარამიძისადმი, სათაურით:

ტყუილი ვთქვი და დავწერე, თუ რა ხდება?!..

ამ კაცმა – მიშამ – თუ ასე გააგრძელა და ვანო მერაბიშვილთან ან რომელიმე თავის პირად ქილერთან ერთად ყოველ ღამე იმ ხალხის ლიკვიდაცია დაგეგმა, რომელიც თვალში არ მოსდის, ბოლოს საქმე იქამდე მივა, რომ სააკაშვილს მესაფლავისა და სასაფლაოს დირექტორის თანამდებობის ოფიციალურად შეთავსება მოუწევს და ასე დარჩება მიშა ავლაბრის რეზიდენციაში თავის ასპიტებთან, ბართან, ნიჩაბთან და წერაქვთან ერთად.

უბედურ ნიკარაგუას დიდი ხანი მართავდა ცნობილი მანიაკი და მკვლელი, ანასტასიო სომოსა დებაილე – მეტსახელად **"ტაჩიტო"**. არ იკითხავთ, ეს კაცის ხორცისმჭამელი **"ტაჩიტო"** თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს რა მეთოდებით უსწორდებოდა?.. როგორ და, რომელიმე მათგანს, მაგალითად, ტომარაში ჩასვამდა და ვერტმფრენიდან, რომელიც 2-3 კილომეტრ სიმაღლეზე იყო ასული, ისროდა...

ზოგიერთ ფეხებშებორკილს კატერით გაიყვანდა ზვიგენებით სავსე ოკეანეში და ტკბებოდა, როგორ ფლეთდნენ ზვიგენები ცნობილ ოპოზიციონერებს. **"ტაჩიტომ"** უამრავი ადამიანი დახოცა, მათ შორის, ცნობილი ჟურნალისტი – კარდენალი... მიხეილ სააკაშვილს ყველაფერი აქვს და ყველანაირი მონაცემები, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს **"ტაჩიტოდ"**... ლალი მოროშკინას გაახარებს ღმერთი... მითხრა და ოფიციალურ ინტერვიუში, რომელიც **"კვირის ქრონიკის"** ამ ნომერშია გამოქვეყნებული, დამიდასტურა, – ბათუმურ აუზში რაც მოხდა, იმაზე რომ დაწერე, ეტყობა, გულზე მოხვდათო... ძალიან მაგრად აქვთ, თურმე, **"აკრეფილი"**.

ტყუილი ვთქვი და დავწერე თუ რა ხდება?.. მთელი ბათუმი იმაზე ხარხარებს, რაც იმ აუზში მოხდა და თქვენ არაფერი გაგიგიათ?.. ყველაზე მეტად რამ გამაოცა, იცით?.. აფრასიძეების ოჯახის ამომწყვეტისა და სააკაშვილის ერთ-ერთი ნომრიანი ქილერის – გიორგი ბარამიძის კომენტარმა, – ფეხი ბათუმში კი მოვიტეხე, მაგრამ რაც **"კვირის ქრონიკაში"** დაიწერა, ეს სისულელეაო!..

კარგი, ბატონო, ვთქვათ, მე სისულელე დავწერე, მაშინ ბარამიძემ ამიხსნას, როგორ მოხდა ყველაფერი და ეს ხალხი სად იყო ისეთ ადგილას, რომ ხელისუფლების ორმა უმაღლესმა ჩინოსანმა – ვერა ქობალიამ და გიორგი ბარამიძემ და ერთმა ჩინოსანმა – ნათია ბანძელაძემ ერთ ქალაქში, ერთსა და იმავე დღეს მიიღეს სხეულის მძიმე დაზიანებები, – ქობალია სასწრაფოდ საავადმყოფოში დააწვინეს, ბარამიძემ ფეხი მოიტეხა, ხოლო ბანძელაძეს ტვინი შეერყა?.. გამობრძანდით და თქვით, სად იყავით?.. კაკანათი დაგიგოთ მიშამ და იქ გაებით, დათვის ხაფანგში ჩაცვივდით, თუ ასე ერთად სად მოირეჯგვეთ?

პატივცემულო მკითხველო, თუ გახსოვთ, ჩემს წერილში ვწერდი, – ვერაფრით დავადგინე, ბარამიძემ ფეხი როგორ, რა სიტუაციაში, რომელ **"შერკინებაში"** მოიტეხა-მეთქი!.. ჯერჯერობით ახლაც გაურკვეველია ჩემთვის ეს ამბავი, თუმცა ვერსია მაქვს... ვერსია, რომელიც საქვეყნოდ ცნობილმა ერთმა დიდებულმა ქართველმა პოეტმა ამას წინათ შემომთავაზა, მართლაცდა, დიდებული და სანეტარო მოსასმენია; მერწმუნეთ, იმდენს იცინებთ, მუცელზე კანი არ შეგრჩებათ, მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ ამის დაწერა გაზეთში არაფრით არ შეიძლება!.. აფსუს, ნეტავ ამის ქაღალდზე გადატანა შეიძლებოდეს!..

დასასრულ, სააკაშვილმა ერთ ჟურნალისტ ქალბატონს ერთი ვაიუშველებელი დააწია, – როგორ გაბედე და ბათუმში რასაც ვაშენებ, იმას **"კიჩი"** (უგემოვნო ქმნილება – **"ილორი"**) როგორ უწოდეო!.. არც **"კიჩი"** არ არის, ეგ, მიშა, – ჰიტლერის **"უბორნია"** უფრო უკეთ და გემოვნებით იყო ნაშენი, ვიდრე შენი **"იუსტიციის სახლი"**, რომელსაც ბათუმელები **"გადმოტრიალებულ ბოთლს"** ეძახიან...

ეს ხელებწაჭრილი ბალერინები შენი იდეა იყო, ბათუმში აშენებულ სახლზე რომ მიაწებებინე რჩეულიშვილს?.. ხელებწაჭრილი ბალერინების ქანდაკებებით **"მოპირკეთებული"** სახლის ფასადი... ამ საცოდავი ბალერინების ფოტოსურათები რომ დაათვალიერა, ჩემმა ნიჭიერმა კოლეგამ, სხვათა შორის, ქალბატონმა, იცით, ქირქილით რა მითხრა?.. ხელები იმიტომ წააჭრა, მიშას რაიმე ხუშტურმა რომ მოუაროს, ბალერინებმა წინააღმდეგობა არ გაუწიონო!..

მანიაკი ხარ, ბიძია, შენ!..

ამოვძირკვოთ ქართველი ერის დეკადანსის მიზეზები!

უმარტივესი ჭეშმარიტებაა, ერთგვაროვანი, მოცულობით განსხვავებული სიდიდეები ფიზიკურად თანასწორნი ვერ იქნებიან. ბუნებაშიც დიდს უერთდება პატარა და ყოველთვის უფრო ძლიერია წარმმართველი ძალა. ამდენად, შეუძლებელია, დიდი და პატარა სახელმწიფოები მეგობრები იყვნენ და თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ. რამდენადაც საქართველო რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთდა, ბუნებრივია, და არ უნდა გვეუცხოოს, რომ რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა იმპერიაში შემავალი ხალხები გაერუსებინა, რომ მთელს იმპერიაში ერთიანი რუსი ერი ჩამოყალიბებულიყო.

ამ მიზნით ცდილობდა კავკასიის მთავარმართებელი თავისუფალ მიწებზე ჩამოესახლებინა რუსი ადამიანები. მაგრამ სომხები, ხელთ ჰქონდათ რა ჩაგდებული ეკონომიკური სადავეები, ყოველ ღონეს ხმარობდნენ არ დაეშვათ რუსების დამკვიდრება კავკასიაში და, განსაკუთრებით, საქართველოში. **თვით სომხეთში არასომხები 1%-იც არაა. ამ მიზნით რუსეთის სამეფო ხელისუფლების მიერ ჩამოსახლებულ რუს ადამიანებს ასახლებდნენ უნაყოფო, ან ჭაობიან მიწებზე, სადაც მალარია მძვინვარებდა და სიქას აცლიდა ადგილობრივ კლიმატს შეუჩვეველ ადამიანებს. და ამას ისინი აღწევდნენ არაკეთილსინდისიერ რუს მოსამსახურეთა მოსყიდვით, რომლებიც მზად იყვნენ სული მიეყიდათ სომხური ინტრიგის სატანისათვის. ასეთი ადამიანები მოკალათებული იყვნენ პრესაში, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ კავკასიაში არ არის ვარგისი თავისუფალი მიწები და რუსი ჩამოსახლებულები განწირული არიან დასაღუპად მძიმე კლიმატური პირობების გამო და ა. შ.** (პერიფრაზი ჩემია, **ხ.უ.** იხ. ვ.ლ. ველიჩკო, **"კავკასია"** ქართ. თარგმანი, გვ. 230).

ამას აკეთებდნენ სომეხი ბობოლები არა ქართველთა სიყვარულით, არამედ იმისთვის, რომ შემდგომ თვითონ ჩაეგდოთ ხელში საქართველოს საუკეთესო მიწები. ხოლო რუსების დამკვიდრების შემთხვევაში სამუდამოდ გადაეწურებოდათ ამის იმედი. არადა, როგორც ეტყობა, არმენებს კავკასიაში განსახლების გადაწყვეტილების მიღების დროიდან ჰქონდათ ჩაფიქრებული საუკეთესო მიწების მითვისების გეგმა და თავიდან, ანუ ტიგრან II ეპოქიდან (II-I საუკუნე ძვ.წ.აღ-ით) სცადეს ამის განხორციელება და, როგორც ცნობილია, იბერიას წაართვეს გარკვეული ტერიტორია, მაგრამ ნახევარი საუკუნეც ვერ შეინარჩუნეს და როცა მიხვდნენ, რომ ძალით ვერას გახდებოდნენ, თავიანთი ეროვნული თვისებების გამოყენების გზას დაადგნენ და ისარგებლეს რა, ქართველთა ტრადიციული სტუმართმოყვარეობითა და მიმტევებლობით, მხოლოდ ქართველთაგან სომხად წოდებული არმენები მყარად დამკვიდრდნენ საქართველოში და ტკიპასავით ნელნელა სწოვენ ქართულ სისხლს.

ვერ ვიქნებით ობიექტურნი თუ ჩვენი ცხოვრების უკუღმართობას, ყველაფერს, სხვას დავაბრალებთ, მაგრამ ჩვენი შეცდომებით იყო, თუ სხვა მიზეზით, საქართველოში, როგორც ვ.ლ. ველიჩკო წერდა, **„განვითარებისა და წარმატების დიდი სივრცე დაეთმოთ იმ ელემენტებს, რომლებიც არასდროს დადებითად არ ზემოქმედებენ ცხოვრების მიმდინარეობაზე, განსაკუთრებით კავკასიაში, რადგან უარყოფითი პროფესიული შტრიხები აქ კიდევ უფრო მწვავდება რასობრივი სიმახინჯითა და ტენდენციებით. საუბარია იმ სომეხ ექსპლუატატორებზე, რომელთაც სამოციანი წლების (მე-19 საუკუნისა, ხ.უ.) შემდგომ განსაკუთრებული მონდომებითა და წინააღმდეგობის გარეშე გამოსწოვეს სისხლი ადგილობრივ მოსახლეობას. აქ ხელაღებით მომყავს, მაგალითად, არა მთელი სომეხი ხალხი, არამედ კულაკთა, მევახშეთა და ბნელით მოსილ საქმოსანთა კლასი, რაც ამ ტომის გამორჩეულ ელემენტად არის აღიარებული. ქართველი ხალხი თავადიცა და გლეხიც, ამ მტაცებლის აბლაბუდაში აღმოჩნდა გაბმული"** (იხ. ვ.ლ. ველიჩკო, **"კავკასია"**, ქ. თ. გვ.19).

ყველა ამ უბედურებას საფუძველი ჩაუყარა გვარშეცვლილმა არმენმა – ლეონტი მროველმა და, საუბედუროდ, მის მიერ ქართველთა მიმართ გაწეული დათვური სამსახურითა და **„მზრუნველობით"** (ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, არსებობა გადაიტანა ახ.წ.აღ-ით XI საუკუნიდან ძვ.წ.აღ-ით 284 წლამდე) დაკაბალებული აღმოჩნდა ქართველ მეცნიერთა მთელი პლეადა, ისე რომ ხმას ვერ იღებენ მტკნარ სიცრუეზე: ძვ.წ. აღ-ით მე-6 საუკუნემდე ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, ხოლო მთელი კავკასიის ნახევარი, **„უმჯობესი მიწები"** სომეხ-არმენთა კუთვნილება, იბერები კი, თურმე, საერთოდ, არასდროს არსებულან და დღესაც, ჩვენი **„მეცნიერები"**, მიუხედავად იმისა, ბრწყინვალედ იცნობენ ლეგენდარულ იბერთა შესახებ სარწმუნო უცხოურ წყაროებს, აბსოლუტურად მიზანმიმართულად იგნორირებენ ქართველი ერის ისტორიაში იბერიის არსებობას (იხ. დავით ფერაძე, **„საქართველოს და მსოფლიოს ისტორია"** (საატესტატო საგამოცდო საკითხების კრებული) და ჯიუტად გვახვევენ თავს არმენთა ოცნების აღმსრულებელ, ლეონტი მროველის მიერ მოგონილ ისტორიას. (ყოველივე ამის შემდეგ უეჭველია, რუის-ურბნისის ეპისკოპოსი – ლეონტი მროველი იყო არმენი ჯაშუში და იმ აღვირახსნილი ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელმაც გარყვნა სამღვდელოება და შემდგომ, რუის-ურბნისის ისტორიული კრების მოწვევის აუცილებლობა, გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის რისხვა და მღვდელ-მსახურთა უმრავლესობის გაარეჭვა დაიმსახურა).

ლეონტი მროველის ამ აშკარა და უფეხო სიცრუის საწინააღმდეგო, ბატონ კუკური ფიფიას გარდა, დღემდე არცერთ მეცნიერს ერთი სიტყვა არ დასცდენია, ალბათ, ერთის მხრივ, იმის შიშით, რომ თუ უარყოფილი იქნება ყოველგვარ რეალობას მოკლებული, ლეონტი მროველის მიერ მოგონილი ცრუ ცნობა, თითქოსდა, ძვ.წ. აღ-ით მე-6 საუკუნემდე ქართლოსიანთა ენა სომხური იყო და კავკასიის ნახევარი, **„უმჯობესი მიწები"** არმენთა კუთვნილება (რომელთაც ქართველები სომეხად მოვიხსენიებთ), პარალელურადვე უარყოფილი იქნება პირველი სიცრუის ჭეშმარიტების ხარისხში დამკვიდრებისათვის მოგონილი მეორე სიცრუე, თითქოსდა, ფარნავაზის დროიდან ქართული ენა მიღებული იქნა სახელმწიფო ენად; მეორეს მხრივ, სიტყვას არ ძრავენ სომხური პარაზიტიზმის საწინააღმდეგოს, იბერიული ღირებულებების განადგურებისათვის ჩადენილი ცოდვების დამალვის მიზნით, რაც აგრეთვე, ე.წ მეგრული (იბერიული) მოსახლეობისათვის არასრულყოფილი ტომის სინდრომის შთანერგვით გამოიხატებოდა. ასე ავიწყებდნენ ე.წ. მეგრულ და, საერთოდ, ქართველ მოსახლეობას იბერიულ მონაპოვრებს და ზემოაღნიშნული სიყალბენი ქართველ სახოგადოებაში მკვიდრდებოდა ჭეშმარიტების ხარისხში.

რა შედეგები მოგვიტანა ამ სიყალბეებმა?

რა და 1918 წლის საქართველო-სომხეთის ომი (იხ. გ-თი **„კვირის პალიტრა"** №44,45,46, 2010, ზვიად გურული სტატია) და უკვე პირდაპირი მუქარა სამცხე ჯავახეთის წართმევის შესახებ (იხ. გ-თი **„ასავალ-დასავალი"**, **„მოგზაურობა ახალქალაქში ..."**, №39, 2009, 17-23 აგვისტო), თუმცა ეს მუქარა, ომის გარეშე, აღასრულა სააკაშვილის სომხურმა ხელისუფლებამ და აბსოლუტური სიზუსტით იჩინა თავი ვ.ლ. ველიჩკოს შეხედულებამ:

„...ნათელია, რომ მომსახურე კლასი (ძირითადად, ქართველები, ხ.უ.) ბრმად ასრულებს ბურჟუაზიის ნებას. საფრთხე რთულდება მაშინ, როცა ეს ბურჟუაზია უპირატესად ეკუთვნის იმ ტომს, რომელიც არ არის დაინტერესებული სახელმწიფოს კეთილდღეობით, უფრო მეტიც, რომელსაც არ სურს სიკეთე ამ სახელმწიფოსათვის. სწორედ მაშინ იქმნება პარაზიტიზმი ყველაზე გულისამრევი და საშიში ფორმით.

... ბურჟუაზია ძირითადად შედგება სომხებისაგან, რომელიც ამ კლასის სათავეში ქმნის ძლიერ ბირთვს და წარმოადგენს უდიდეს სოციალურ საფრთხეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, სახელმწიფოსათვის კი პოლიტიკურ საფრთხეს, როგორც ეს აშკარად იკვეთება ზოგიერთი აღმოსავლური სახელმწიფოს მაგალითზე, რომელთა ინერტულობისა და უდარდელობის მიზეზით ფართო ასპარეზი გამოუჩნდა სომხურ პარაზიტიზმს" (იქვე, გვ. 24).

ამ და მსგავსი პარაზიტიზმის შედეგებზე ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა; მის სრულ აღნუსხვას, ალბათ, ტომები დასჭირდებოდა. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ საქართველოში, განსაკუთრებით, ქართველი ერია უმძიმეს მდგომარეობაში; მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შიმშილობს ან შიმშილის შიშის ქვეშ იმყოფება; სხვა ერის წარმომადგენლები საქართველოში იმიტომ ცხოვრობენ, რომ მათ აქ ჰპოვეს უკეთესი ცხოვრების პირობები, ვიდრე თავიანთ სამშობლოში ჰქონდათ; მათ, მცირე რაოდენობის გონიერი გამონაკლისის გარდა, ქვეყნის ინტერესები არ ამოძრავებთ; გაუტკბათ ქართველი კაცის ქრისტიანული და მიმტევებლური ბუნება და, თვითონ უდმერთოებმა, აქ პოვეს სავანე; ედუარდ-გიტლინგ-შევარდნაძემ პირადი კეთილდღეობის სანაცვლოდ რუსეთს უბოძა აფხაზეთი და სამაჩაბლო; უფრო მეტი ამბიციების მქონე ახალგაზრდა სააკიანმა იფიქრა, ისე არ მოხდეს, რომ შევარდნაძემ შემოიწიროს ყველაფერი და მე არ დამრჩეს საასპარეზოდო და დააჩქარა რა მისი ექს-პრეზიდენტობა, რისი გასხვისებაც შევარდნაძემ ვერ მოასწრო, თვითონ დაასრულა – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დარჩენილი ნაწილი იურიდიულადაც დაკარგა; სამცხე-ჯავახეთი და თბილისი პასკევიჩის დროიდან ჰქონდათ სომხებს მითვისებული და ახლა ეკონომიკური სადავეები ჩაბარა რა, აჭარაც სომხებით გაივსო; პრეზიდენტის აპარატში გვარგამოცვლილი ჰაიაკ-არმენის გარდა, სხვას არ აჭაჭანებენ; და, თავი რომ არ მოგაწყინოთ, ბევრი არაფერი აკლია აღასრულოს ჰაიაკ-არმენთა საუკუნეობრივი ოცნება, ფრთა შეასხას ოცნებაში წარმოდგენილი დიდი არმენიის შექმნას. ამ მიზნით, ყველაფერს ბრწყინვალედ და გეგმაზომიერად ახორციელებს პირწავარდნილი ჰაიაკ-არმენი-მიხეილ სააკიანი; მან კარგად იცის, რომ განათლებული და ინტელექტუალური საზოგადოება თავის თავზე ვერ აბატონებს უცხო ტომის წარმომადგენელს; ამიტომ უდმერთო და ვერაგი მიხეილ სააკიანი ყველაფერს აკეთებს ალენ დალესის პროგრამის განხორციელებისათვის.

რა პროგრამა ჰქონდა ასეთი მსოფლიოში ცნობილი მხეც-მასონს? პასუხი იხ. კოჩა კოლხი, **ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი.** 2004, გვ. 482-483.

ბრიყვ და უწიგნურ, მაგრამ ვერაგი და აგრესიული გარეშე ძალების ნების ბრწყინვალედ აღმსრულებელ სააკიანს მოწინააღმდეგე და მოცილე, რომ არ ჰყავდეს, განათლებას და მეცნიერებას, თითქმის, მოუღო ბოლო; ლიკვიდირებული ეროვნული ინსტიტუტები; უმაღლესად წოდებულ სასწავლებლებში სწავლის დონე. ადრე არსებული, ნორმალური საშუალო სკოლის სწავლების დონეს გაუტოლდა; ნამდვილი მეცნიერები ჩარეცხეს, ხოლო ჩასარეცხი მეცნიერები კარის აკადემიკოსებად იქცნენ, რომლებიც ქართველი ერის სასარგებლოდ აბსოლუტურად არაფერს აკეთებენ.

შემდეგ ეტაპში რა უნდა მოხდეს?

როგორც ცნობილია, ტიგრან II შემდეგ სამხედრო ძალით საქართველოს ტერიტორიების მიტაცება 1918 წლამდე ვერ გაუბედნია არმენებს, მაგრამ ინგლისი რომ არ ჩარეულიყო ძალზე ძვირად დაუჯდებოდა მათ ეს აგრესია. და დარწმუნდნენ რა ძალისმიერი მეთოდით ვერაფერს გახდებიან, მიმტევებელ ქართველებთან თავიანთ ნაცად და ტრადიციულ ვერაგობას მიჰყვეს ხელი: ბერიას შემდეგ არმენები მასიურად იცვლიდნენ გვარებს ქართულით და ქართველად ეწერებოდნენ. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. 2008-2010 წლებში 6308 სომეხმა გადაიკეთა გვარი ქართულად (იხ. გ-თი **„საქართველო და მსოფლიო"**, №12, 2011, გვ.5). არმენი სააკიანის ხელშეწყობითა და ჩვენი უდარდელობით ისინი ყველაფერს აღწევენ საქართველოში და სულ მალე თავიანთ ნამდვილ გვარსაც აღიდგენენ და ეროვნებასაც.

ვერ შევისმინეთ ქართველებმა ქართველ პატრიოტთა მიერ ატეხილი განგაში მიწისქვეშა გზით ჩრდილო ოსეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაკავშირებისას მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე, ვერ გვასწავლა ჭკუა ამ გზის გაყვანით მიღებულმა შედეგებმაც და ახლა სააკიანის გეგმის თანახმად, სამცხე-ჯავახეთის გავლით, ერევანი ავტომაგისტრალით უნდა დაუკავშირდეს ბათუმს და შემდეგ, მშვიდობით ჩვენო მრავალჭირნახულო, ისტორიულო მესხეთო და აჭარავ! ამ გეგმის განხორციელებაში მოსალოდნელი წინააღმდეგობის აღკვეთის მიზნით, დიდი ქართველი პატრიოტის – ჰეიდარ აბაშიძის მემკვიდრის – ასლან აბაშიძის აჭარიდან გაძევებაც წინასწარგათვლილი ვერაგი ქმედება იყო. ხოლო, თუ საქართველოს პარლამენტი და მთავრობა ქუთაისში იქნება გადატანილი, ისღა დაგვრჩება, ე.წ. სომხებს მივულოცოთ დიდი არმენიის შექმნა.

ასე, რომ თუ ქართველები ძილქუშიდან ვერ გამოვფდით და ინერტიულობითა და უდარდელობით ვიდეოდეთ, რეალობაში განხორციელდება დღეისათვის იდეაში მყოფი დიდი არმენია, რადგან, მართალია, მათ არაკანონზომიერი ვერაგი სული მართავთ, მაგრამ უფრო ერთიანი არიან და ამდენად უფრო ძლიერნი, ვიდრე ქართველები.

მოვლენების განვითარება გვკარნახობს, რომ რუსეთის აგრესიულ ძალებს და ჩვენს ახლო მეზობლებს – არმენებს, რომლებსაც ძალზე ძლიერი დიასპორა ჰყავთ ამერიკაში და მათზე დაყრდნობით აქტიურობენ, ასე სურთ საქართველო დაინაწილონ:

დასავლეთ საქართველო, სამაჩაბლოს ჩათვლით – რუსეთს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის ჩათვლით – არმენებს.

პატ. მკითხველო, ირწმუნებთ, თუ არა, თქვენი ნებაა, მაგრამ ჩვენ, ყველაფერი ეს სააკიანის გეგმა გეგონია.

არმენული, ბურჟუაზიული უღელი საბჭოთა კავშირის არსებობის ხანაში (სტალინისა და ბერიას სიკვდილამდე) მოცილებულ იქნა ქართველი ერის კისრისგან, მაგრამ მხოლოდ დროებით მოცილებული და არა ლიკვიდირებული, კარგად შეფუთული და შენახული და ავადსახსენებელი შევარდნაძისა და, შემდგომ, არმენი სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისევ შევუშვირეთ კისერი.

არმენული უღლის სიმძიმენაგრძნობი ქართველებისგან ხშირად მსმენია: საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა სამეგრელოდან უნდა დაიწყოს, დაიწყეთ ქმედება და ჩვენ მხარს დაგიჭერთო.

ნებისმიერი კუთხიდან საქართველოს განთავისუფლებისათვის მოძრაობის დაწყებას მივესალმებით, მაგრამ რატომ არ უნდა დავიწყოთ ეს მოძრაობა, მაგალითად, კახეთიდან, იმერეთიდან, გურიიდან, ან თვით ქვეყნის ცენტრიდან – ქართლიდან? მეცნიერები, ვთქვათ მათდა უნებურად იქნა დაკაბალებული, მაგრამ მთელი საზოგადოება როგორ გავეხვიეთ იმავე აბლაბუდაში?

მეგრელებს დავაკისროთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მოძრაობის ხელმძღვანელობა და ვუცადოთ მათგან ქმედების დაწყებას, ნიშნავს, ქართლელებსაც გვსურს არმენული უღლისგან განთავისუფლება, მაგრამ აქტიურობას ვერ ვბედავთ იმის გამო, რომ განაწყენებული არმენები გვამხელენ ისტორიის გაყალბებაში, კერძოდ, იბერიული სახელმწიფოს არსებობის იგნორირებაში, რომ მისი არსებობის ხანაში (ძვ. წ. აღ. 331 წლიდან ახ. წ.აღ. 523 წლამდე) არსებობდა იბერიული ენა და არავითარი ქართული ენა არ განვრცობილა სახელმწიფო ენის სტატუსში და ჰეგემონობას დავკარგავთ; მაგრამ სინამდვილეში არავითარი ჰეგემონობა ჩვენ არ გაგვაჩნია და არაფერი გვაქვს დასაკარგი, რადგან უკანასკნელი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა არანაკლებ ე.წ. მეგრულია, ვიდრე ქართლური; ეს დღეისათვის ცხადია და სიჯიუტეს არავითარი აზრი არა აქვს; ან კიდევ ეს ნიშნავს, ისე დავეცით და დავჩმორდით დავით აღმაშენებლის მემკვიდრენი, მეგრელების სიცოცხლეში აღიარებისა გვრცხვენია, თორემ სომხური უღელი მოგვერგო, ტვინის ჭყლეტვას და თავის მტვრევას ისევ ამ უღლის ტარება გვირჩევნია, ამიტომ საჭიროა მეგრელები შევაკლათ არმენებს.

ჩვენი აზრით, არმენული უღლისგან საქართველოს განთავისუფლებისათვის არავითარი სისხლისღვრა არაა საჭირო. საკმარისია წინაპართა მიერ დაშვებული შეცდომის ჩვენს მიერვე აღიარება, ე.ი. ძილქუშიდან გამოსვლა, გამოფხიზლება, მოვლენების ობიექტური განსჯა? სულიერად შეკვრა და გონივრული ქმედებაა აუცილებელი; შეიძლება, დიდმა საქმემ თავგანწირვაც მოითხოვოს, მაგრამ სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავგანწირვა მხოლოდ ღირსეულთა და ბედნიერთა ხვედრია. ჩვენ, შევარდნაძისა და სააკაშვილის სახით, ჩვენში არსებულ და მტკიცედ ფესვებგადგმულ, დამღუპველ შედეგებს ვებრძვით, მიზეზებს კი ყურადღებას არ ვაქცევთ, რომლიც, რამდენიც არ ვებრძოლოდ შედეგებს, რამდენიც არ ვცვალოთ შევარდნაძეები და სააკაშვილები, ყოველთვის წარმოშობს ახალ პრობლემებს – ახალ შევარდნაძეებს და სააკაშვილებს.

რა მიზეზია ეს მიზეზი?

როგორც აღვნიშნეთ, ეს მიზეზი გახლავთ ქართველი ერის გაყალბებული ისტორია, რომელზეც დაყრდნობით იშვა ანტისახელმწიფოებრივი ხელისუფლება და ჩვენი დაკაბალებული, უსუსური ხელის მეცნიერები. მაგრამ, სწორედ, ასეთი მეცნიერები სჭირდება ხელისუფალს, რომლის მიზანს მხოლოდ მიღება და დროის ტარება – ჰედონიზმი წარმოადგენს, რადგან ვერ აცნობიერებს რა ფუნქცია აკისრია ადამიანს, რისთვის შექმნა იგი შემოქმედმა.

ამიტომ მძიმე შედეგის ლიკვიდაცია აუცილებელია, მაგრამ, ამასთან, პარალელურად უნდა ამოიძირკვოს ამ შედეგების გამომწვევი მიზეზებიც. მიზეზების ამოძირკვა, ჩვენი ერის ჭეშმარიტი ისტორიისა და იბერიული ღირებულებების მსოფლიოს მოწინავე საზოგადოების გულებამდე მიტანა უნდა შეეძლოთ ქართველებმა, რომ გაიცნობიერონ, რომელია უფრო მომგებიანი კაცობრიობისათვის, საქართველოს მიწა-წყლის მოძალადე და ვერაგ მეზობლებს შორის გადანაწილება და ქართველი ერის გადაშენება, თუ იბერთა მიერ შემონახული საკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულებების დაცვა და გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა უკეთ შევიმეცნოთ ღვთაებრივი სამყარო და უზენაესი შემოქმედი.

საინტერესოა, რას იტყოდა ცნობილი რუსი ენათმეცნიერი ა. ლოსევი, რომ სცოდნოდა იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა ინახავს ღვთაებრივ საგანძურს – სამეტყველო ბგერებისა და მეტყველების წარმოშობის მექანიზმებს და რომ ე.წ. ქართული მხედრული და ასომთავრული დამწერლობები კაცობრიობის პირველი დამწერლობებია (იხ. კოჩა კოლხი, ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი), როცა ქართულ-ქართველური ენების ზედაპირულად გაცნობამაც კი ათქმევინა: **„ქართული ენის გრამატიკის ზერელე გაცნობაც გვიჩვენებს, რაოდენ გმირული როლი განეკუთვნება ქართულ ენას ერგატიული სისტემის დაძლევის და ნომინატიურის მიღწევის თვალსაზრისით. არც ერთ სხვა ენაში არ ვლინდება, ესოდენ მკაფიო ფორმით ადამიანის ენისა და აზროვნების მძლავრი ძალისხმევა ერგატიულსა და სხვა ტიპების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული მითოლოგიის დასაძლევად და ნომინატურის წყობაზე გადასასვლელად, რომელიც უკვე სინამდვილისადმი წმინდა მეცნიერული მიდგომის გამომხატველი და დამამკვიდრებელია. რა თქმა უნდა ძალზე კარგი და საქებარია ამ უდიდესი გამარჯვების ნაყოფით სარგებლობა, როგორც ხდება ინდოევროპულ ენებში, სადაც ჩვენ აღარც კი ვფიქრობთ იმაზე, თუ რაოდენ შესანიშნავი აღმოჩენაა სახელობითი ბრუნვა სუბიექტის ბრუნვის თვალსაზრისით. მაგრამ სამგზის უფრო დიდებული იყო ის გმირული ძალა, რომელიც ამ გამარჯვების მისაღწევად გამოვლინდა.**

ყოველი ეს მშვენიერი სურათია ადამიანის სულის ბრძოლისა ზუსტი გრამატიკული კატეგორიებისათვის და ამით მეცნიერული აზროვნებისათვის, უმაღლესი ადამიანური შემეცნებისათვის, ბუნებაზე ბნელი და უსუსური შეხედულებების დაძლევისათვის და, მაშასადამე, ბოლოს და ბოლოს თვით ბუნების დაუფლებისათვის. ქართველური ენების შესწავლა ამ მხრივ ფრიად ეფექტიანია."

მთლიანად ვეთანხმებით ბ-ნ კუკური ფიფიას იბერთა მოდგმის დამცრობისა და დაცემის მიზეზების ჭეშმარიტებაში. ვეთანხმებით რომ, შეცდომების აღიარების, ცოდვების მონანიებისა და ღვთიურ გზაზე შემდგომის გარეშე, ქართველი ერის გადარჩენა გამორიცხულია (იხ. მისი **„პირველყოფილი ცოდო ქართველის ერის ისტორიისა, თუ მადლი უკვდავებისა"** გ-თი **„ილორი"**, №104, 114,123).

ჩვენ გვსურს ვიყოთ დამოუკიდებელი, ნეიტრალური ქვეყანა, გვსურს ეროვნული თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნება, მაგრამ ვერ შევინარჩუნებთ ნეიტრალურობას და თავისუფლებას, სულიერი ერთიანობის გარეშე; არ გვექნება სახელმწიფო, ვერ ვიქნებით მატერიალურად უზრუნველყოფილი, ვიქნებით სხვათა მონა და, საერთოდ, გავქრებით, როგორც ერი, თუ მატერიალურ სიმდიდრეზე მაღლა არ დავაყენეთ სულიერ-ზნეობრივი სიმდიდრე.

გვექნება სახელმწიფო, ვიქნებით მატერიალურად უზრუნველყოფილი, თითოეული ჩვენთაგანი ვიქნებით ბედნიერი და, საერთოდ, მთელი ერი იქნება ბედნიერი, თუ გვექნება სულიერ-ზნეობრივი ამაღლების, სამყაროსეული, ღვთიური კანონზომიერებების შეცნობისა და ამ კანონზომიერებთან ჰარმონიული თანაცხოვრების, ღვთიური თვისებების – სულიერების, სიბრძნისა და სიყვარულის, გაცემის თვისებების შეძენის, ანუ განდმრთობის ამბიცია და რეალობაშიც დავიწყებთ ღვთიური თვისებების გამოვლინებას.

თუ გვინდა არსებობა და ღირსეული ცხოვრება, ე.წ ქართველური ენების (ე.წ. მეგრულის, სვანურისა და ლაზურის) ენობრივი მონაცემების თანახმად, ღვთიური სამყაროს შეცნობისა და ღვთიური თვისებების შეძენის საფუძველი, ყველაზე მეტად მსოფლიოში, ჩვენ, ქართველებს გაგვაჩნია. ვისარგებლოთ ამ საგანძურით!

ხვთისო (ხითოს) უთუთაური,
ისტორიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუტაციები

ბორჯი მეოთხე

გზაზე გამოფენილ განძეულობათაგან ოტობაიელების მთავარი სიმდიდრე ნაწილობრივ გამოგვიმზეურებია — ენა — ხვრელიდან რომ ამოიყვანს უხსენებელს და ხენეშ ნაპრალში გადაკარგავს თვით ქვეყნის მეუფე მამაზეციერსაც კი.

ოტობაიას ღობეები ვარდისფერი ენითაა დაწნული თხმელის წკნელის მაგივრად, დროთა მსვლელობაში გახუნებულა ის ფერი, წუთისოფლის მტვერი აუტვირთავს და ოდესღაც გადაისებული შემღვრეულა გვარიანად.

ენა თავიდან ძვლიანი იყო ეჭვმიუტანლად, მაგრამ, ალბათ, ოტობაიელებმა ამოაცალეს მოუხეშავს, როგორც ვაზს — ჭიგო და ამიერიდან მიიგრაგნება უმისამართოდ აღმოსავლეთ-დასავლეთ თუ ჩრდილოეთ-სამხრეთით ქარზე მჩატე და ორლესულზე ბასრი.

არ გჯერათ; ახლავე დაგიმტკიცებთ:

— **პრესა "რეალური, ობიექტური", მხოლოდ ასეთი წარმომიდგენია მე იგი,** — ამგვარად გამომეხმაურება ერთ-ერთი ჩვენებური ქალწული, რომლის მოსახელეებით სავსეა რენესანსის ფერწერა ჩვილატატებული პოზით, "**მაგრამ სამწუხაროდ ხშირად ვკითხულობ გაზეთის ფურცლებზე რაღაცას, ისეთს, რომელიც საერთოდ სინამდვილეს არ შეესაბამება", კომენტარი აუცილებელი არ არის, არამედ, მინდა დავსვა კითხვა იმის შესახებ, თუ ვინ მოჩმახა, რომ თითქოს მეორე ოტობაიაში "რა ხანია მწყობრში ჩადგა საბავშვო ბაღი..."**

საინტერესოა, როცა წერილი გამოსაქვეყნებლად მზადდებოდა, მის სისწორეში დარწმუნებული იყო თუ არა ავტორი? დასანანია, რომ ბატონმა გ. ფეტელავამ ზერელე ფაქტები წარუდგინა მკითხველს, როცა იგი ერთმანეთს ადარებდა ორ ოტობაიას, მრთალია, პირველ ოტობაიას საერთოდ არ გააჩნია საბავშვო ბაღი, მაგრამ სჯობს ასე, ვიდრე "მეორე ოტობაიაში, სადაც რამდენიმე წლის უკან აშენდა არახარისხოვანი შენობა, რომელმაც ერთ უუჟუნა წვიმას და დასავლურ ნიავს ვერ გაუძლო და უწყლოდ, უღმერთოდ ჩამოდნა, ჩამოინგრა, ჩამონახშირდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი ბავშვებისთვის უცნობი იყო, როცა თანამდებობაზე ხალხი ინიშნებოდა ეწ, ჩვენებური ანუ ქართული აურზაურით", მე მეორე ოტობაიელი ვარ და რა თქმა უნდა, მწადია ჩემი სოფლის ცენტრიც ისეთივე ლამაზი და კეთილმოწყობილი იყოს, როგორც პირველი ოტობაიისაა, ან რატომ არ უნდა იყოს ასე, თუ კი წერილის მიხედვით ვიმსჯელებთ, მეორე ოტობაიის მეურნეობა უფრო შეძლებულია, ხოლო პირველი — ვალებშია;

რატომ უნდა იყოს ფოსტა სკოლის შენობას შეფარებული, ან ის ქოხმახი კლუბი სკოლის ეზოში თვალებდაჭყეტილი? როდემდე უნდა იწვოდეს სირცხვილით საყოფაცხოვრებო, მედპუნქტი, ბიბლიოთეკა; რომლებიც ერთ ფიცრულში შეყუჟულან , არც ის ერთადერთი მაღაზიაა ბედოვლათიანი, რომელშიც ერთადაა თავმოყრილი სამრეწველო, სასურსათო თუ სამეურნეო საქონელი, მშვენება არც კანტორა და მუშათა სასადილოა, მაგრამ პატარა, ახალი შენობებია, სოფელი ღამით ჩაბნელებულია, ვფიქრობ, საჭიროა ცენტრალურ ქუჩებში ლამპიონები, ეს კარგი მომსახურება იქნებოდა ტრანსპორტისათვის და მგზავრებისათვის!"

დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, მადონა, ჩვენებურო, ოტობაიის ბედ-იღბალზე გულდამწვარი ჭირისუფლის ხმა ღაღადებს, რისთვისაც უაღრესად გემადლიერები, — ვეხმიანები ფიქრებში ენამჭევრ თანასოფლელს, — ამბობ ამდენი და ამდენი წელია ის საბავშვო ბაღი აშენდაო, თათაქარიძეების საკადრის ყოფაში ვართო.

ნაკლის მხილება დიდებულია, მე სხვა რაღაცაზე მწყდება გული: ესოდენ ბასრი ენა საკამათო პუბლიკაციის შემდეგ ღა რომ გასარჯე, ისე ნუ გამიგებ, თითქოს ნაწყენი ვიყო, არამც და არამც, მით უფრო ჩვენებურისადმი სიტყვა ცერად როგორ გამექცევა, ეს მე ვარ ყოველდღიურობაზე მაღლა, თორემ უფალ იესოს თუ მიუგდებ ყურს, მოძღვარს მხოლოდ საკუთარ სოფელში, ნაზარეთშიღა არ შეუნდობენ, ალბათ, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ საპოლეტიკო წერილს აბსოლუტური გულგრილობით, დუმილით შეხვდება როგორც პირველი, ისე — მეორე ოტობაია.

ამას წინათ ერთ თანასოფლელს შევხვდები თბილისში ნათესავის გასვენებაზე, საუბარს შევყვებით, მერმე ვიტყვი:

წიგნს ვწერ თქვენზე-მეთქი.

ვინ დაგავალაო, ამომაშტერდება შეცბუნებული.

მამაშენმა-მეთქი.

მამაჩემი რომ ოცი წლის მკვდარიაო.

ეგ თქვენთვის, თორემ ჩემთვის დღესაც ცოცხალია-მეთქი.

პასუხს მთხოვ და ორიოდე სიტყვას როგორ დაგზარდები; ამ ოთხიოდე წლის წინათ ჩავებმები მარათონულ ბრძოლაში, რომელსაც ოტობაიელების აქილევსის ქუსლი, ანუ ჭარბად დაგეგმილი ბოსტანი ჰქვია.

ამ საკითხს ორმოცდახუთწუთიან სატალევიზიო გადაცემასაც მივუძღვნი, სათაურით: **"ორი მეურნეობა, ორი შედეგი"**, მეგონა საქმეს ეშველებოდა, მაგრამ როგორც ამჯერად, არც მაშინ გაფაჩუნებულა ბუჩქიც კი ორივე ოტობაიაში.

იმედს მაინც არ გადავიწურავთ, მივდგებ-მოვდგებით, ზოგი მეტად გაირჯება, ზოგი — ნაკლებად და აი, გაერთიანებული ძალით შეუძლებელს მოვახერხებთ — ოტობაიის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას პროფილი შეეცვალება, სუბტროპიკული კულტურების მწარმოებელი გახდება, თუმცა გვარიანხნობით მეურნეობამ ძველებურად უნდა წიკოს ქანცისგამწყვეტი ტვირთი — 2599 ტონა ბოსტნეული!

ძუძუმტე მეტყვის: ამაგდარმა ბრიგადირმა, ხუჭუჭთმიანმა ხუტუშა ძაძუამ, სამუშაოს თავი დაანება, ვინაიდან აწი ცარიელი დაპირებებით ოტაბაიელებს პლანტაციაში ვერაფრით შეიყვანო.

ზურგი შეუქცევიათ სამსახურისთვის მკლავმოუღლელ მებოსტნეებს: დინარა გამისონიას, უფროს-უმცროსი და-ძმის მოამაგე თენგოს, თენგიზ ფეტელავას, მუქთად ოფლისღვრა არავის ეხალისება, შინ ჩხირკედელაობს.

ასეთია თურმე ჩვენი საერთო სატკივარი, ასეთი ატმოსფეროს დახატვას ვისახავდი მიზნად, როცა კალამს ხელს ვკიდებდი. ასეთი სულისკვეთებით დავმუხტულვარ ახლაც, შეუდარებელ შურობუმუს ორი წლით მოშორებული, და მეპატიება, ალბათ, ოტობაიას ყველა პრობლემისთვის თუ ვერ მოვიცალე მაშინ-მეთქი, — ვებაასები ფიქრებში უცნობ ოპონენტს, — აწ უშუალოდ ჩემს გამრუდებულ ფაქტებზეც მოგახსენებ, მადონა, ჩვენებურო, — ვაგრძელებ კამათს აბსტრაქტულ თანასოფლელთან, — საბავშვო ბაღის ის შენობა სატელევიზიო გადაცემის მომზადების პერიოდში ჯეირანივით გამოიყურებოდა, მაგრამ რადგანაც სასმელი წყლის პრობლემა ვერ მოგვარდა, პროექტი არტეზული ჭის გათხრას არ ითვალისწინებდა, სოფელს კი ცენტრალიზებული წყალგაყვანილობა არ გააჩნდა, საზოგადოებამ არ ჩაიბარა, და თუ ახლა ხსენებული დაწესებულება მართლაც შენს სიტყვებს შეესაბამება — პარტახია, ბარაქალა ჩვენ, დიდი შეცდომა მოგვსვლია, უპატრონობით დაგვიღუპავს.

ხომ გაგიგონია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეუფლნენო და გასაკვირი რა არის წლობით გამოკეტილი, ადამიანის უზრუნველობას მოკლებული შენობა გავერანებულიყო-მეთქი, მე სხვა რამეზე მწყდება გული, მადონა, ჩვენებურო: მაინც და მაინც ამ ბორბლებზე ამხედრებული კაცის წერილის გამომზევებას უცდიდი, რომ მამულიშვილობის ძარღვი აგტოკებოდა; რატომ ქვეყანა არ შესძარით;

როცა ენგურზე გადასასვლელ ხიდს მოითხოვთ, ქუდზე კაცი ფეხებში ჩაუვარდებით ცეკას იმდროინდელ მდივანს.

განა სკოლაც მსგავსი ერთსულოვნების შედაგად არ აშენებულა, ან — ის ჯვარცმული ბაგა-ბაღი, მაგრამ რა აზრი აქვს ყოველივეს თუკი არსებულს მოუვლელობით დავაქცევთ-მეთქი.

მერედა, პირველი ოტობაიას ცენტრს რომ შეეხარი, მადონა, ჩვენებურო, ჩაეკითხე დარბაისელ ხალხს. მართალია, უხუცესი ნოჩო თაკალანძე გასულა გაღმა, მარილზე, საკუთარი ცხვირის მთაგრეხილებით, მაგრამ სხვებმა ხომ იციან: სამკილოგრამმუშტიანმა პილა სექანიამ, ხარისთვალება ყირმიზმა ბრძენკაცმა კაპტო ლოგუამ თუ თითებმოღუნულმა კუკუია მესხიამ თუნდაც, დღენიადაგ ქარვის კრიალოსანს რომ აწვეთებს დაბამბულშარვლიან მუხლებთან, რომ ჩვენი რაიონული ცენტრი გალი რაც მდინარე ღალისის, ღალიძგას, იგივე ღელისპირის რუსული წაკითხვაა, "Гали", ჯერ მოგონილიც არ არის, როცა აქ, ფესვებმაგარ ოტობაიაში საარაკო ბაზრობები იმართება? გამოფენენ დუქნებში ფართლეულს და აბრეშუმეულს ძმები ხუფენიები — თედო, ბეგი, კირილე და დომე, თოვლივით ქათქათას თუ ზაფრანასავით წითლებს.

გამოიტანენ დახლებზე ირანულ რაჰათლუკუმს და თურქულ შაქარ-ყინულს, ძაძამიძეების ნაოსტატარ ქამარ-ხანჯალს, ჩანგელიების დალიანდაგებულ ჩოხა-ახალუხს.

გამოამზევებენ ოტობაიელის მეცადინეობით ენასა და პირს შუა თუ რამე ითქმება: არის ჯირითი ლევანიას მინდორზე, სადაც აწ კამეჩების სანებივრო ტლაპოების სიმრავლეა, აქ პირველობას არავის დაუთმობს კუჭუ გელენა მოციცქნული, კვერცხივით შეკრული მერნით.

ცხენის მორქიას თარჩია ენაცვლება.

ტრიალებს გიგანტური კარუსელი, თურქული სანდლები თუ ოჩხომელურანი იტვირთება თხილით, კაკლის, წაბლის ხის მასალით, მოკლედ, ცხოვრება დუღს და გადმოდუღს.

მეორე ოტობაია, იგივე კუნთხუოტობაიად წოდებული კი — სულ რაღაც ათი წელიწადია გამიჯვნია პირველს და შედარებით მოკრძალებული იერსახის თუა, საგანგაშო არაფერია, მოსკოვიც ხელის ერთი მოსმით როდი აშენებულა. უცებ ცათამბჯენებს ნუ მოვსთხოვთ სიპ ქვაზე დასახლებულს, სულის მოთქმა ვადროვოთ, ჯერ ფესვი მოიკიდოს, დაეფუძნოს, ადრე თუ გვიან ქარვასლების აღმართვის ჟამიც დადგება-მეთქი.

ლიმონი რომ სათუთი კულტურაა, მადონა, ჩვენებურო, არ გესწავლება, მასზე დამღუპველად მოქმედებს ყინვა, ამიტომაც გამოეყოფა თუ არა დიდ ოტობაიას პატარა, იმთავითვე ლიმონარიუმების მშენებლობას შევუდგებით, ამისი მოწმენი ორივე გახლავართ, მხოლოდ ნოჩო თაკალანძე და სამარადისში გადაბრძანებული ზოგი ჩვენი თანასოფლელიღა ჩამოშორებია საერთო ფაციფუცს.

დახურულ გრუნტში ოცდაათამდე ჰექტარი ფართობი მიწა მოქცეულა, ნავარაუდევია მარტივი თუ რთული კონსტრუქციებით აღნიშნული სავარგულების ზედმიწევნით გადახურვა.

ჯოტო ყალიჩავას ვაჟიშვილი, ვერცლისწყალივით დაუდგრომელი ნუგზარი, იგივე ვაჩი მეტსახელად, ცირკისმიერი მალაყებით რომ დაგვაჭყეტინებდა ხოლმე თვალებს სტადიონზე, მექანიზაციის სულისჩამდგმელია.

მართალია, ბაღდადიდან ჩამოყვანილი ვირისა არ იყოს, ძალზე ძვირია მათი აშენება, მაგრამ ხელმძღვანელობის რწმენებით, ფონდუკუგებას სრული მსხმოიარობიდან მესამე წელს მიიღებენ, ლიმონარიუმების მშენებლობასთან დაკავშირებით ოტობაიელების წინაშე ერთი მოურჩენელი პრობლემა მაინც რჩება **"მორგებული ტექნიკა".**

— აი, რა გვჭირდებაო — მეუბნება მეურნეობის დირექტორი იგორ გადელია, — გარკვეული ეკონომია მოგვცა შარშან შეძენილმა რვა მიკროტრაქტორმა, აღსანიშნავია ისიც, რომ მეურნეობაში მხოლოდ 15 ჰექტარზეა გაშენებული პროფესორ მამფორიას მიერ გამოყვანილი ყინვაგამძლე ჯიში **"დიოსკურია"**, დიდი სურვილი გვაქვს დავნერგოთ სხვა ჯიშებიც, მჭიდრო კონტაქტები დავამყაროთ მეცნიერ-მუშაკებთან, აგრეთვე ფართოდ გამოვიყენოთ მეციტრუსეობის დარგში საზღვარგარეთ არსებული გამოცდილებაო.

ლაპარაკის ნომენკლატურულ სტილს ძვირად ვეთანაწყობი, ნოჩო თაკალანძეებისა და გრიშა იზორიების ღაბაჩზე აღზრდილს მეხამუშება კანცელარული სტილი.

აკი, თქვა კიდეც ცხვირის პარამეტრებით გინესის წიგნში შესატანმა თანასოფლელმა:

— ყოველ დილა ოცდათხუთმეტი კილომეტრიდან რომ მოლაყუნდება კაცი შენს ასაშენებლად და საღომოთი კვლავ ოცდათხუთმეტი კილომეტრით წაგვანგვალდება გვარიანად ჯიბეგასქელებული, იმისთანა სოფელს მომავალი უწერია?

— მეურნეობაში ფართოდ ინერგება კოლექტიური იჯარა, — ჩამესმის ყურში იგორ გადელიას როდის თქმული, — სადაც კი მუშაობის ეს პროგრესული ფორმა დამკვიდრდა, სიმინდის სა ჯეტარო მოსავლიანობამ 45-59 ცენტნერს მიაღწია, საიჯარო რგოლები აგრეთვე შექმნილია მეციტრუსეობაშიც, მოვლენებს რეალურად თუ შევხედავთ, ოტობაიელები ციტრუსებმა მართლაც რომ ამოიყვანა ჭაობიდან, შარშან 16 ტონა ლიმონი მოვკრიფეთ, წლეულს ეს ციფრი გაათმაგდება, საპნის ბუშტივით გასკდა სკეპტიკური შიში იმის თაობაზე, რომ ჭარბტენიან ზოლში ციტრუსები ვერ გაიხარებდნენ, იქნებ სწორედ ციტრუსების გაშენებაა ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება ზღვისპირა მწირი ნიადაგების ათვისების საქმეში, — განმანათლებს, — ცხადია, თუკი მათი ყინვისგან დაცვის საკითხიც მოგვარდება.

ეს პრობლემა ახლო მომავალში უფრო სიღრმისეულ დაკვირვებას საჭიროებს თურმე, მაგრამ ჩვენთვის ახლა არსებითი ის გახლავთ, რომ ოტობაიის საზოგადოების ნაწილი თავის დროზე სწორ არჩევანს გააკეთებს, არ მოერიდება ბიუროკრატიულ გალავნებს, წინა პლანზე ხალხის სასიცოცხლო ინტერესები წამოსწევს და თითქოს დაუჯერებელს შეძლებს: ნაჭაობარ ნიადაგზე კოლხეთის ისტორიაში პირველად გაშენდება ციტრუსები, დანარჩენი უკვე შრომის ორგანიზაციის გერგილიან წარმართვაზე იყო დამოკიდებული, მუშაობის იმ სტილზე, რომელმაც **"დროთა მსვლელობაში მოსახლეობაში ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა".**

მე სულ სხვანაირად წარმომისახავს კოლხეთის მომავალი, ჩემი კრედო ირონდი სართანიას, ნოჩო თაკალანძეს თუ ჩონჩორ ჯოჯუას შეგირდი ძუძუმტეს პრაქტიკა-თეორიის ურღვევი კავშირითაა ნასაზრდოები, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ხუთი თითივით წარმომიდგენია მარილისთვის სხვენზე ხარის აყვანა რა სამოთხესაც მოგვიტანს.

უკვდავების წამალი ლაფაროსთან რომ ხარობს, ესეც ჩინებულად გამიცნობიერებია, ოღონდ არ გაგვაჩნია ამ წამლის მოძებნის ძალისხმევა, ცხრა მთას იქით ვჩხირკედელაობთ, როცა ყურისძირასაღმოცენებულა და კიდევ უმთავრესი, ფორმულა ჩვენი არსობისა: რამაც მოგკლა, მანვე მოგარჩინოს!

პირველ ოტობაიაში კრებაა დანიშნული.

რაბო შონიას სახელმწიფო მანქანით მოვეშურებით შურობუმუსკენ, აღმასკომის თავმჯდომარეა, შოთა შარანგიასთან ორმოცწუთიანი საუბრის შემდეგ მთავრობის წარმომადგენლად მომყვება.

ჩვენს დელიკატურ მასლაათს უსწრებს წერილების ციკლი სამთავრობო გაზეთებში, იციან, ცეკას მდივანი, ბატონი ნოდარ ჭითანავა დაინტერესებულა ჩემი პუბლიკაციებით და დამოკიდებულება შინაური მღვდლის კვალობაზეა: ორივე მანქანის უკანა სალონში ვსხედვართ.

ოტობაიაში შესვენების საათი ჩაგვასწრებს, მაგრამ ვინაიდან მაღაზიის მშენებლობისთვის ბეტონის ხსნარი მიუღიათ, მეურნეობის აპარატის თანამშრომლები, კოოპერატივის მუშაკები თუ ილიკო ცეკვაშვილის მიერ ფიზკულტურის გაკვეთილს მოწყვეტილი მოსწავლეები, ერთად შრომობენ.

ხალხის მხარდაჭერა რომ ჰპოვოს, მეურნეობის დირექტორი გურია შონია იმთავითვე სოფლის კეთილდღეობისკენ დაუმიზნებს და ეს გასაგებიცაა, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობია და საამისოდ ოტობაიის მებოსტნეობის მეურნეობას არანაირი სახსარი გააჩნია.

ვალებითა და გრძელვადიანი სესხებით დამძიმებული მისი ბიუჯეტი გასაქანს არ იძლევა, თუმცა ისიც ნათელია, რომ ურისკოდ ნებისმიერი დიდი საქმე ჩანასახშივეა მკვდარი, და ოტობაიის მებოსტნეობის მეურნეობაში ყველასთვის სასიხარულო შრომის რიტმი რომ გამეფებულა, უწინარესად გურია შონიას დამსახურებაა, მადონა, ჩვენებურო.

გური ოტობაია

(გაგრძელება იქნება)

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ჟოზე აუგუსტო

დაიბადა 1937 წლის 13 აპრილს.

თამაშობდა კლუბებში **"ბარეირენსე"** და **"ბენფიკა"**.

ჟოზე აუგუსტომ ფეხბურთის თამაში დაიწყო როგორც ცენტრალურმა თავდამსხმელმა. შეიძლება ითქვას, რომ მას თამაში დაბალი ზონიდან არ დაუწყია და პირდაპირ სპორტის ცათამბჯენის ზემო სართულზე დაეშვა პარაშუტით. აუგუსტოს უკვე პორტუგალიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში ჰქონდა ჩატარებული რამდენიმე მატჩი, როცა ცნობილი პორტუგალიელი მწვრთნელის ბელა გუტმანის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად **"ბენფიკამ"** იგი შეიძინა ერთ-ერთ პროვინციულ კლუბ **"ბარეირენსე"**-საგან. სწორედ მწვრთნელ ბელა გუტმანის წყალობით, ჟოზე აუგუსტო, მოკლე ხანში, მარჯვენა ფლანგის ერთ-ერთ წარმატებულ ფორვარდად იქცა. ჟოზე აუგუსტო **"მოაზროვნე ფეხბურთელი"** გახლდათ და მას ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში მეორე ადგილზე აყენებდნენ ფეხბურთის **"პროფესორად"** აღიარებული ფრანგი ფორვარდის რაიმონ კოპას შემდეგ. მან ხუთჯერ ითამაშა ევროპის თასის მფლობელთა თასის ფინალში და 1961 და 1962 წლებში დაეუფლა კიდეც ამ საპატიო პრიზს, სამჯერ კი პორტუგალიელებს არ გაუმართლათ და თასის გარეშე დარჩნენ. დიდი როლი ითამაშა ჟოზე აუგუსტომ პორტუგალიის ნაკრების წარმატებაში 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც პორტუგალიელები საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ ბრინჯაოს მედალს დაეუფლნენ. აქტიური ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ჟოზე აუგუსტო **"ბენფიკას"** მწვრთნელად დაინიშნა და ერთი პერიოდი პორტუგალიის ნაკრებსაც კი წვრთნიდა. მართალია, ამ ამპლუაში ჟოზე აუგუსტომ მაინცადამაინც დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია, მაგრამ მისი სახელი მაინც ოქროს ოსოებით შემორჩა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ემილიო ბუტრაგენიო

დაიბადა 1963 წლის 22 ივლისს, ესპანეთში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"კასტილია"**, **"რეალი"** მადრიდი, ესპანეთი, **"სელაია"**, მექსიკა.

კაფანდარა ბავშვმა მორიდებით შეაბიჯა ფეხბურთის სამყაროში. თავშივე დიდი პატივი ერგო და მადრიდის **"რეალის"** ნორჩ ფეხბურთელთა შემადგენლობაში ჩაირიცხა, მაგრამ გუნდის მწვრთნელები ერთხმად მიიჩნევდნენ, რომ ზანტი და აშკარად არასპორტული ფიგურის მქონე ბუტრაგენიოსაგან ფეხბურთელი, მით უმეტეს მაღალი კლასის ფორვარდი არასოდეს დადგებოდა. ამიტომ, არასდროს არავის უფიქრია მისი რომელიმე საფეხბურთო გუნდში ჩართვა. მაგრამ **"კასტილიაში"**, საფეხბურთო კლუბ **"რეალის"** შვილობილ გუნდში, ამ საკითხზე სრულიად განსხვავებული აზრი გააჩნდათ. სწორედ აქედან დაიწყო ბუტრაგენიოს აღმაფრენა, ზანტი ადამიანი საოცარის სისწრაფის მქონე ფორვარდად გადაიქცა და უკვე **"რეალის"** შემადგენლობაში ამ ფეხბურთელს შევარდენს უწოდებდნენ. მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში ბუტრაგენიო ამ დიდებული გუნდის ცენტრალურ ფიგურად იქნა აღიარებული. სწორედ მისი გასაოცარი ტექნიკისა და ფილიგრანული სიზუსტით ჩაწოდებული პასების წყალობით მოიპოვა **"რეალმა"** უეფას თასი 1985 და 1986 წლებში. ამ წლებში ბუტრაგენიომ ორჯერ მიიღო პრიზი **"ბრავო"**, რომლითაც აჯილდოვებდნენ ევროპის ახალგაზრდა გამოჩენილ ფეხბურთელებს. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში მან პირველი გოლი 1984 წელს გაიტანა, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი ნამდვილ **"აღმოჩენად"** და სენსაციად იქცა. მეორე წრეზე გამართულ მატჩში დანიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ მან ოთხი გოლი გაიტანა, რაც უდავოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ბუტრაგენიო ჯერ ახალგაზრდა სპორტსმენებს წვრთნიდა, შემდეგ კი ბიზნესში გადაინაცვლა.

ზბიგნევ ბონეკი

დაიბადა 1956 წლის 3 მარტს, პოლონეთში.

თამაშობდა კლუბებში: **"ზევიცა" ბიდგოში**, **"ვიძევი"** ლოძი (პოლონეთი), **"იუვენტუსი"**, **"რომა"** (იტალია).

ბონეკი ფეხბურთელთა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებიც წარმატებით ჩაენაცვლნენ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების შუალედში მოთამაშე დიდ პოლონელ ფეხბურთელებს და წარმატებით გააგრძელეს მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალების დალაშქვრა. ბონეკი მართლაც რომ ვარსკვლავივით ბრწყინავდა როგორც მსოფლიო ჩემპიონატში, ასევე საფეხბურთო კლუბ **"იუვენტუსის"** ძირითად შემადგენლობაში. ზბიგნევ ბონეკმა მსოფლიო დონის ფეხბურთელის ავტორიტეტი ჯერ კიდევ მაშინ მოიპოვა, როცა პოლონეთის **"ვიძევის"** შემადგენლობაში თამაშობდა. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ბელგიის გუნდის წინააღმდეგ, ბონეკმა სამი უპასუხო გოლი გაიტანა და სწორედ მაშინ დაინტერესდა ამ ფეხბურთელით იტალიის **"იუვენტუსის"** გუნდის ხელმძღვანელობა. მის შესაძენად იტალიურმა კლუბმა გადაიხადა იმ დროისათვის მართლაც ზღაპრული, პოლონეთისათვის კი სარეკორდო თანხა – 1,1 მილიონი ფუნტი სტერლინგი. იტალიელები ამ არჩევანში არც შემცდარან, რადგან სწორედ ბონეკმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი 1984 წელს, ევროპის თასის მფლობელთა თასის ფინალში, **"პორტუს"** კარში. მომდევნო წელს **"იუვენტუსმა"** ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა, რომლის ფინალშიც **"ლივერპული"** დაამარცხა **"ეიზელის"** ცნობილ სტადიონზე. ყველანი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ამ წარმატებაში ლომის წილი სწორედ ბონეკს მიუძღოდა, რომლის ამოუწურავი ფანტაზია საშინლად აბნევდა მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებს. პოლონეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 80 მატჩში ბონეკმა გაიტანა 24 გოლი.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

მეგრელმა აქლემი დაინახა:

– დიდუ, რა დღეში ჩაუგდია ცხენი ამ მთავრობას!!!

* * *

– ექიმო, იცით, თმა მცვივა!

– იმიტომ, რომ ბევრს ნერვიულობთ.

– როგორ არ ვინერვიულო, როცა თმა მცვივა!

* * *

– მარო, შენი ქმარი კოჭლია?

– რას ამბობ, ქა, კოჭლი კი არა, ცალი ფეხი გრძელიც კი აქვს.

* * *

დილით ადრე ნეხვიდან გამოძვრა ორი ჭია – დედა და შვილი.

– დედიკო, ეს რა შრიალებს ასე მწვანედ და ლამაზად? – ეკითხება შვილი.

– ეს ტყე არის, შვილო!

– ასე ლურჯად რა ლივლივებს?

– ეგ ზღვა არის, შვილო!

– და ჩვენ ნეხვში რატომ ვცხოვრობთ?

– ეს არის ჩვენი სამშობლო, შვილო!..

* * *

გოგო და ბიჭი ხელისხელჩაკიდებულები მოდიან.

გოგო ეუბნება ბიჭს:

– რა ოფლიანი ხელები გაქვს?

– შენ ფეხები უნდა ნახო...

* * *

– რატომ გაქვთ სომხებს დიდი ცხვირები?

– ჰაერი უფასოა, ჯანა!

ილია მეორე: "ის, ვინც ამცირებს ეკლესიას, უცილებლად დაისჯება"

საკვირაო ქადაგება

„სახელითა მამისათა და ძისათა
და წმიდისა სულისათა. ჩვენთან
არს ღმერთი!

ადამიანები ვცხოვრობთ, მუდამ ვთხოვთ ღმერთს დახმარებას, მაგრამ გვავიწყდება, დიდება შევწიროთ მას დიდი წყალობისათვის. აი, ჩვენ დღეს ვმადლობთ უფალს საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის. დარწმუნებულები ვართ, რომ მშვიდობა და კეთილდღეობა მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა ლოცვით დაისადგურებს საქართველოში...

ჩვენი დიდი წმიდანი ილია მართალი შეგვახსენებდა, რომ უპირველესია „ენა, მამული, სარწმუნოება". ქართველი ადამიანი იცავდა და იცავს ამ სამ საუნჯეს, მაგრამ ხანდახან გვავიწყდება ეს. გვავიწყდება, რომ მამულს, ეკლესიას დაცვა უნდა, ენას განვითარება სჭირდება. უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ტკბილი ქართული ენა, მამული. ჩვენ განვმარტეთ ეს ცნებები და ვთქვით: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. ღმერთი, როგორც განმგებელი ჩვენი, „შემოქმედი ცათა და ქვეყნისა". უნდა გვახსოვდეს, ღმერთი ჩვენშია. ორი დიდი მეცნიერი საუბრობდა. ერთი ამბობდა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ცასა და პლანეტებს უყურებს და ვერ ნახა ღმერთი. მეორემ კი უპასუხა: შენს გულში ჩაიხედე და იქ ნახავ ღმერთსო. ვფიქრობ, რომ დღესაც გვავიწყდება საკუთარ გულში ჩახედვა. ჩვენი გონება, ფიქრები გაფანტულია ხშირად და განსაკუთრებით აწუხებს ადამიანს სხვისი განკითხვა. განკითხვა კი დიდი ცოდვაა. როგორც განიკითხავ სხვას, შენც ისე განიკითხები უფლისაგან...

იმისთვის, რომ ადამიანი იყოს ბედნიერი, ეკლესიას გვერდით უნდა დაუდგეს. ჩვენი მფარველი დედამიწაზე მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიაა. ხშირია, როცა ეკლესიას ებრძვიან და ამცირებენ. ვინც დაამცირებს ეკლესიას, ის აუცილებლად ისჯება და ამიტომ ამას უნდა ვერიდოთ...

ხშირია შემთხვევა, როდესაც მღვდელმსახურებსა და მორწმუნე ადამიანებს განიკითხავენ და ამით თვითონ ვარდებიან ცოდვაში. როდესაც სხვას განვიკითხავთ, მას ვათავისუფლებთ ცოდვებისაგან და ჩვენ თვითონ ვვარდებით ცოდვებში. ჩვენ უნდა ვიდგეთ ერთმანეთის გვერდით. ერთმანეთი უნდა ვანუგეშოთ, რადგან ხშირია, როდესაც ცოდვა ცოდვას მისდევს და ადამიანს ამპარტავნება ეუფლება. ზოგიერთებს ჰგონიათ, მათი ნათქვამი სწორია და ასწავლიან სხვებს, მაშინ, როდესაც საკუთარი თავისთვის არ უსწავლებიათ...

ვისაც კი ოდესმე ეკლესიისთვის შეურაცხყოფა მიუყენებია, მათი ოჯახები დანგრეულა და ამიტომ სიფრთხილეა საჭირო, როდესაც საქმე ეკლესიას ეხება..."

მიშა ხარ თუ, მოშე ხარ, მოშე ხარ თუ, მიშა ხარ!

ვარდის ეშხით დამთვრალი
შენებრ არვინ გვინახავს,
დღემდე ვერ გაგვიგია:
მოშე ხარ თუ, მიშა ხარ!

ნატოსაკენ მიიწევ, და
ცდილობ გკითხონ "ვინა ხარ",
მსურს ვიცოდე, რას ეტყვი:
მოშე ხარ თუ, მიშა ხარ!

უქონელებს ამშევ და,
ფულს ჯურღმულში ინახავ,
იქნებ ერთხელ მაინც გვითხრა:
მოშე ხარ თუ, მიშა ხარ!

საქართველოს ეზიზღები,
ამერიკას მოსწონხარ,
ჩვენც ხომ სწორედ ეგ
გვაფიქრებს:
მიშა ხარ, თუ, მოშე ხარ!

ტრადიციებს ებრძვი მედგრად,
წინაპრების ძვლებსა ხრავ,
ასეთი სად გაიზარდე,
მოშე ხარ თუ, მიშა ხარ!

ჩვენმა სისხლმა ვერ გაგაძღო,
კომბალს ჭერში ინახავ,
ცემით ვეღარ დაგვაშინებ:
მოშე ხარ თუ, მიშა ხარ!

ივერთ მხარეს შენისთანა
ბევრი მღილი უნახავს,
ნეტავ თავად შენ თუ იცი,
საიდან ხარ, ვინა ხარ!
რისხვას ვეღარ გადურჩები:
მოშე ხარ თუ, მიშა ხარ!

რ. შალამბერიძე

ქართველი და აფხაზი სტუდენტები დისტანციური სწავლების კურსს ერთად გაივლიან

როგორც საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი სამეგრელოში ზუგდიდიდან გვატყობინებს, არასამთავრობო ორგანიზაციის – **„დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისთვის"** (ხელმძღვანელი, ქალბატონი ქრისტინე კილანავა) – ინიციატივით, ცნობილი ქართველი ექსპერტი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი, რომელიც ამას წინათ აფხაზეთში იმყოფებოდა, ზუგდიდის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს შეხვდა. **„ძალიან კარგია, რომ ქართველი და აფხაზი სტუდენტები ერთად გაივლიან დისტანციური სწავ- ლების კურსს ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის უნივერსიტეტში. 2011 წლის ივლისაგვისტოში ამ სწავლებაში ერთდროულად ჩაერთვება 25 ქართველი და 16 აფხაზი სტუდენტი"**, – აღნიშნა პაატა ზაქარეიშვილმა. და მართლაც, აღნიშნული ღონისძიება ერთმანეთს დაახლოებს ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, ამჟამად, არ გააჩნიათ ურთიერთობები.

ექსპერტი აფხაზეთში ამჟამად მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნების პროცესებაც შეეხო. **„საქართველოსთვის მომგებიანი იქნება, თუ აფხაზეთის პრეზიდენტი გახდება ალექსანდრე ანქვაბი ან სერგეი შამბა, მათ საქართველო და ქართველები არ სძულთ – ორივეს ქართველი მეუღლეები ჰყავთ"**, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა
ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27